ლიბერალი

ქვეყანა „კავკასია“ გვ. 14

საოკუპაციო კომუნიკაცია გვ. 33

რუსული „მკვდარი მარყუჟი“ გვ. 31

ნობელიანტი ეკონომისტი საქართველოში გვ. 34

იარაღი ოპოზიციის წინააღმდეგ გვ. 36

VS - ჰიდროელექტროსადგური ონში გვ. 08

არც ომი, არც მშვიდობა - ინგუშეთი გვ. 18

იუნესკოს სიგნალი საქართველოს გვ. 42

დიდი დეპრესია გვ. 45

ISSN 1987-7528

№ 5 / 15 - 28 ივლისი / 2009

ფასი 2.80 ლარი

ჩვენ და რუსეთი

გვ. 10

რადიო „უცნობი“ წარმოგიდგენთ დილის გადაცემას „დილა მშვიდობისა“

ნატა ასათიანთან და ვახო ხვიჩიასთან ერთად

ყოველ სამუშაო დღეს, დილის 9:00 დან 11:00 საათამდე.

- პოლიტიკური თემები
- საინტერესო მოსაზრებები
- მაგარი სიმღერები
- მხიარული საუბრები
- SMS გამოკითხვები

უსმინეთ და მიიღეთ გადაცემაში მონაწილეობა

SMS ნომერი: 9800

Skype ID: ucnobidila

www.ucnobifm.ge

სარჩევი

გარეკანზე:
ობამას და მედვედევის შეხვედრა მოსკოვში, 2009
ფოტო REUTERS / ჯეისონ რიდი

04 მოკლედ

06 ვრცლად

08 ორი აზრი
უნდა აშენდეს თუ არა ონის ჰიდროელექტროსადგური
მარიკა ვალიშვილი v.s. ნინო ჩხობაძე

10 პოლიტიკა
ობამა მოსკოვში
ჩვენ და რუსეთი

14 მეზობლები
სამხრეთ კავკასიის რეგიონული უსაფრთხოება
ქვეყანა „კავკასია“

18/ჩრდილოეთ კავკასია - ინგუშეთი
არც ომი, არც მშვიდობა

20/ირანი არჩევნების შემდეგ
არჩევანი - ჩვენ!

24 საქართველო
მაჰმადიანი მესხები
გზა სამშობლოსკენ

26/სამცხე-ჯავახეთი
ბოლო გაჩერება

28 კონფლიქტები
აფხაზეთი
ბრძოლა აფხაზეთის პრეზიდენტობისთვის

30 ეკონომიკა
რუსეთი და მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია
სამი ერთზე

31/„რუსეთის რკინიგზის“ პოლიტიკური შენაძენი
რუსული „მკვდარი მარყუჟი“

33/რუსული კაპიტალი აფხაზეთში
საოკუპაციო კომუნიკაცია

34/ნობელიანტი რობერტ მანდელი საქართველოში
ქართული ლარი, მსოფლიო კრიზისი და ნობელის პრემია

36 ადამიანის უფლებები-სამართალი
პოლიტიკური დაპატიმრებები
იარაღი ოპოზიციის წინააღმდეგ

ჟურნალი „ლიბერალი“ გამოიცემა ფონდ „ღია საზოგადოება - საქართველოს“ მხარდაჭერით.

38/ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო
საქართველოს წინააღმდეგ

40/ თვალსაზრისი
დისკომფორტის შიგნითა მხარეს

42 საზოგადოება
იუნესკოს დასკვნა
იუნესკოს სიგნალი საქართველოს

44/ თვალსაზრისი
ჩიორეგის კანონპროექტი

45/ ჯანმრთელობა და ფინანსური კრიზისი
დიდი დეპრესია

47/ წიგნები
აგორა - ძველი ბერძნული ვიაგრა

48/ ინტერვიუ
კომპრომისი მოკლევადიანი და საშუალოვადიანი ამოცანების გადასაწყვეტად
ინტერვიუ დავით უსუფაშვილთან

34

42

გამომცემელი შპს „ლიბერალი“.
მისამართი: თბილისი 0162, ფალიაშვილის ქ. 108.
ტელ.: (995 32) 232235, 233731, 912326.
ელ-ფოსტა: info@liberali.ge
დაბეჭდილია: სტამბა შპს „სეზანი“.
მისამართი: თბილისი, წერეთლის გამზ. 140. ტელ.: (995 32) 35 70 02.
სხვა გამოცემები: „ცხელი შოკოლადი“, „ცხელი შოკოლადი – ლიტერატურა“, „ბიზნესი: ადამიანები, მეთოდები, სტრატეგიები“.
„ლიბერალის“ საავტორო უფლებები დაცულია. ჟურნალში გამოქვეყნებული მასალების ნაწილობრივი და/ან მთლიანი გამოყენება რედაქციის თანხმობის გარეშე აკრძალულია.
ISSN 1987-7528

რედაქცია

ტირაჟი: 5000 ცალი. გამოდის ორ კვირაში ერთხელ. პირველი ნომერი გამოცემულია 2009 წლის მაისში. რეკომენდებული საცალო ფასი 2,80 ლარი.

რედაქტორები: მთავარი რედაქტორი **ზორანა ბავერდაშვილი** /აღმასრულებელი რედაქტორი **ნინო ჯაფიაშვილი**
საზოგადოება **თამარ გაგუაძე** / პოლიტიკა და საერთაშორისო ამგები **სოფო ჭაავა** / საქართველო და კონფლიქტები **სოფო გუკია** / ადამიანის უფლებები და სამართალი **ნინო გექიშვილი** / კავკასია **მარგარიტა ახვლედიანი** / ახალი ამგები **ნათია ახალაშვილი**
რედაქცია: არტ-რედაქტორი **მანანა არაგული** / ფოტო-რედაქტორი **ლევან ხერხეულიძე** / გრაფიკული დიზაინი **თორნიკე ლორთქიფანიძე** / რედაქტორ-სტილისტი **ნინო სვანიძე** / კორექტორი **ნინო საითიძე**
ადმინისტრაცია: პროექტის მენეჯერი **ქეთი გაგუნაშვილი** / პროექტის მენეჯერის ასისტენტი **ლელა შუგითიძე** / ბიზნესის განვითარების მენეჯერი **გიორგი კოპალეიშვილი** / რეკლამის და გაყიდვების მენეჯერი **ნესტან ავალიანი** / IT მენეჯერი **თორნიკე ლორთქიფანიძე** / ოფისის ადმინისტრატორი **ეთუნა ინწკირველი** / დისტრიბუტორი **ზვიად შენგელია**

გამოიწერეთ ჟურნალი „ლიბერალი“ და მიიღეთ იგი გამოსვლის დღეს
(ყოველ მეორე ოთხშაბათს)
თქვენთვის სასურველ მისამართზე.

ლიბერალი

6 ნომერი (3 თვე) – 18,40 ლარი
13 ნომერი (6 თვე) – 36,40 ლარი
25 ნომერი (1 წელი) – 70 ლარი

ჟურნალის გამოსაწერად დაგვიკავშირდით ტელეფონზე:
23 37 31, (877) 78 78 05
ან მოგვაწოდეთ თქვენი საკონტაქტო ინფორმაცია
ელ-ფოსტით: info@liberali.ge

ფოტო: თეიმურ ბარქიბაშვილი

ბრიტანელი დეპუტატები რუსეთის მიმართ მკაცრ პოლიტიკას ითხოვენ

კვლევა ეფუძნება საქართველოსა და რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენლების ჩვენებებს და ინტერვიუებს.

ბრიტანეთის პარლამენტის თემთა პალატის თავდაცვის კომიტეტის მოხსენება „რუსეთი: ახალი კონფრონტაცია?“ მოუწოდებს გაერთიანებულ სამეფოს ხელისუფლებას და ნატო-ს წევრ სხვა სახელმწიფოებს, უფრო მკაცრი მიდგომა გამოიჩინონ რუსეთის მიმართ. მოხსენება ეხება ნატო-ს ურთიერთობებს რუსეთთან, აგვისტოს ომს, ენერგო და გლობალური უსაფრთხოების საკითხებს. მოხსენების ავტორები აღნიშნავენ, რომ მოსკოვთან სხვადასხვა სფეროში თანამშრომლობა აუცილებელია, თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ დასავლეთმა თვალი უნდა დახუჭოს რუსეთის მცდელობაზე, „შექმნას გავლენის გარკვეული სფეროები“. მოხსენების ერთ-ერთ თავში ლაპარაკია აგვისტოს ომის მიზეზებზე. კვლევა ეფუძნება საქართველოსა და რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენლების ჩვენებებს და ინტერვიუებს. „თავისი ქმედებებით რუსეთი წლების განმავლობაში ახდენდა საქართველოს პროვოცირებას. რუსეთის პროვოკაცია იყო სეპარატიზმის გაღვივება; საქართველოს სეპარატისტულ რეგიონებში [რუსული] პასპორტების დარიგება; კონფლიქტურ რეგიონებში სამხედრო ძალების გაზრდა“, – ნათქვამია მოხსენებაში. აქვე აღნიშნულია, რომ „7 აგვისტოს ცხინვალზე შეტევის დაწყების შესახებ პრეზიდენტ სააკაშვილის გადაწყვეტილება პოლიტიკურად წინდაუხედავი ნაბიჯი იყო“.
მოხსენებაში ნათქვამია, რომ საქართველოს ტერიტორიის სიღრმეში შესვლით, ინფრასტრუქტურის განადგურებით, სამოქალაქო პირებისთვის საფრთხის შექმნით, ეთნიკური წმენდითა და სხვა ამგვარი ქმედებებით რუსეთმა მნიშვნელოვნად გადააჭარბა რაიმე ტიპის სამშვიდობო მანდატს.

ასევე აღნიშნულია, რომ რუსეთი არ ასრულებს 12 აგვისტოს და 8 სექტემბრის ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმებებით ნაკისრ ვალდებულებებს. o

დიდი რვიანის სამიტი

მიწისძვრით დაზარალებულ იტალიის ქალაქ აქვილაში „დიდი რვიანის“ სამდღიან სამიტზე ეკონომიკურ კრიზისზე, საერთაშორისო პოლიტიკის აქტუალურ საკითხებსა და კლიმატის ცვლილებებთან დაკავშირებულ პრობლემებზე იმსჯელეს. რვიანის შეხვედრის თემები იყო: სიღარიბის დაძლევა, კლიმატის ცვლილებები, ახლო აღმოსავლეთში სიტუაციის დარეგულირება, ეკონომიკური ზრდის წყაროების მოძიება, და ირანისა და ჩრდილოეთ კორეის ბირთვული პროგრამა.

სამიტის ფარგლებში განვითარებადი ქვეყნებისთვის 10-15 მილიარდი დოლარის დახმარების გამოყოფა იგეგმებოდა, თუმცა ბარაკ ობამამ ქვეყნების ლიდერებს გადაწყვეტილება შეაცვლევინა და თანხა 20 მილიარდამდე გაიზარდა. ამის თაობაზე სამიტზე ქვეყნების წარმომადგენლებმა ერთობლივი დეკლარაცია მიიღეს – „აქვილას სასურსათო უსაფრთხოების ინიციატივა“.

სამდღიანი სამიტის ფარგლებში სულ შვიდი დოკუმენტი მიიღეს.o

არქეოლოგიურ გათხრებზე უძველესი დისკო აღმოაჩინეს

იგოეთთან მიმდინარე არქეოლოგიურ გათხრებზე ძვ.წ. IV საუკუნით დათარიღებული ოქროს დისკო აღმოაჩინეს. ძვ.წ. VIII-I ათასწლეულების ნამოსახლარისა და სამაროვანის გათხრებზე ნაპოვნი დისკო კონცენტრული წრეებითა და მცენარეების ორნამენტებითაა შემკული. ტექნოლოგიური ნიშნების გათვალისწინებით, ოქროს ფირფიტა ადგილობრივი ნაწარმია. არქეოლოგიური გათხრები მიმდინარეობს თბილისი-სენაკი-ლესელიძის გზატკეცილის რეაბილიტაციის იგოეთის მონაკვეთზე და უკვე ერთი წელია, გრძელდება. o

ფოტო REUTERS / ივანე ბეკეტსი

ხუთწლიანი შეთანხმების რატიფიცირება

აფხაზეთის დე-ფაქტო პარლამენტმა ე.წ. სახელმწიფო საზღვრის რუსეთთან ერთად გაკონტროლების შეთანხმების რატიფიცირება მოახდინა.

შეთანხმების დამტკიცებას მხარი 30-დან 27-მა დეპუტატმა დაუჭირა, სამმა თავი შეიკავა.

შეთანხმებებს ე.წ. სახელმწიფო საზღვრების ერთობლივად გაკონტროლების შესახებ რუსეთის პრეზიდენტმა დიმიტრი მედვედევმა სოხუმისა და ცხინვალის რეჟიმების ლიდერებთან კრემლში 30 აპრილს მოაწერა ხელი.

ხუთწლიანი ვადით გაფორმებულ შეთანხმებებში ნათქვამია, რომ ერთობლივი ღონისძიებები მესამე მხარის წინააღმდეგ არ არის მიმართული. ○

„მაესტრომ“ სატელიტური მაუწყებლობის ლიცენზია მიიღო

კომუნიკაციის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის გადაწყვეტილებით, სტუდია „მაესტრომ“ სატელიტური მაუწყებლობის ლიცენზია 10-წლიანი ვადით მოიპოვა.

ტელეკომპანიის გენერალური დირექტორის მამუკა ღლონტის თქმით, „მაესტრო“ სატელიტურ მაუწყებლობას, სავარაუდოდ, პირველი ოქტომბრიდან დაიწყებს.

მისი თქმით, კომუნიკაციების მარეგულირებელ კომისიას არანაირი მიზეზი არ ჰქონდა იმისთვის, რომ ტელეკომპანიისთვის ლიცენზიის მინიჭებაზე უარი ეთქვა.

„მაესტრო“ ამ დროისათვის თბილისსა და თელავში მაუწყებლობს. ○

ფოტო ივანე ბარძიბაშვილი

რუსეთის საგამოძიებო კომიტეტის დასკვნა

რუსეთის ფედერაციის პროკურატურასთან არსებული საგამოძიებო კომიტეტის თავმჯდომარის, ალექსანდრ ბასტრიკინის თქმით, კომიტეტმა 2008 წლის აგვისტოს მოვლენების გამოძიება ფაქტობრივად დაასრულა. ბასტრიკინი აცხადებს, რომ გამოძიებამ ე.წ. სამხრეთ ოსეთის მშვიდობიანი მოქალაქეების მიმართ გენოციდისა და მკვლელობების დამამტკიცებელი მასალები შეაგროვა და აგრესიის დაწყებაში ქართული არმიის სარდლობას დასდო ბრალი. „დოკუმენტალურად დადგენილია ქართული არმიის სამხედრო მოსამსახურეების, სამხედრო სარდლებისა და ბრიგადების გენერლების დანაშაული. ჯერჯერობით არ გვაქვს ქართული არმიის მთავარსარდლის პირდაპირი ბრძანების შესახებ ინფორმაცია. თუმცა, შემდგომი გამოძიებისას ყველაფერს გავაკეთებთ, რომ სამართალდამცველ ორგანოებთან ერთად ეს ბრძანება მოვიპოვოთ“, – განაცხადა ბასტრიკინმა. ○

რატომ ვიხდით მრიცხველის საფასურს? გაზის დაზიანებულ მრიცხველს უახლოეს ერთ თვეში თუ გამოცვლით, ჯარიმას თავიდან აიცილებთ. თუმცა, ახალი მრიცხველის საფასურის გადახდა მაინც მოგიწევთ. რუსუდან ფანოზიშვილი

ფოტო: ელენა ასათიანი

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის („სემეკი“) 9 ივლისის დადგენილებით, ძალაში შევა ახალი წესი, რომლის მიხედვითაც, გაზის მრიცხველი თუ მომხმარებლის მიერ განზრახ არ არის დაზიანებული, მისი გამოცვლის ხარჯებს „ყაზტრანსგაზ თბილისი“ გადაიხდის.

რამდენიმეწლიანი დავის შემდეგ ეს გადაწყვეტილება მოსახლეობასა და „ყაზტრანსგაზის“ უფლება-მოვალეობებს მკვეთრად გამიჯნავს. აქამდე კონკრეტულად არსად იყო მითითებული, რა შემთხვევაში ეკისრებოდათ მომხმარებლებს იმ ახალი მრიცხველებისთვის საფასურის გადახდა, რომელთა დამონტაჟებასაც მათ „ყაზტრანსგაზი“ სთხოვდა. ამიტომ გაზის მიმწოდებელ კომპანიას საშუალება ჰქონდა, მრიცხველების საფასური მომხმარებლებისთვის კანონის დაურღვევლად გადაეხდევინებინა.

გაზის მრიცხველების საკითხი აქტუალური გახდა 2006 წლიდან, „ყაზტრანსგაზის“ თბილისის ენერგობაზარზე შემოსვლისთანავე. იქამდე მოსახლეობისთვის გაზის მიწოდებას „თბილგაზი“ უზრუნველყოფდა, გაზის მრიცხველებსა და მათი მუშაობის ხარისხზე კი განსაკუთრებული კონტროლი არ იყო დაწესებული. მომხმარებლებს შეეძლოთ, ნებისმიერი ფირმის მრიცხველი დაეყენებინათ. ამიტომაც დღეს მოსახლეობას სხვადასხვა ქვეყნიდან შემოტანილი სხვადასხვა ფირმისა და ხარისხის მრიცხველები (ჩინური, პოლონური და ა.შ) აქვს დამონტაჟებული.

ამ მრიცხველების აღწერა დაახლოებით ერთი წლის წინ დაიწყო. მაშინ „ყაზტრანსგაზის“ მიერ მრიცხველების შემოწმება ძირითად შემთხვევებში იმით მთავრდებოდა, რომ მომხმარებელს მრიცხველის შეცვლას სთხოვდნენ, დანადგარს უხსნიდნენ და მოსახლეობა ახალი მრიცხველის შეძენამდე გაზმომარაგების გარეშე რჩებოდა.

ეს კამპანია 2008 წლის დეკემბერში „სემეკის“ დადგენილებამ შეაფერხა და „ყაზტრანსგაზს“ მრიცხველების შეცვლის პროცესის რამდენიმე თვით შეჩერება მოსთხოვა.

მრიცხველების შეცვლა 2009 წლის აპრილში სახელმწიფოს მიერ „ყაზტრანსგაზისთვის“ ახლად დანიშნულმა დროებითმა მმართველობამ განაახლა. „ყაზტრანსგაზის“ წარმომადგენლები თბილისში ახლა ყველა მრიცხველს ამოწმებენ. თუ დადგინდა, რომ მრიცხველი მომხმარებლის მიერ არის დაზიანებული, მაშინ მას ახალი მრიცხველის ყიდვა ეკისრება. კომპანია კი მომხმარებლის შესახებ სამართალდარღვევის აქტს წერს და საქმე განსახილველად სასამართლოს გადაეცემა. ინდივიდუალურ მომხმარებელზე ჯარიმა პირველ ჯერზე 600 ლარია, შემედეგ – 1200. იურიდიულ პირზე კი ჯარიმა 5 000 ლარს შეადგენს.

თუმცა, ახლახან გაზის მრიცხველების შეცვლის პროცესზე ერთთვიანი მორატორიუმი გამოცხადდა. 10 ივლისიდან 10 აგვისტომდე არავინ დაჯარიმდება, 10 აგვისტოს შემდეგ კი ჯარიმები ისევ ამოქმედდება.

მომხმარებლები მრიცხველის საფასურის გადახდას საკუთარი უფლებების დარღვევად მიიჩნევენ. ეს დარღვევაა ენერგომომხმარებელთა ინტერესების დამცველისთვისაც. მალხაზ წიწიკაშვილი არგუმენტად სამოქალაქო კოდექსის დადგენილებას ასახელებს, რომლის მიხედვითაც, გასაზომი ხელსაწყოების შეცვლის შემთხვევაში, მისი ხარჯების ანაზღაურება კომპანიას უნდა დაეკისროს.

ეჭვის საფუძველს იძლევა ისიც, რომ „ყაზტრანსგაზის“ წარმომადგენლები, მრიცხველის გამოცვლის მოთხოვნის პარალელურად, მოსახლეობას თვითონვე სთავაზობენ სათანადო მრიცხველების დაყენებას; ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში, მოსახლეობას მიუთითებენ, თუ რომელ კონკრეტულ ადგილას და რომელი ფირმის მრიცხველი უნდა იყიდონ. დიღმის მასივში მცხოვრებ ირინა ბიძინაშვილს „ყაზტრანსგაზის“ წარმომადგენლებმა მრიცხველის ყიდვა ელიავას ბაზრობაზე, ერთ-ერთ ჯიხურში 110 ლარად შესთავაზეს. „მოგვიანებით კი დაგვირეკეს და შემოგვთავაზეს სხვა მრიცხველის დამონტაჟება 125 ლარად. თუმცა ჩვენ უკვე ნაყიდი გვქონდა ავსტრიული მრიცხველი“, –

აცხადებს ბიძინაშვილი.

„ყაზტრანსგაზში“ ამას იმით ხსნიან, რომ სურთ, მოსახლეობას ხარისხიანი აპარატურა დაუყენონ, ცდომილება რომ გამოირიცხოს.

ცდომილება კი მრიცხველებზე მართლაც სხვადასხვაგვარად აისახება. თუ მწყობრიდან გამოსული გაზის მრიცხველების უმრავლესობა ნაკლებს წერდა, პენსიონერ ანზორ სიგუას მრიცხველს სხვაგვარი დაზიანება აღმოუჩინეს: ლაბორატორიული დასკვნის საფუძველზე, მრიცხველი ზედმეტს აღრიცხავდა. თუმცა „ყაზტრანსგაზში“ ახალი მრიცხველის ყიდვა მაინც მას მოსთხოვეს. მრიცხველის საკუთარი ხარჯებით გამოცვლა მომხმარებელს იმ შემთხვევაში ევალება, თუ დადგინდა, რომ ის სპეციალური ჩარევის გამო დაზიანდა. სიგუას განცხადებით კი, ლაბორატორიულ დასკვნაში მსგავსი არაფერი ეწერა. 2007 წელს სიგუამ სასამართლოს მიმართა, თუმცა, სასამართლოს გადაწყვეტილებითაც, ახალი მრიცხველის საფასურის გადახდა მას დაეკისრა. მრიცხველთან დაკავშირებული გაურკვევლობის გამო, 10 თვის განმავლობაში ანზორ სიგუას სახლში გაზი საერთოდ არ ჰქონდა. ბოლოს ისევ თვითონ იყიდა 125-ლარიანი ახალი მრიცხველი და დაამონტაჟებინა.

მოსახლეობასა და „ყაზტრანსგაზს“ შორის გაუგებრობას „სემეკის“ ახალი დადგენილება გარკვეულწილად მოსპობს. რიგ შემთხვევებში, თბილისელებს მრიცხველების საფასურის გადახდა კვლავაც მოუწევთ, თუმცა, უკვე ოფიციალურად იქნება განსაზღვრული როგორც მათი, ისე გაზის მიმწოდებლის უფლებები, და ნებისმიერ დარღვევაზე რეაგირებაც ოფიციალური დოკუმენტის საფუძველზე იქნება შესაძლებელი. o

მსოფლიო ბაზარზე ერთი ქოლგის ქვეშ მსოფლიო ბანკმა, მთავრობის დაკვეთით, გლობალურ ბაზარზე ქართული პროდუქციის კონკურენტუნარიანობა და საინვესტიციო მიმზიდველობა შეისწავლა. მაია დემეტრაშვილი

მსოფლიო ბანკის ექსპერტები საბჭოთა პერიოდიდან შემორჩენილ ისეთ დარგებზე, როგორიცაა საავტომობილო წარმოება, საავიაციო თუ სარკინიგზო მოწყობილობები და გემთმშენებლობა, უარის თქმას გვირჩევენ. პერსპექტიულადაა მიჩნეული აგროსექტორი, სამშენებლო მასალების, მედიკამენტების, მედტექნიკის და ტანსაცმლის წარმოება. დიდ პოტენციალს ხედავენ ტურიზმში, კომუნალურ მომსახურებასა და პირველადი გადამამუშავებელი მრეწველობის განვითარებაში.

საიმონ ბელი, მსოფლიო ბანკის ჯგუფის დარგობრივი კონკურენტუნარიანობის ექსპერტი: საქართველოს მსგავსი პატარა ქვეყნისათვის უმჯობესი იქნება, თუ ქართველი მწარმოებლები მსოფლიო ბაზარზე დამკვიდრებას ერთობლივად შეეცდებიან. მაგალითად, ღვინის კომპანიების მიერ მარკეტინგის ერთობლივი წარმოება, ნედლეულის შეძენა, ერთიანი დისტრიბუცია შეამცირებს ხარჯებს და, შესაბამისად, გაზრდის ქართული ღვინის პერსპექტივას საერთაშორისო ბაზარზე.

საექსპორტო ღვინოების ერთი ქოლგის ქვეშ მოქცევაზე საქართველოს მთავრობაც ფიქრობს. ღვინის მწარმოებლებთან შეთანხმების შემთხვევაში, 2010 წლიდან ექსპორტისას ბრენდირებული ეტიკეტის Wine of Georgia ქვეშ გაერთიანება სავალდებულო იქნება, დანარჩენ ატრიბუტებს კი მწარმოებელი კომპანია უცვლელად შეინარჩუნებს. ქართული ღვინის რეკლამის ხარჯებს სახელმწიფო გაიღებს.

მსოფლიო ბანკში მიაჩნიათ, რომ დაახლოებით იგივე გზა უნდა გაიაროს აგრარული სექტორის სხვა დარგებმაც. თუმცა სანამ უცხოეთის ბაზრების ათვისებას დავიწყებთ, ქართული აგრარული სექტორის ნაწარმი ჯერ შიდა ბაზარზე უნდა დამკვიდრდეს. სასურსათო უსაფრთხოების ობსერვატორიის მონაცემებით, საქართველოში ბოსტნეულის იმპორტი ექსპორტს 12-ჯერ, ხილის კი თითქმის 1,5-ჯერ აღემატება. აგრარულ სექტორში საქართველოს პოტენციის მქონე ქვეყნისათვის ეს ფაქტობრივად ანომალიური ვითარებაა. საერთო შეფასებით, ქვეყანას თითქმის ყველაფერი აქვს იმისათვის, რომ სიტუაცია უკეთესობისაკენ შეცვალოს. ნოყიერი ნიადაგი, ხელსაყრელი კლიმატური პირობები, იაფი მუშახელი, ევროკავშირისა და დსთ-ს ბაზრების სიახლოვე და მეტნაკლებად გამართული ინფრასტრუქტურა იძლევა იმის საშუალებას, რომ იმპორტი ადგილობრივმა პროდუქციამ ჩაანაცვლოს და საექსპორტო პოტენციალიც გაიზარდოს.

სოფლის მეურნეობის ყოფილი მინისტრი და რამდენიმე აგროსაწარმოს თანადამფუძნებელი, მიხო სვიმონიშვილი მსოფლიო ბანკის რეკომენდაციებს ბოლომდე არ იზიარებს და მიაჩნია, რომ ქართული ბრენდების გაერთიანება საექსპორტო პოტენციალის გასაზრდელად პანაცეა ვერ იქნება. მაგალითად, ღვინის მწარმოებელი 7 კომპანია მსოფლიო ბაზარზე ერთი ბრენდით (Georgian Wine Family) არის წარმოდგენილი, თუმცა ბევრი კომპანია ბაზარზე დამკვიდრებას დამოუკიდებლად ცდილობს და ამას საკმაო წარმატებითაც ახერხებს. გარდა ამისა, სვიმონიშვილი მიიჩნევს, რომ შესაძლებლობის ფარგლებში ქვეყანამ აუცილებლად უნდა შეინარჩუნოს მძიმე მრეწველობაც.

180-გვერდიან დასკვნაში მსოფლიო ბანკის ერთ-ერთი უმთავრესი რეკომენდაციაა განათლების სისტემის რეფორმა და მისი დახვეწა. საქართველოს ძირითადი აქტივი უნარ-ჩვევები უნდა იყოს, თუმცა ეს ასე არ არის და განათლების ინვესტირების გარეშე ქვეყანა ვერ შეძლებს ისეთი დარგების შენარჩუნებას, როგორიცაა მძიმე მრეწველობა და იძულებული იქნება, მიიღოს შეზღუდული შემოსავლები აგრობიზნესიდან, რაც ქვეყნის განვითარებას მნიშვნელოვნად შეამცირებს. o

სექტორები, სადაც საქართველო ტრადიციულად ახორციელებდა ექსპორტს		სექტორები, სადაც რეგიონული ან გლობალური მოთხოვნის ზრდა ქმნის პერსპექტივებს
აგრობიზნესი	ტრადიციული დარგები	ახალი დარგები
ღვინო თხილი ჩაი ბოსტნეული ხილი ხორცის და რძის პროდუქტები თევზი და ზღვის პროდუქტები მარცვლეული და პარკოსნები	საავტომობილო მონყობილობა საავიაციო მონყობილობა სარკინიგზო მონყობილობა გემთმშენებლობა ხე და მერქანი	ტანსაცმლის წარმოება სამშენებლო მასალების წარმოება მედიკამენტებისა და სამედიცინო აპარატურის წარმოება პლასტმასის და ქაღალდის შეფუთვა

უნდა აშენდეს თუ არა ონის

მომხრე
მარიკა ვალიშვილი
ენერგეტიკის მინისტრის პირველი მოადგილე

ონის ჰიდროელექტროსადგური კასკადური ტიპის იქნება, რომლის შემადგენლობაშიც სამი ჰიდროელექტროსადგური შევა. ნორვეგიულმა კომპანიამ უკვე ჩაატარა წინასწარი შეფასებითი სამუშაოები გამოცდილი საერთაშორისო ექსპერტების მონაწილეობით. მათი ანგარიშის მიხედვით, კაშხლის მშენებლობა მიკროკლიმატის არსებით ცვლილებებს არ გამოიწვევს. არც ერთი სოფელი, დასახლება ან სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა არ დაიტბორება. მცდარია მოსაზრება, რომ დიდ კაშხლებს აღარ აშენებენ. მთელ მსოფლიოში განახლებადი ენერგიის გამოყენებაა პრიორიტეტი, კაშხლის სიდიდე კი შეფარდებითია. დღეს მსოფლიოში, და მათ შორის საქართველოშიც, ონის კაშხალზე გაცილებით დიდი მოცულობის და სიმაღლის კაშხლებიც არსებობს.

სეისმური მდგრადობა ბურღვითი სამუშაოების შედეგად განისაზღვრება. შედეგების მიხედვით დაზუსტდება კაშხლის საპროექტო პარამეტრებიც. გარკვეულ სამუშაოებს ეტაპობრივად შევასრულებთ და, თუკი რომელიმე ეტაპზე ინვესტორი გამოჩნდა, არ გამოვრიცხავთ, რომ ეს სამუშაოები სწორედ ინვესტორმა უზრუნველყოს.

ონში გეოლოგიურ პროცესებს ათწლეულების განმავლობაში აკვირდებოდნენ. არსებობს სტატისტიკა, თუ რა პერიოდულობით ხდებოდა მიწისძვრები, სად არის მეწყრული ტერიტორიები, რამდენად ხშირად ხდება წყალმოვარდნები. ახლანდელი ვითარების შესაფასებლად ძველი მონაცემები გამოვიყენეთ. დამატებითი ლაბორატორიული სამუშაოები კონკრეტულად ადგილზეა შესასრულებელი; ეს კი საკმაოდ შრომატევადი და ხარჯიანი ეტაპია, თუმცა – აუცილებელი, რადგან მათი ჩატარების გარეშე, დეტალური პროექტირება ვერ დაიწყება.

პროექტის დაფინანსების სურვილი EBRD, EIB და IFC გამოთქვეს. ისინი მიესალმებიან ყველა საერთაშორისო სტანდარტით გათვალისწინებული სამუშაოს ჩატარებას, რაც ზრდის საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებიდან პროექტისათვის საჭირო თანხების მოზიდვის ალბათობას. ჩვენ ვფიქრობთ გარემოზე ზემოქმედების სტრატეგიული შეფასების ჩატარებასაც, თუმცა საქართველოს კანონმდებლობით ეს აუცილებელი არ არის, მაგრამ მიგვაჩნია, რომ საერთაშორისო კონსულტანტების მიერ მომზადებული მსგავსი ანგარიშები მნიშვნელოვან როლს შეასრულებს პროექტის წარმატებულ განხორციელებაში.

ეს საკმაოდ სერიოზული საინვესტიციო პროექტია და, სამომავლო რისკების შემცირების მიზნით, აუცილებელია ყველა საჭირო ეტაპის დეტალურად და ხარისხიანად გავლა. შეცდომების დაშვება არ შედის არც ინვესტორის, არც ჩვენი მოქალაქეების და არც მთავრობის ინტერესებში.

ვგეგმავთ, ონის კასკადის მშენებლობაზე ინტერესთა გამოხატვა თურქეთთან დამაკავშირებელი ახალი ხაზის მშენებლობის დაწყების შემდეგ გამოვაცხადოთ. ხაზის მშენებლობის პროექტს სახელმწიფო საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების დაფინანსებით ახორციელებს. ახალი ინფრასტრუქტურის საშუალებით იზრდება ქვეყნის საექსპორტო პოტენციალი და ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობით დაინტერესებული ინვესტორისთვის კიდევ უფრო მიმზიდველი ხდება ონის კაშხლის პროექტი.

> პროექტის განხორციელება მნიშვნელოვანია ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისთვის. შედეგად მივიღებთ: ასობით მილიონი დოლარის ინვესტიციას და ათასობით დასაქმებულ ადამიანს.

პროექტის განხორციელება მნიშვნელოვანია ქვეყნის ეკონომიკის და, კერძოდ, ენერგეტიკის სექტორის განვითარებისთვის. შედეგად მივიღებთ: ასობით მილიონი დოლარის ინვესტიციას, ჰიდროენერგეტიკული მიმართულების განვითარებას, ათასობით დასაქმებულ ადამიანს, ქვეყნის საექსპორტო პოტენციალის გაზრდას, ენერგეტიკული უსაფრთხოების დონის ამაღლებას, ზამთრის თვეებში ელექტროენერგიის იმპორტის და ადგილობრივი თბოგენერაციის (რომელიც ასევე იმპორტირებულ გაზზე მუშაობს) ჩანაცვლებას, გაზრდილ საგადასახადო შემოსავლებს და ეს ყველაფერი შესაბამისად აისახება თითოეულ ჩვენს მოქალაქეზე.

ჩვენთვის პრიორიტეტულია ადგილობრივი მუშახელის დასაქმება, რაც თავის მხრივ მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს ადგილობრივი მოსახლეობის სოციალურ პირობებს და, შესაბამისად, ხელს შეუწყობს რეგიონის განვითარებას.

ჰიდროლოგიური მონაცემების საფუძველზე და წინასწარი საპროექტო პარამეტრების მიხედვით, 280 მეგავატიან სადგურს შესაძლებლობა ექნება წლიურად 1,6 მილიარდი კვტ. საათი ელექტროენერგია გამოიმუშაოს, რაც ელექტროენერგიის თურქეთში გაყიდვის საშუალებასაც იძლევა. o

ჰიდროელექტროსადგური

მოწინააღმდეგე
ნინო ჩხოტუაძე
„საქართველოს მწვანეთა მოძრაობა / დედამიწის მეგობრების“ თანათავმჯდომარე

თუკი ონში ჰიდროელექტროსადგური აშენდება, შოვისა და უწერის ცნობილი კურორტები თავის ფუნქციას დაკარგავენ, იქაური უნიკალური მინერალური წყლები კი განადგურების საფრთხის წინაშე დადგება. ეს რეგიონს ყოველწლიურად ათობით ათასობით დამსვენებელს დაუკარგავს და საქართველოში ტურისტულ-რეკრეაციული მეურნეობის განვითარებას შეუშლის ხელს. არადა, შოვი-უწერას მინერალური წყლების ექსპორტზე რომ გვეფიქრა, მხოლოდ ამ პროექტით შეიძლებოდა ყოველწლიურად არანაკლებ 600 მლნ. ლარის შემოსავლის მოზიდვა. ხოლო თურქეთის, სამხრეთ აზიის, ეგვიპტის და სხვა ქვეყნების ბაზრების ათვისების შემთხვევაში, მოგება, სავარაუდოდ, მილიარდ ლარსაც გადააჭარბებდა. ამას შეიძლება დაემატოს მტკნარი წყლის ექსპორტიც, რამაც შესაძლოა, შემოსავალი ბევრად გაზარდოს. აღნიშნულთან შედარებით, ჰიდროელექტროსადგურის მიერ გამომუშავებული ენერგიის ექსპორტიდან მიღებული შემოსავლები ზღვაში წვეთია.

> ონის კაშხალი ჰაერის, ნიადაგისა და მცენარეული საფარის დაბინძურებას გამოიწვევს. დაიტბორება 455 ჰექტარი მიწის ფართობი. მუდმივი საფრთხის წინაშე მოექცევა ქალაქი ონიც.

რისკების თავიდან ასაცილებლად ჩასატარებელია სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასება, რომელსაც მართალია, არ ითვალისწინებს ჩვენი კანონმდებლობა, მაგრამ ეს მნიშვნელოვანია მსგავსი პროექტების დასაწყებად და გულისხმობს არა მარტო ეკოლოგიური მდგომარეობის შესწავლას, არამედ ეკონომიკურ და სოციალურ მიზანშეწონილობასაც.

სინამდვილესაა მოკლებული განცხადება, რომ სოფლები არ დაიტბორება. პირველადი მონაცემებით, სოფელ ჭიორას სერიოზული საფრთხე ემუქრება. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ დატბორვის შედეგად გაზრდილი წყლის სარკე უეჭველად გამოიწვევს მიკროკლიმატის შეცვლას და ბევრ სოფელზე მოახდენს ზეგავლენას. შესაძლებელია მოხდეს სოფლის მთლიანი დაცლაც. დაიტბორება დაახლოებით 455 ჰექტარი მიწის ფართობი, რის შედეგადაც წყალი უშუალოდ მიადგება სოფ. ჭიორას და კუთვნილი სასოფლო-სამეურნეო სავარგულების გარკვეული ნაწილი წყალსაცავის ქვეშ აღმოჩნდება.

მუდმივი საფრთხის ქვეშ მოექცევა ქალაქი ონიც, ასევე ღარა, უწერა და მათ ქვემოთ მდებარე დასახლებული პუნქტები, მათ შორის – ამბროლაური, ხვანჭკარა და ქუთაისი. შესაძლო კატასტროფის თავიდან აცილების გარანტი ვერც ერთი მხარე ვერ იქნება.

განადგურდება უწერა-საგლოლოს მონაკვეთში მდებარე მაღალი კონსერვაციის ხელუხლებელი მუქწიწვიანი ტყეებიც, რომელიც უნიკალურია არა მხოლოდ საქართველოს, არამედ მსოფლიოს მასშტაბით.

აცხადებენ, რომ ონის კაშხალი ეკონომიკურად მიმზიდველი პროექტია. ჩვენი ვარაუდით კი, ონის კასკადის მშენებლობა უფრო ძვირი დაჯდება, ვიდრე ნავარაუდევია, შესაბამისად, ის ვერ გახდება ეკონომიკურად მომგებიანი.

გარდა ამისა, ჰიდროელექტროსადგური ექსპლუატაციაში უცხოური კომპანიის მფლობელობით შევა. ქვეყნის ბიუჯეტში გაყიდული ელექტროენერგიის მწირი ნაწილი მოხვდება, რაც წარმოადგენს მხოლოდ კომპანიის, ანუ გამომუშავებული ელექტროენერგიის მომხმარებელი ქვეყნის, და არავითარ შემთხვევაში საქართველოს და ონის მუნიციპალიტეტის ინტერესებს.

4 მილიონამდე ტონა ქანი შესაძლოა, კაშხლის მშენებლობაში იყოს გამოყენებული, მაგრამ მათგან რამდენიმე ათასი ტონა ჰაერში გაიფრქვევა. ეს ჰაერის, ნიადაგისა და მცენარეული საფარის დაბინძურებას გამოიწვევს, ასევე საფრთხის წინაშე დადგება ცხოველთა სამყარო და თევზის უნიკალური სახეობები.

ჰესის მშენებლობაზე ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმების შანსი ფაქტობრივად ნულოვანია და ამას რამდენიმე მიზეზი აქვს: დემოგრაფიული მონაცემებით, რაჭის მოსახლეობის უმეტესობა საკმაოდ ხნოვანია. ისედაც მცირე მოსახლეობაში პროფესიონალი მუშახელი არ მოიძებნება, ამიტომ სამუშაო ადგილები შეიქმნება მხოლოდ უცხოეთიდან ჩამოყვანილი მუშახელისათვის (მაგალითად, ასე მოხდა თბილისის აეროპორტის, გზათა მშენებლობისა და ბაქო-თბილისი-ერზრუმის გაზსადენის პროექტებზეც), რაც საქართველოს, მით უმეტეს, რაჭის ინტერესებში სრულიად არ შედის. უფრო მეტიც, პროექტი მნიშვნელოვნად შეამცირებს ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმების შანსს სოფლის მეურნეობის, ტურიზმის და რეკრეაციული მეურნეობის სფეროებში, რადგან მისი განხორციელების შემთხვევაში, დაახლოებით 3500 ჰექტარი მიწის ფონდი სრულიად დაიკარგება. საერთო ჯამში კი, პროექტი ცუდად იმოქმედებს მთიანი რეგიონის მდგრად განვითარებაზე. შედეგად მივიღებთ ეკომიგრანტებს, რომელთა საცხოვრებლის, სოციალური და მორალური კომპენსაციის საკითხი იმ ხელისუფლების პასუხისმგებლობა იქნება, რომელიც მოსახლეობას მშობლიური კუთხიდან გადასახლებას აიძულებს. o

ბარაკ ობამა და დიმიტრი მედვედევი, მოსკოვი 2009

ფოტო REUTERS / ჯიმ ბანნი

ობამა მოსკოვში

ჩვენ და რუსეთი

საქართველოსთვის მნიშვნელოვან კითხვებზე ცალსახა პასუხი არ არის

მსოფლიოს ბირთვული არსენალის 95 პროცენტის მფლობელი ორი ქვეყნის ლიდერების შეხვედრას განსაკუთრებული მოუთმენლობით საქართველოში ელოდნენ. ამას ორი მიზეზი ჰქონდა.

პირველ რიგში, ამ შეხვედრას პასუხი უნდა გაეცა დღეისათვის ყველაზე აქტუალურ კითხვაზე – იქნება თუ არა მეორე ომი რუსეთთან?

კიდევ ერთი საკითხი, რაც მოსკოვში უნდა გარკვეულიყო – რა ადგილი მიუჩინეს საქართველოს აშშ-ს ახალი ადმინისტრაციის პრიორიტეტების ნუსხაში. არც ერთ ამ კითხვაზე ცალსახა პასუხი ისევ არ არის.

საქართველოს პრეზიდენტი მათ შორისაა, ვინც მიიჩნევს, რომ ობამას მოსკოვში ვიზიტმა და საქართველოს მიმართ გამოხატულმა არაორაზროვანმა მხარდაჭერამ „რუსეთის აგრესიული გეგმა უახლოეს პერსპექტივაში ჩაშალა და ომი აღარ იქნება“.

მათთვის კი, ვინც ფიქრობდა, რომ რაციონალური თვალსაზრისით, საქართველოს წინააღმდეგ ომის დაწყება რუსეთს არც ობამას ვიზიტამდე აძლევდა ხელს, და მით უფრო – არც დღეს, ომის საფრთხე კვლავაც დღის წესრიგშია. ტრადიციული, რკინის არგუმენტი ისევ ძალაშია: რუსეთის პოლიტიკა ლოგიკას არ ექვემდებარება.

ექსპერტების აზრი იყოფა მეორე მნიშვნელოვან საკითხზეც. ნაწილი მიიჩნევს, რომ საქართველოს, რომლის ტერიტორია დღესაც ოკუპირებულია რუსეთის მიერ, ბარაკ ობა-

> პრემიერ პუტინთან შეხვედრის შემდეგ, „ახალ ეკონომიკურ სკოლაში“ გამოსვლისას აშშ-ს პრეზიდენტმა თქვა: „სახელმწიფო სუვერენიტეტი საერთაშორისო წესრიგის ქვაკუთხედი უნდა იყოს. ზუსტად ასევე, ყველა სახელმწიფოს უნდა ჰქონდეს უფლება, აირჩიოს საკუთარი ლიდერები. სახელმწიფოებს უნდა ჰქონდეთ უფლება, იქონიონ უსაფრთხო საზღვრები და გაატარონ საკუთარი საგარეო პოლიტიკა... ეს პრინციპი ყველა სახელმწიფოს უნდა ეხებოდეს, მათ შორის – საქართველოს და უკრაინას“.

ბარაკ ობამა და დიმიტრი მედვედევი, მოსკოვი 2009

ფოტო REUTERS / ბრიტანი დუკორი

„არ მოგატყუებთ, რომ შეერთებული შტატები და რუსეთი ყველა საკითხზე თანხმდებიან. მაგალითად, საქართველოს შესახებ გულწრფელი დისკუსია გვქონდა, და მე კიდევ ერთხელ გამოვხატე ჩემი მტკიცე რწმენა, რომ საქართველოს სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას პატივი უნდა ვცეთ. ჩვენ ისევ ვმუშაობთ ჩვენს უთანხმოებაზე საქართველოს საზღვრებთან დაკავშირებით, მაგრამ ნამდვილად ვთანხმდებით, რომ სამხედრო კონფლიქტის განახლება არავის ინტერესებში არ შედის“, – განაცხადა ბარაკ ობამამ პრესკონფერენციაზე.

მამ არასათანადო ყურადღება დაუთმო და ამით მიანიშნა, რომ თეთრი სახლის დღის წესრიგში საქართველოს ადგილი უფრო მოკრძალებულია, ვიდრე წინა ადმინისტრაციის დროს.

მეორენი კი ამბობენ, რომ ობამას მიერ მოსკოვში გაკეთებული განცხადებები თავისთავად იმის მანიშნებელია, რომ ამერიკამ არ „დათმო“ საქართველო, უფრო მასშტაბური გლობალური პრობლემების მოგვარების სანაცვლოდაც კი.

ბარაკ ობამას მოსკოვში ორი საჯარო გამოსვლა ჰქონდა – დიმიტრი მედვედევთან შეხვედრის შემდეგ გამართული ერთობლივი პრესკონფერენცია და ლექცია „ახალ ეკონომიკურ სკოლაში“. საქართველო მან ორივე გამოსვლაში ახსენა. ამ განცხადებებით ობამამ უარი თქვა, ეღიარებინა მოსკოვის პრივილეგირებული ინტერესების სფერო ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში.

მართალია, არც მედვედევმა და არც პუტინმა ობამას პირდაპირი წინააღმდეგობა არ გაუწიეს საქართველოს საკითხთან მიმართებაში, მაგრამ ის, თუ როგორ გაშუქდა ეს თემა რუსულ მედიაში, ცალსახად იმის მანიშნებელია, რომ კრემლი საქართველოსთან მიმართებაში პოლიტიკის შეცვლას არ აპირებს.

ამ მხრივ ყველაზე სიმპტომატური პუტინის ადმინისტრაციის წარმომადგენლის, იური უშაკოვის განცხადება იყო, რომელმაც პუტინი-ობამას შეხვედრის შემდეგ თქვა: „აშშ-ს პრეზიდენტი შეჰპირდა პრემიერ პუტინს, რომ გაითვალისწინებს პოსტსაბჭოთა სივრცეში რუსეთის განსაკუთრებულ ინტერესებს“.

„ყველაფერი, რაც უნდა ეთქვა, ობამამ თქვა. თუმცა, დამაფიქრებელია რუსული მედიის გზავნილი, რომელიც ასეთი იყო: აი, ხედავთ, ობამამ ჩააბარა საქართველო რუსეთს“, – ამბობს ბრიტანული ჟურნალ „ეკონომისტის“ მოსკოვის ბიუროს ხელმძღვანელი არკადი ოსტროვსკი.

ობამას განცხადება, რომ მედვედევთან გულწრფელი საუბრის შემდეგაც კი ის არ ეთანხმება მას საქართველოს საკითხში, ნიშნავს, რომ თბილისი, ვაშინგტონისა და მოსკოვის დიალოგში ყველაზე რთულ და მგრძნობიარე თემად დარჩა.

„ბირთვული შეიარაღების შემცირება რუსეთში თავისთავად, ხელმოწერების გარეშე მოხდება, რადგან რუსეთის ბირთვული შეიარაღება ძალიან მალე ძველდება. ამიტომ ამერიკისთვის მთავარი იყო, შეექმნა პლატფორმა, რათა დალაპარაკებოდა რუსეთს – ამბობს ოსტროვსკი, – აქ არ არის საუბარი იმაზე, რომ რუსეთი აფხაზეთიდან და სამხრეთ ოსეთიდან გავიდეს. ობამას მშვენივრად ესმის, რომ ეს არ მოხდება. მისი მთავარი ამოცანა ომის თავიდან აცილება იყო“.

თუმცა, რუსეთის პირველი პირების დუმილი და რუსული პოლიტიკური ელიტის რიტორიკა არ იძლევა იმის თქმის საფუძველს, რომ კრემლში საქართველოსთან ომზე აღარ ფიქრობენ. ვაშინგტონმა მხოლოდ ირიბად გაიცხა მოსკოვი ცეცხლის შეწყვეტის შესახებ აგვისტოს ხელშეკრულების აშკარა დარღვევის გამო, რაც გასულ აგვისტოს მიღწეული სტატუს კვოს შეცვლის საბაბი ვერ გახდება.

„ობამამ ორჯერ ახსენა საქართველო და უკრაინა თავის გამოსვლაში, მაგრამ – მხოლოდ მთელი რიგი საკითხების შემდეგ. ქართველებმა ეს კონტექსტი უნდა გაითვალისწინონ: კავკასია აღარ იქნება ამერიკის საგარეო პოლიტიკაში იგივე დონის პრიორიტეტი, როგორიც იყო ჯორჯ ბუშის დროს, ხოლო ამერიკელი ოფიციალური პირები უკვე ეუბნებიან ევროპელებს, რომ ევროპამ რეგიონში უფრო აქტიური როლი უნდა შეასრულოს“, – ამბობს ბრიტანელი ექსპერტი კავკასიის საკითხებში თომას დე ვაალი.

შესაძლოა, ბარაკ ობამას ვიზიტმა საქართველო ამ აგვისტოში ომისგან იხსნა, მაგრამ არა რუსული გავლენის სფეროსგან. პოსტსაბჭოთა სივრცეში, კონკრეტულად კი სამხრეთ კავკასიაში, გავლენის შენარჩუნება რუსეთისთვის ნაციონალურ ინტერესს წარმოადგენს, რომელსაც არასდროს დათმობს, ვიდრე მას ამის საშულებას მისცემენ.

ლიბერალი ონლაინ

ყოველდღიურად განახლებადი ინფორმაცია, სტატიები, ბლოგები, კომენტარები

ლ მეზობლები

ილუსტრაციის ავტორი ბაბანინა

სამხრეთ კავკასიის რეგიონული უსაფრთხოება

ქვეყანა «კავკასია»

სამხრეთ კავკასიის სამი სახელმწიფო რეალური დამოუკიდებლობის მოპოვებას მხოლოდ მაშინ შეძლებს, თუკი უსაფრთხოების ერთიანი სისტემის სანაცვლოდ, სუვერენიტეტის გარკვეულ ელემენტებს შეელევა.

მარგარიტა ახვლედიანი

„ეს მხოლოდ თეორიულადაა შესაძლებელი“, – ამბობს ექსპერტების უმრავლესობა, ვინც ისმენს თეზისს იმის შესახებ, რომ სამხრეთ კავკასიის ქვეყნებს საშინაო და საგარეო პრობლემების გადაჭრის მხოლოდ ერთი გზა აქვთ: იმოქმედონ არა როგორც ცალკეულმა ქვეყნებმა, არამედ როგორც რეგიონულმა ერთეულმა; როგორც ქვეყანამ, სახელწოდებით – კავკასია.

სინამდვილეში, ასეთი ქვეყანა უკვე არსებობს. საგარეო პოლიტიკური მოთამაშეები ჩვენთან – ქართველებთან, სომხებთან, აზერბაიჯანელებთან ურთიერთობენ როგორც ერთიან რეგიონთან და არა ცალკეულ ქვეყნებთან; როგორც ერთ სხეულთან, რომელსაც სამი თავი აქვს.

ევროკავშირმა შეიმუშავა ახალი პროგრამა Eastern Partnership, რომლის მთავარი მიზანია, აიძულოს სამხრეთ კავკასიის ქვეყნები, დაინახონ გამაერთიანებელი ფაქტორები. აშკარაა, რომ მეორე დაინტერესებული საგარეო მოთამაშეც – რუსეთი, რომელიც რეგიონში ქირურგიულ ოპერაციებს ახორციელებს, კავკასიაში ასევე ერთ ორგანიზმს ხედავს და არა სამს. ამის ერთ-ერთი მაგალითია ის, რომ ბოლო დროს რუსეთი ცდილობს, ფარული დაშინებითა თუ ღია სატყუარებით გადაიბიროს ერთ-ერთი „თავი“ – აზერბაიჯანი. ექსპერტთა ნაწილი მიიჩნევს, რომ ამ თამაშით მოსკოვს რეგიონში თურქეთის გავლენის შესუსტება და ორი დანარჩენი „თავის“ დეზორიენტირება სურს: საბოლოოდ დაიმორჩილოს სომხეთი და იზოლაციაში მოაქციოს საქართველო.

ანალიტიკოსი იგორ იურგენსი, რომელიც მოსკოვის თანამედროვე განვითარების ინსტიტუტს ხელმძღვანელობს (ამ ინსტიტუტის სადამკვირვებლო საბჭოს ხელმძღვანელი რუსეთის პრეზიდენტი დიმიტრი მედვედევია), ჟურნალ „როსიისკიე ვესტი“-სთვის მიცემულ ინტერვიუში ამბობს: „კავკასია – რთული რეგიონია. აქ თითოეულ სახელმწიფოში ჩვენ საკუთარი ინტერესები და, შესაბამისად, ზემოქმედების ბერკეტები გვაქვს. წარმატება დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად მარჯვედ გამოიყენებს ამ ბერკეტებს ჩვენი საგარეო პოლიტიკური ელიტა. სხვა ტერიტორიებისგან იზოლირებული სომხეთი და ჩვენი განსაკუთრებული ურთიერთობები თურქეთთან, რომლებიც შეიძლება გაძლიერდეს; რუსეთის ნათესაობა აზერბაიჯანის ენერგეტიკულ კომპლექსებთან; საქართველოს მოსახლეობის უკმაყოფილება საკუთარი ხელისუფლებით – ეს ის ფაქტორებია, რომელთა სწორად გამოყენება რუსეთის პოზიციებს კავკასიაში გააძლიერებს“.

სიტუაცია რაღაცით სამხრეთ კავკასიის სამი მეამბოხე რესპუბლიკის – აფხაზეთის, სამხრეთ ოსეთისა და მთიანი ყარაბაღის მდგომარეობას ჰგავს. მათ აღიარეს საკუთარი თავი, მაგრამ მსოფლიომ არ აღიარა ისინი.

„ქვეყანა“ კავკასიასთან დაკავშირებით კი ყველაფერი პირიქითაა – რეალურად, მასზე, როგორც ერთიან ორგანიზმზე, ორიენტაციას აკეთებს მთელი მსოფლიო, თუმცა თავად ამ „ქვეყნის“ მაცხოვრებლებს ამ ფაქტის აღიარება არ სურთ.

სამივე ქვეყანაში პოლიტიკური იდეა ასეთია: თითოეულს ეკონომიკურად გაძლიერება უნდა არა იმისათვის, რომ ევროპული ოჯახის წევრი გახდეს, არამედ რეგიონში დომინანტური მდგომარეობა მოიპოვოს და სადავო საკითხები თავის სასარგებლოდ გადაწყვიტოს.

უკვე ოცი წელია, სამხრეთ კავკასიის სამივე ქვეყანა ამ ლოგიკის ერთგულია, რის გამოც, მთელი რეგიონი ერთ ადგილას ბუქსაობს. ირგვლივ დამწვარი საბურავების სუნი დგას. საგარეო მოთამაშეები ამას ხედავენ და, მიუხედავად მათი მიზნებისა, კავკასიას, როგორც ერთიან რეგიონს ისე აღიქვამენ. ალბათ დადგა



დრო, თავადაც გამოვიტანოთ დასკვნები.

ქართველ, აზერბაიჯანელ და სომეხ ექსპერტებთან საუბრების შემდეგ დაახლოებით ისეთი სქემა იკვეთება, რომელიც რუკაზეა ნაჩვენები.

ბორის ნავასარდიანი, სომეხი ანალიტიკოსი, ერევნის პრესკლუბის პრეზიდენტი:

„მე სწორედ ამ რადიკალური იდეის მხარდამჭერი ვარ. ეს ერთადერთი გამოსავალია ჭაობიდან, რომელშიც მთელი რეგიონია ჩათრეული. გარე სამყაროსთან ურთიერთობისას სამხრეთ კავკასია ერთიანი უნდა იყოს. რეგიონის ფარგლებში სამივე ქვეყანას შეიძლება ჰქონდეს წინააღმდეგობები, პრობლემები, მაგრამ გარე მოთამაშეების მხრიდან სხვადასხვა მანიპულაციისგან დამცავი მექანიზმი საერთო უნდა იყოს“.

„სამწუხაროდ, ეს არც ერთ ქვეყანას გააზრებული არ აქვს. დიდი როლი ითამაშა თავის დროზე ამბიციებმა, ნაციონალურმა ეგოიზმმა. რეგიონის მომავალზე ყველას საკუთარი ხედვა ჰქონდა და ერთმანეთს თავს ახვევდნენ, პარტნიორებთან განხილვის გარეშე. ამასთან, რეგიონში მცხოვრები თითოეული ადამიანისთვის საკვანძო პრობლემა უსაფრთხოების საკითხის გადაწყვეტა – დამოკიდებულია სწორედ ამ კინკლაობის დასრულებაზე. ერთმანეთთან თანამშრომლობის გვერდის ავლით რეგიონში უსაფრთხოების მიღწევა თეორიულადაც შეუძლებელია. ილუზიაა იმის მტკიცება, რომ შეიძლება შეხვიდე რომელიმე ალიანსში და უსაფრთხოების საკითხი მეზობლების მონაწილეობის გარეშე გადაწყვიტო.

იდეალური მოდელი იქნებოდა რეგიონში სხვადასხვა უსაფრთხოების სისტემის შეთავსება ისე, რომ პარტნიორებს არ ჰქონდეთ სხვა გამოსავალი, თუ არა ბალანსირება სხვების მხარდაჭერით. ასეთი მოდელის შემუშავება შესაძლებელია, მაგრამ ამისათვის აუცილებელია სურვილი და ბევრი მუშაობა. ჩემი აზრით, სამხრეთ კავკასიის, როგორც ერთიანი რეგიონის ფორმირება, უსაფრთხოების ერთიანი სისტემითა და ერთიანი ეკონომიკით, შეიძლება მხოლოდ აქტიური საგარეო ჩარევის შედეგად“.

ჟურნალისტური გაერთიანება Yeni Nesil–ის თავმჯდომარე, ბაქოელი პოლიტოლოგი არიფ ალიევი მიიჩნევს, რომ „ვიდრე მოდელზე, მექანიზმზე დაიწყება მუშაობა, ჯერ საჭიროა, შეიქმნას შესაფერისი საზოგადოებრივი აზრი და მოხდეს იმის გააზრება, რომ ეს მართლაც საჭიროა. თუ ამ იდეას, თუნდაც არაჩვეულებრივად დამუშავებულს, მაგიდაზე დავდებთ, მას არავინ მიაქცევს ყურადღებას, რადგან ჩვენი წარმოდგენა რეგიონულ თანამშრომლობაზე და მის მნიშვნელობაზე მცდარია. ვფიქრობ, მაგალითად, საქართველოს დღევანდელი ინტენსიური ურთიერთობა აზერბაიჯანთან სინამდვილეში მთლად გულწრფელი არ არის. ვიწრო წრეში ალბათ აღიარებენ კიდეც, რომ ეს არის იძულებითი სიახლოვე მაშინ, როცა საქართველო გულწრფელად მოხარული იქნებოდა ევროპულ ესტონეთთან თანამშრომლობის“.

სამხრეთ კავკასიის სამი ქვეყნიდან რომელს შეუძლია დღეს რეგიონული თანამშრომლობის მიმართ მიდგომა შეცვალოს? რომელ ქვეყანას შეუძლია დანარჩენებიც აიყოლიოს ამ გზაზე?

„საგარეო ფაქტორის სახით, ვხედავ თურქეთს, – ამბობს ბორის ნავასარდიანი, – თუ თურქეთი შემოიტანს უფრო თანამედროვე მეთოდებს, რომლითაც პლანეტის ცივილიზებული ნაწილი მოქმედებს ქვეყნებს შორის არსებული პრობლემების გადასაწყვეტად, ეს იქნება სერიოზული გარღვევა. მაგალითად, თუ თურქეთი გახსნის საზღვრებს და დაამყარებს დიპლომატიურ ურთიერთობებს, ამით სხვებსაც აიძულებს, ფეხი აუბან ახალ რეალობას, ახალ მიდგომას“.

„ეს შეცვლის ყარაბაღის კონფლიქტში მონაწილე მხარეების დამოკიდებულებას კონფლიქტისა და მისი გადაჭრის გზების მიმართ; შეცვლის საქართველოს წარმოდგენას იმაზე, რომ რეგიონის დანარჩენი ნაწილი მისთვის დღეს არავითარ ფასეულობასა და ინტერესს არ წარმოადგენს. ეს ერთ-ერთი ვარიანტია, თუმცა – ყველაზე ხელშესახები, თუ გავითვალისწინებთ სომხეთსა და თურქეთს შორის ბოლო დროს განვითარებულ მოვლენებს“.

შესაძლოა, ესეც ილუზიაა, მაგრამ ბოლო დროს თითქოს შეინიშნება რეგიონული ლიდერების დაფიქრება იმაზე, რომ ხელში ჰყავთ ქათამი, რომელსაც შეუძლია ოქროს კვერცხები დადოს.

ამაზე მეტყველებს ერთმანეთთან შესამჩნევად გახშირებული ვიზიტები.

მიხეილ სააკაშვილის ერევანში ბოლო ვიზიტმა კი ექსპერტები გააკვირვა – საქართველოს პრეზიდენტს ღირსების ორდენი გადასცეს. რუსეთში ამ ფაქტს დიდი უკმაყოფილება მოჰყვა. „არ შეიძლება აფურთხო ჭაში, საიდანაც წყლის დალევა თავად მოგიწევს“, – ეს რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატის ვალერია ბოგომოლოვას სიტყვებია. „სომხეთის ეს ნაბიჯი გამოწვევაა რუსეთისთვის, მით უმეტეს, რომ ეს ქვეყანა ჩვენი სტრატეგიული პარტნიორია“, – განაცხადა რუსეთის დუმის დსთ-სთან ურთიერთობების

„გარე სამყაროსთან ურთიერთობისას სამხრეთ კავკასია ერთიანი უნდა იყოს. რეგიონის ფარგლებში სამივე ქვეყანას შეიძლება ჰქონდეს წინააღმდეგობები, პრობლემები, მაგრამ გარე მოთამაშეების მხრიდან სხვადასხვა მანიპულაციისგან დამცავი მექანიზმი საერთო უნდა იყოს“.

კომიტეტის წარმომადგენელმა ტატიანა მოსკალკოვამ.

დაბეჯითებით თქმა, თუ რატომ გადადგა სერჟ სარქისიანმა ეს ნაბიჯი, ძნელია. შესაძლოა, რუსეთის განაწყენება სურდა ენერგეტიკის სფეროში აზერბაიჯანთან წარმატებული მოლაპარაკებების გამო. არც ის არის გამორიცხული, ამ ჟესტის უკან ბევრად მნიშვნელოვანი რამ იმალებოდეს.

ერთი ცხადია, არც პოლიტიკური სირთულეები და, მით უფრო, არც პოლიტიკური თანამშრომლობა ერთ კონკრეტულ დღეს არ იწყება; არც პოლიტიკური კავშირები იქმნება ერთ დღეში.

ვიღაცამ პროცესს ბიძგი უნდა მისცეს. ჩემი აზრით, ეს უნდა იყოს საქართველო. თუმცა, ჯერ მან უნდა გაიაზროს, რომ ეს ტრანსფორმაცია პირველ რიგში სწორედ მას სჭირდება.

თუ განვაგრძობთ ძველი შეცდომების დაშვებას და ვიფიქრებთ, რომ შეიძლება გავხდეთ ნატო-ს წევრი, როგორც რეგიონის გამორჩეული ქვეყანა, ან ვიყოთ რეგიონის გეოპოლიტიკური ცენტრი ამ საქმეში მეზობლების მხარდაჭერის გარეშე – მაშინ ფეთქებადსაშიშ კავკასიაში პრობლემების რიცხვი მხოლოდ მოიმატებს.

„ვიდრე ჩვენ ურთიერთობებს ჩვენს შორის არსებული განსხვავებები განსაზღვრავს, ჩვენ მათ ვაძლიერებთ, ვინც სიძულვილს თესავს და არა მშვიდობას. ჩვენ მათ ვმატებთ ძალას, ვინც კონფლიქტებს უწყობს ხელს და არა თანამშრომლობას; თანამშრომლობას, რომელიც მსოფლიოში ყველა ადამიანს დაეხმარებოდა სამართლიანობისა და კეთილდღეობის მიღწევაში. ეჭვისა და წინააღმდეგობების ეს ციკლი უნდა დასრულდეს“, – განაცხადა 4 ივნისს ბარაკ ობამამ ქაიროში. შეიძლება პათეტიკურად ჟღერს, მაგრამ ძნელია, ამ სიტყვებს არ დაეთანხმო.

ჩრდილოეთ კავკასია – ინგუშეთი

არც ომი, არც მშვიდობა

ჩრდილოეთ კავკასია განწირულია მრავალწლიანი კონფლიქტებისთვის >>

ტომ ნათვუდი

■ თავდასხმა იუნუს-ბეკ ევკუროვის კორტეჟზე , ნაზრანი 2009

ფოტო REUTERS / სტრინგერი

ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკების მაღალჩინოსნებზე თავდასხმების ჯაჭვის ბოლო რგოლი იყო ინგუშეთის პრეზიდენტის, იუნუს-ბეკ ევკუროვის კორტეჟზე თვითმკვლელის თავდასხმა, რომლის შედეგადაც დაცვის ორი წევრი დაილუპა, თავად პრეზიდენტი კი აქამდე მძიმე მდგომარეობაშია.

კომენტატორები თანხმდებიან, რომ ეს თავდასხმა ევკუროვის ერთგვარი კონსტრუქციული კურსის საპასუხოდ მოხდა. თუმცა, არავინ განმარტავს ამ კურსის კონკრეტულ შინაარსსა და იმას, თუ რითი განსხვავდება იგი ინგუშეთის ყოფილი პრეზიდენტის მურატ ზიაზიკოვის პოლიტიკური კურსისგან. ევკუროვს მართლაც ეკუთვნის ბევრი სამართლიანი გამონათქვამი დემოკრატიაზე, თავისუფლებასა და ადამიანის უფლებებზე, თუმცა რეალურად, ხელისუფლებაში მისი მოსვლის შემდეგ ძალოვანი ოპერაციების მსხვერპლმა გაცილებით იმატა.

ახალი მეთაურის დამსახურებებს მიათვლიან კორუფციასთან ბრძოლასაც. მეტიც, ერთ-ერთი ძირითადი ვერსიის მიხედვით, ევკუროვზე თავდასხმის დამკვეთებად სწორედ კორუმპირებულ ჩინოვნიკებს მიიჩნევენ. მართლაც, კორუფციასთან დაკავშირებული სისხლის სამართლის 30-მდე საქმეა აღძრული. თუმცა, ამ საქმეებში მხოლოდ მესამე და მეოთხე ხარისხის ჩინოვნიკები ფიგურირებენ, რომლებიც მწირ არალეგალურ შემოსავალს იღებენ. მათ შორისაა ზიაზიკოვის დროინდელი სპორტის მინისტრი, რომელიც იმით არის ორიგინალური, რომ იმდროინდელ განუკითხაობის პერიოდშიც კი მოახერხა სასამართლო გარჩევის ობიექტი გამხდარიყო.

ევკუროვის კორუფციასთან ბრძოლის აბსოლუტურ პროფანაციაზე მეტყველებს ის გარემოებაც, რომ ხელისუფლება მისი მმართველობის პირობებში არც გამჭვირვალე გამხდარა და არც დაქვემდებარებული. ეს ბრძოლა ძველი დროის კორუფციული სქემის ახალი კორუფციონერების სასარგებლოდ გარდაქმნას უფრო ჰგავს. ხელისუფლების კორუმპირებულობის ახლანდელ ხარისხზე წარმოდგენას გვიქმნის გაზეთ „მოსკოვსკი კომსომოლეცის“ ჟურნალისტური გამოძიება: აღმოჩნდა, რომ ევკუროვის მერსედესი კუსტარული წესით დაიჯავშნა, თუმცა პრეზიდენტის ოთხი ავტომობილისთვის განკუთვნილი პარკის შესაძენად რეგიონული ბიუჯეტიდან 2 600 000 ამერიკული დოლარი გამოიყო. როგორც გამოძიებიდან ირკვევა, გამოყოფილი სახსრების 80% მოიპარეს.

საინფორმაციო სივრცეში ევკუროვი ჯერ კიდევ მხარდაჭერით სარგებლობს. კომენტატორები და ექსპერტები, რომლებიც სულ ახლახან ამტკიცებდნენ, რომ რეგიონული კრიზისი აშკარად არაკომპე-

ტენტური ზიაზიკოვის გადადგომისთანავე მოგვარდებოდა, ჯერ კიდევ არ არიან მზად, საკუთარი შეცდომები აღიარონ. თუმცა, ინგუშეთის საზოგადოებამ ახალი პრეზიდენტისადმი ნდობა ძალიან სწრაფად დაკარგა. მნიშვნელობა არა აქვს, თუ რამდენი ილაპარაკა ევკუროვმა თანასწორობის და ადამიანური ღირსების ფასეულობათა პატივისცემაზე. არც იმას აქვს მნიშვნელობა, თუ რამდენად ხშირად ხვდებოდა ის საზოგადოების წარმომადგენლებს და მათთან ხელისუფლების დაქვემდებარებულობაზე მსჯელობდა.

საბოლოო ჯამში, ეს ყველაფერი სრულიად უფასურდება თავისუფალი არჩევნების გარეშე. ცარიელი განცხადებებით ამ ფასეულობების ჭეშმარიტებაში დარწმუნებულ საზოგადოებას ვერ მოატყუებ. პირველად ინგუშეთის კრიზისზე, როგორც სახელმწიფოს კრიზისზე, აზრი გამოთქვა პოლ გობლმა, ყოფილი საბჭოთა კავშირის ეთნიკური პრობლემების ცნობილმა ექსპერტმა. სინამდვილეში, კრიზისი მას მერე დაიწყო, რაც არჩეული და პოპულარული რუსლან აუშევი მოსკოვის ზეწოლით გადადგა, ხოლო ინგუშებს ხელისუფლების თავისუფლად არჩევის საშუალება ჩამოერთვათ. მთლიანობაში რუსეთისთვის არჩევნების გაუქმებას, სახელმწიფოს ლეგიტიმურობის თვალსაზრისით, რაიმე არსებითი შედეგი არ მოჰყოლია, რადგან საზოგადოება ნაციონალური და კულტურული გამორჩეულობის იდეებით სულდგმულობს. ინგუშებისთვის თავისუფლება და თანასწორობა ნაციონალური იდეაა. არჩევნების გაუქმებას რეგიონული ხელისუფლების დევალვაცია მოჰყვა, რამაც ვითარება რესპუბლიკაში ცნობილ შედეგებამდე მიიყვანა.

თუ ევკუროვი პრეზიდენტის მოვალეობის შესრულებას ისევ დაუბრუნდება, მას ერთხანს კიდევ ექნება ემოციური მხარდაჭერა საზოგადოებისგან, რომელიც, ბუნებრივია, თანაუგრძნობს ბეწვზე გადარჩენილ პრეზიდენტს. თუმცა ახალი ოპოზიციის შესაქმნელად ნიადაგი უკვე მომწიფდა და წლის ბოლომდე უკვე ჩამოყალიბდება კიდეც. ამჯერად მეტ-ნაკლებად სარწმუნო გამაერთიანებელი იდეა, რუსლან აუშევის დაბრუნება კი არა, თავად პრეზიდენტის არჩევითობის ინსტიტუტის აღდგენა იქნება.

ევკუროვისთვის ერთადერთი შესაძლებლობა, რომ ზიაზიკოვის გზა არ გაიმეოროს, არის – ჩამოაყალიბოს ფართო საზოგადოებრივი კოალიცია, რომელთან ერთადაც ზედმეტ ვალდებულებებსა და პასუხისმგებლობას გაინაწილებს, ჩაატაროს თავისუფალი მუნიციპალური არჩევნები, მხარი დაუჭიროს ადგილობრივ თვითმმართველობებსა და სათვისტომოებს, საკუთარ ხელში მოიქციოს კონტროლის ფუნქცია და გაატაროს რეგიონული, კერძოდ, ადმინისტრაციული რეფორმები; იდეალურ შემთხვევაში – რეგიონის მეთაურების არჩევნების აღდგენის ფედერალურ დონეზე მხარდაჭერა. თუმცა, ჩამოთვლილიდან თუნდაც ერთი პუნქტის შესრულების ალბათობა ნულს უტოლდება. ამიტომაც, უახლოეს წლებში, ვიდრე კრემლი ახალი მეთაურის დანიშვნას ისე შეძლებს, რომ სახე არ დაკარგოს, ევკუროვისთვის მთავარ ამოცანად რჩება, ფიზიკურად გადარჩეს.

მიუხედავად იმ აჟიოტაჟისა, რაც მედვედევის მიერ გაკეთებულ განცხადებას

ფოტო REUTERS / სტრინგერი

ტერაქტის შედეგად აფეთქებული სახლი, ნაზრანი 2009

მოჰყვა, რომლის მიხედვითაც, მან ინგუშეთის ძალოვანი სტრუქტურების ხელმძღვანელობა ჩეჩნეთის მეთაურ რამზან კადიროვს მიანდო, რაც, სხვათა შორის, მთლიანად რესპუბლიკის მართვას შეიძლება ნიშნავდეს, და ამ უკანასკნელმაც აშკარა ენთუზიაზმით მიიღო ეს სიახლე, ამ დავალებას ასრულება მაინც არ უწერია. მართალია, საზოგადოების აგრესიული ისლამიზაცია გრძელდება, მაგრამ კადიროვისეული აზიატური მართვის სტილი ინგუშებში ძველებურად გაუცხოებას იწვევს. მცდარი იქნებოდა სიტყვასიტყვით გაგვეგო რუსლან აუშევის ამასწინდელი განცხადება იმის შესახებ, რომ ის მზადაა, დროებით უხელმძღვანელოს რესპუბლიკას. ეს კრემლისთვის სამსახურის შეთავაზება კი არ იყო, არამედ საკუთარი ნაციისადმი საკმაოდ მკაფიო მხარდაჭერის გამოხატვა და სიფრთხილე რესპუბლიკის საქმეებში გარეშე ძალის ჩარევის წინააღმდეგ. ყველანაირი საფუძველი არსებობს იმის სავარაუდოდ, რომ კრემლი ამ სიგნალს გაიგებს.

კონფლიქტის მიზეზები ყველა ჩრდილოკავკასიურ რესპუბლიკაში განსხვავებულია, მაგრამ არსებობს ორი – საერთო: დემოგრაფია და საქართველო. ინგუშეთის, ჩეჩნეთისა და დაღესტნის მზარდ მოსახლეობას რუსეთის სხვა რეგიონებში სოციალურად დამკვიდრების შესაძლებლობა შეზღუდული აქვს. ახალგაზრდობის დიდი ნაწილი სამგვარი არჩევანის წინაშე დგას: შსს-ში მუშაობა, არაბულ ქვეყნებში რელიგიური განათლება, ან პირდაპირ ტყეში გასვლა. ასე რომ, საზოგადოება ამ რეგიონში დუნედ მიმდინარე ომის პირობებში ყალიბდება, და ეს სულაც არ უზღუდავს რუსეთს ამიერკავკასიაში მოქმედების შესაძლებლობას.

მეორე მხრივ, ჩრდილო კავკასიის შეერთება რუსეთისთვის აქტუალური მხოლოდ მას შემდეგ გახდა, რაც მის შემადგენლობაში საუკუნეების წინ საქართველო შევიდა. ჩრდილოეთ კავკასიაში ინტერესთა ბალანსი მკვეთრად მხოლოდ მას შემდეგ შეიცვლება, რაც საქართველოს დამოუკიდებლობა მოსკოვისთვის შეუქცევად ფაქტად იქცევა.

თუ უკუვაგდებთ არარეალურ სცენარებს, მაგალითად იმას, რომ უახლოეს მომავალში რუსეთი ლიბერალურ საზოგადოებად გადაიქცევა და სახელმწიფოს დამოკიდებულება ადამიანისა და მისი უფლებებისადმი რადიკალურად შეიცვლება, იმის აღიარება მოგვიწევს, რომ ჩრდილოკავკასიური კონფლიქტი დღევანდელი ინტენსიურობით კიდევ მრავალ წელიწადს გასტანს.

ირანი არჩევნების შემდეგ

არჩევანი – ჩვენ!

საპრეზიდენტო არჩევნების შემდგომ განვითარებულმა მოვლენებმა ირანის შიდა სიტუაცია და ამ სიტუაციის მთავარი წარმმართველი ძალები ახალი გამოწვევების წინაშე დააყენა >>

ლექსო ჩქარეული

ფოტო REUTERS / ამრიგზეზა ნიკუბაზი

ირანელი ხალხისათვის ალბათ მოულოდნელი არ ყოფილა მმართველი რეჟიმის რეაქცია და დამოკიდებულება საერთოეროვნული პროტესტის მიმართ. მიუხედავად გარკვეული ილუზიებისა, ირანელებს ძალიან კარგად ესმოდათ, რომ რეჟიმი თავის დასაცავად და საკუთარი არსებობის გასახანგრძლივებლად – არანაირი, მათ შორის არც ძალისმიერი საშუალებების გამოყენებას მოერიდებოდა.

ამის მიუხედავად, თავგანწირვამ, რომელიც არჩევნების შედეგების გამოცხადებიდან მეორე დღეს დაიწყო, ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. ბევრმა ჟურნალისტმა და გარედან დამკვირვებელმა შექმნილი ვითარება მმართველი რეჟიმის დასასრულად შეაფასა.

თუმცა, ექსპერტები, რომლებიც ირანს შიგნიდან იცნობენ, ასეთ ოპტიმისტურ პროგნოზს თავიდანვე უსაფუძვლოდ მიიჩნევდნენ და თავიანთ პოზიციას რამდენიმე არგუმენტით ასაბუთებდნენ.

ამ არგუმენტთაგან ყველაზე წონიანი იყო ის გარემოება, რომ ტერმინი „რეფორმისტები“, რომელსაც ხშირად ირანის ოპოზიციურ ძალებს მიუსადაგებენ, სრულიადაც არ გულისხმობს იმას, რასაც დასავლეთში ირანთან დაკავშირებით ამ ტერმინის გამოყენებისას გულისხმობდნენ.

ირანში მმართველობის სისტემის რეფორმირება შეუძლებელია ქვეყნისა და საზოგადოების მოწყობის დასავლური მოდელების შესაბამისად. რელიგიური სამართლის ის ნორმები, რომლებიც ირანსა და ისლამური წყობის ქვეყნებში მოქმედებს, საფუძველშივე ეწინააღმდეგება სეკულარული საზოგადოებების საუკუნეობით გამოვლილ პრინციპებს ადამიანის უფლებათა დაცვისა თუ სხვა ჰუმანიტარულ სფეროებში.

ამიტომაც, რეფორმა არსებული რელიგიური რეჟიმის ფარგლებში ვერ იქნება ყოვლისმომცველი და ის შეიძლება ეხებოდეს ამა თუ იმ რელიგიური კანონის ახლებურ, შედარებით ცივილიზებულ და დასავლური აზროვნების მოდელებთან ასე თუ ისე ახლო მდგომ ინტერპრეტაციას.

მეორე საკითხი, რაც ირანთან დაკავშირებით აუცილებლად დაისმება, არის არა თუნდაც რელიგიური კანონმდებლობის განუხრელი დაცვა, არამედ ამ

კანონთა მორგება ცალკეული პიროვნებებისა და სახელისუფლებო შტოების სრულიად პრაგმატულ მიზნებსა და ამოცანებზე. ვითარება, როცა არსებითად მნიშვნელოვანია არა თავისთავად კანონი, არამედ ჯგუფი, რომელიც არსებულ კანონებს (იმიტომ, რომ ხელთ განუზომელი სამხედრო და პოლიტიკური ძალაუფლება უპყრია) მუდამ თავის პიროვნულ ამბიციურ გადაწყვეტილებებს შეუხამებს.

პრეზიდენტ ხათამის მოღვაწეობა ზემოთქმულის მკაფიო დადასტურებაა. ხათამი, რომელიც ქვეყანაში მნიშვნელოვანი ცვლილებების დაპირებით მოვიდა, საბოლოოდ თვითონვე იქცა კარგად ორგანიზებული კლანის მეთაურად, რომელიც ძირითადად არაფრით განსხვავდებოდა მანამდე არსებული სხვა სახელისუფლებო შტოებისაგან და რეალურ ცვლილებებზე მეტად თავისი პოზიციების გამყარებაზე ზრუნავდა.

რაც უნდა პარადოქსულად ჩანდეს, ყველაზე მეტი სიახლე და ლიბერალიზმი ხათამის წინამორბედმა – ალი აქბარ ჰაშემი რაფსანჯანიმ დაამკვიდრა, ხოლო პრეზიდენტ ხათამის მთელი ამ მონაპოვრისათვის ბევრი არაფერი შეუმატებია.

პირიქით, სწორედ ხათამის პრეზიდენტობის პერიოდში შეიძინა ამერიკისაგან ირანის დაზვერვის სამსახურმა ინტერნეტის მაკონტროლებელი სისტემა, რომელსაც რეჟიმი წარმატებით იყენებს არასასურველი საიტებისა და ინფორმაციის დასაბლოკად.

ამ სისტემამ რეჟიმს ყველაზე დიდი სამსახური სწორედ არჩევნების შემდგომ დღეებში გაუწია, როცა ხელისუფლებამ პრაქტიკულად ქვეყნიდან დაითხოვა ყველა უცხოელი ჟურნალისტი, ანდა მათ მიმდინარე კადრების გადაღება აუკრძალა. ასეთ ვითარებაში ინფორმაციისა და ხალხის მობილიზების ერთადერთ საშუალებად ინტერნეტრესურსიღა რჩებოდა და, ცხადია, მთელი დატვირთვით თავიდან სწორედ ამ რესურსმა იმუშავა.

საერთოდ, ირანში, უნდა ითქვას, რომ ფართოდაა განვითარებული ქსელური მედიასაშუალებებისა და ფორუმების სისტემა. მოსახლეობის დიდი ნაწილი ჩართულია ამ საშუალებების მუშაობაში.

ამას გარდა, ინტერნეტით მყარდება კავშირი ემიგრაციაში მყოფ ირანელებსა და ქვეყნის დანარჩენ მოსახლეობას შორის, მიმდინარეობს იდეათა ურთიერთგაცვლა და ხშირად მწვავე დისკუსია ამა თუ იმ საჭირბოროტო საკითხზე.

თუმცა არცთუ იშვიათად, როცა ირანში მყოფი სასურველ ინტერნეტ მისამართს აკრეფს, მოთხოვნილი საიტის ნაცვლად, თვალწინ აუციმციმდება გამაფრთხილებელი ნიშანი და წითელი წარწერა: „უკაცრავად! ეს საიტი მისაწვდომი არ არის ისლამურ ღირებულებებთან მისი შეუსაბამობის გამო!“ აღნიშნული გაფრთხილება კი არა მხოლოდ პორნოსაიტებს, არამედ არასასურველ პოლიტიკურ, ანდა რელიგიურ თემატიკასაც მოიცავს.

თავისთავად, საინტერესოა ის ფაქტი, რომ ინტერნეტბლოკირების ეს უახლესი სისტემა ირანის ისლამურმა რესპუბლიკამ დასავლეთისაგან შეიძინა. ამ ერთი ფაქტითაც შესანიშნავად ჩანს ორმაგი სტანდარტის ის რთული და კარგად დიფერენცირებული სისტემა, რომლითაც დასავლეთი და კერძოდ ამერიკის შეერთებული შტატები ირანის საზოგადოებას ეკიდება. რეჟიმს ვაკრიტიკებთ იმის გამო, რომ ძირშივე აღმოფხვრის დემოკრატიის ნებისმიერ გამოვლინებას, მაგრამ ამავე დროს (უმძიმესი ეკონომიკური ემბარგოს პირობებში) ამავე რეჟიმს მივყიდით დემოკრატიის გამოვლინებათა აღმოსაფხვრელ ყველაზე ეფექტურ საშუალებას. ფასი ძვირია და მიზანი ყოველთვის ამართლებს საშუალებას.

თუმცა, ცხადია, გონიერი ადამიანი იმაზეც დაფიქრდება, რა ღირს თავისუფლება ასეთ უპატიოსნო მსოფლიოში, სადაც ირანის რელიგიური ოდიოზური რეჟიმის საპირწონედ ასეთივე ფანატიკური და, საჭიროების შემთხვევაში, ასეთივე ლავირებადი „დასავლური დემოკრატია“ გვევლინება.

ირანელ სტუდენტებს, რომელთაც, შესაძლოა, ქვეყნის რეჟიმისა და მათ შორის სულიერი ლიდერის მიმართ, რაღაც ილუზიები მაინც შერჩენოდათ, საკუთარი საარჩევნო ხმების დაცვა სისხლისა და სიცოცხლის ფასად დაუჯდათ; თანაც ისე, რომ ქვეყნის ხელისუფლება ამ მკვლელობებს ყველა საშუალებით ასაიდუმლოებდა და თავიდან გამოაცხადა, რომ რამდენიმე ადამიანი მიტინგზე ჭყლეტას შეეწირა.

თუმცა ერთ-ერთ ირანულ საიტზე გამოქვეყნებული ფოტოები სულ სხვა რამეს ამტკიცებს. მორგში დასვენებული ახალგაზრდა ბიჭის სხეული ბასრი საგნით, ალესილი ნიჩბის პირითაა გაფატრული. ასე მხეცურად მოკლეს ათეულობით ახალგაზრდა, მათ შორის 21 წლის სტუდენტი ნედა, რომლის სახელიც დასავლურმა მედიამ, ეტყობა, ადვილად დასამახსოვრებელი რომ იყო, უფრო იმიტომაც აიტაცა და კანონიერებისა და თავისუფლებისათვის მებრძოლი ირანელი ახალგაზრდობის სიმბოლოდ აქცია.

ამ ბრძოლას, რომელიც თეირანისა და ქვეყნის სხვა რამდენიმე ქალაქის მნიშვნელოვან მოედნებზე მშვიდობიანი მიტინგების სახით მიმდინარეობდა, ფხიზლად ადევნებდა თვალყურს ქვეყნის უშიშროებისა და პოლიციის სამსახური. ნებისმიერი შეკრება ამ სამსახურის კარგად გაწვრთნილ მუშაკებს, რომლებიც მიმდებარე შენობების ბანებსა და სახურავებზე იყვნენ ჩასაფრებულნი, მიზანში ჰყავდათ ამოღებული.

ძალოვანი სტრუქტურების პარალელურად, აქტიურად მუშაობდა სახელისუფლებო იდეოლოგიის მანქანა, რომელიც ოფიციალური პრესის მეშვეობით ყველანაირ დემაგოგიურ აზრს ნერგავდა მოსახლეობის ფართო ფენებში, ანდა დაუმოწმებლად უარყოფდა დასავლურ მედიაში გავრცელებულ მოსაზრებებს.

შექმნილ სიტუაციას კარგად აგვიხსნის კიდევ ერთ ირანულ საიტზე გამოქვეყნებული პატარა ჩანაწერი: „ვინ მოკლა ნედა?“

„გაზეთი „სეფაჰ“: „ბიბისიმ ავანტიურისტი მოისყიდა და ნედა მოკლა!“

„ირანის ელჩი მექსიკაში: „ნედა ამერიკის უშიშროების სამსახურმა მოკლა!“

„ირანის ოფიციალური ახალი ამბების სააგენტო „ირნა“: „ნედა თვალთმაქცების ჯგუფის (სხვათა შორის, საინტერესოა ყურანიდან წამოსული ამ ტერმინის თანამედროვე ირანული გააზრება: „თვალთმაქცები“ ირანელთა იდეოლოგიაში ისეთ მუსლიმებს ეწოდებათ, რომ-

ინტერნეტბლოკირების უახლესი სისტემა ირანის ისლამურმა რესპუბლიკამ დასავლეთისაგან შეიძინა. ამ ერთი ფაქტითაც შესანიშნავად ჩანს ორმაგი სტანდარტის ის რთული და კარგად დიფერენცირებული სისტემა, რომლითაც დასავლეთი და კერძოდ ამერიკის შეერთებული შტატები ირანის საზოგადოებას ეკიდება.

ლებიც გარეგნულად ისლამს აღიარებენ და მუსლიმური რელიგიური თემის წევრები არიან, მაგრამ შინაგანად და ფარულად ამ თემის საზიანოდ მოქმედებენ, რადგან უცხოეთის მიერ არიან დაფინანსებულნი) სნაიპერმა მოკლა“.

„თეირანის საპარასკევო ლოცვის ხელმძღვანელი: „ნედა თვითონ მეამბოხეებმა მოკლეს!“

„ნედას ექიმი: „ნედა ბასიჯიმ (ხელისუფლების წახალისებითა და ორგანიზებით ჩამოყალიბებული ნახევრად გასამხედროებული სტრუქტურის წევრი; თავისებური სათადარიგო სამხედრო შენაერთები მოსახლეობაში) მოკლა. მკვლელი დაიჭირეს და მისი პირადობის მოწმობა ამოღებულია.

დემაგოგიური პიარ-მანქანა აქტიურად მუშაობს იმაზე, რომ ხელისუფლებისა და, განსაკუთრებით, სულიერი ლიდერის ყველა საქციელი გაამართლოს, თუმცა ხალხს, დიდი ხანია, ზღაპრების აღარ სჯერა და ბოლოდროინდელმა მოვლენებმა ყველაზე მთავარი, ნახევრად მითიური აიათოლა ხამენეის პოზიციებიც კი საგრძნობლად შეარყია.

როგორც ჩანს, ირანელების ერთ ნაწილს მაინც გულუბრყვილოდ სჯეროდა, რომ უსამართლობა მხოლოდ ქვედა რგოლების მიერ დამკვიდრებული მოვლენა იყო და უმაღლეს სასულიერო ლიდერს ბოლო დროს ქვეყანაში დატრიალებულ მახინჯ მოვლენებთან საერთო არაფერი ჰქონდა.

არა მგონია, იდუმალი ძალების დახმარება გვჭირდებოდეს იმის გამოსაცნობად, რა უთხრა და რაზე გააფრთხილა რაფსანჯანიმ ალი ხამენეი. ცხადია, რომ ჰაშემი რაფსანჯანი ლიდერს უამბობდა იმაზე, როგორ გაიგონა რევოლუციის ფეხის ხმა და მოახლოებული მიწისძვრის გუგუნი. ასევე დიდი ფსიქოლოგიური კვლევა არ არის საჭირო იმის გასაგებად, რომ ვივარაუდოთ, რა უპასუხა ამ სიტყვებზე მას ალი ხამენეიმ: ნურას უკაცრავად, მე მოჰამად რეზა ფაჰლავი არ გახლავარ!

სეიედ ალი ხამენეის თავისი აბსოლუტური ძალაუფლების გადასარჩენად არც ისლამზე დასწვია გული და არც მუსლიმთა თემზე. ის მზად არის, სა-

01 ახალგაზრდა აჰმადინეჟადის წინააღმდეგ გამართულ აქციაზე, თეირანი 2009

დასკვნა: ერთმა სნაიპერმა, თვალთმაქცების გავლენის ქვეშ მოქცეულმა ბასიჯიმ, რომელსაც ამბოხება წამოეწყო და ავანტიურისტად ითვლებოდა, „ბიბისი“-საგან, რომელიც ამერიკის დაზვერვის სამსახურის მიერ იმართება, ფული აიღო, ნედას მკვლელობის შემდეგ ქუჩაში მყოფ ერთ-ერთ პიროვნებას თავისი პირადობის მოწმობა ჩააბარა, თვითონ კი მიიმალა“.

არ ვიცი, ქართველი აუდიტორიისათვის რამდენად გასაგები იქნება ამ პოსტის ავტორის დაუფარავი ირონია, მაგრამ ვფიქრობ, ერთი რამ ცხადია, რომ ირანის ხელისუფლებას აბსურდული საშუალებებით უწევს სამუდამოდ დაკარგული ავტორიტეტის დაბრუნება.

2009 წლის საპრეზიდენტო არჩევნებმა სრულიად სხვა სინამდვილე გამოააშკარავა.

ერთ-ერთ ირანულ ვებგვერდზე ჰამიდ მეიდაფის ხელმოწერით გამოქვეყნებულ ტექსტში ვკითხულობთ: „ოდესღაც ჰაშემი რაფსანჯანიმ თავის საპარასკევო ქადაგებაში განაცხადა: 1979 წლის რევოლუციაში გამარჯვება, ჩვენი ძალისა და ძლიერების კი არა, შაჰის უსინდისობისა და აღვირახსნილობის შედეგი იყო!“

ჰაშემი რაფსანჯანიმ ისლამური რესპუბლიკის სულიერ ლიდერს ახლაც, ჯერ არჩევნების მიმდინარეობისას აჰმადინეჟადის არამართლზომიერი ქცევის მამხილებელი ღია წერილი გაუგზავნა, ამის შემდგომ კი წავიდა და პირადად ეახლა.

ჭიროების შემთხვევაში, მილიონობით ირანელის გვამს გადააბიჯოს. ბოლო დღეებში დაჭრილი და მოკლული ათეულობით ჩვენი თანამემამულეც მისთვის მხოლოდ წინასაბრძოლო მოთელვაა და სხვა არაფერი.

საერთოდ, ამ პოსტის გაღიზიანებული ტონი კარგად გამოხატავს ხალხის განწყობას ისლამური სახელმწიფოს სულიერი ლიდერის მისამართით. შეუიარაღებელი თვალითაც კი სრულიად აშკარად ჩანს, რომ ხამენეიმ არჩევანი ხალხსა და ძალაუფლებას შორის თავისი ერთპიროვნული ძალაუფლებისა და იმ კლანის სასარგებლოდ გააკეთა, რომელიც ამ ძალაუფლების სიმყარისა და გახანგრძლივების გარანტიას იძლევა. ამჯერად კლანის მეთაურად, განგებისა

ფოტო REUTERS / 01 რაპეგ კოფაანდი, 02 სტრინგერი

თუ გარემოებათა დამთხვევის წყალობით, მაჰმუდ აჰმადინეჟადი მოგვევლინა, თორემ სხვა შემთხვევაში, მის ადგილას ასეთივე წარმატებით, შესაძლოა, მირ ჰოსეინ მუსავი ყოფილიყო. ამიტომაც ირანელები კარგად ხვდებიან, სად უნდა ეძებონ მთავარი დამნაშავე და ამავე მიზეზით გადაიჭედა სპარსული ინტერნეტსივრცე ქვეყნის სასულიერო ლიდერისადმი მიწერილი ღია საპროტესტო მიმართვებითა თუ ალი ხამენეის მისამართით გამოთქმული კრიტიკული შენიშვნებით.

ერთ-ერთი ავტორის თქმით: „დიდ საქმეებს დიდი ადამიანები სჭირდება. მუსავი კარგი კაცია, ამასთან ძალიან რელიგიური და რიტუალურ ლოცვათა



ახალგაზრდები ინტერნეტ კაფეში, თეირანი 2009

ზედმიწევნით აღმსრულებელი. რევოლუციიდან დღემდე ძალიან შეიცვალა, ისევე, როგორც ქარუბი, მაგრამ ეს ორი კაცი წინ ვერ დაუდგება ხამენეის მსგავსი ველური სასულიერო პირების ხროვას, რომლებიც გველის წიწილები იყვნენ და ამასობაში შხამიან იქედნეებად დაიზარდნენ.

დღეს თავისუფლების მოპოვებისა და ცვლილებათა გატარებისათვის საუკეთესო შანსი მოგვეცა. მუსავისაც შეუძლია თავისი სახელი ერის ისტორიაში ჩაწეროს როგორც მსხნელმა ანდა, წინააღმდეგობის მოძრაობის დაშოშმინებით, საერთოდ გაქრეს პოლიტიკური ავანსცენიდან“.

და კიდევ ერთი ციტატა იმავე ბლოგიდან: „შაჰმა განაცხადა: ჩემი თანამოძმეების, თანამოქალაქეების სისხლში ხელებს არ გავისვრიო! მაგრამ მას იმ დროს რომ 200-300 რელიგიური პირი სახრჩობელაზე ჩამოეკიდა, ახლა, ამ 30 წლის მანძილზე ერთ მილიონზე მეტი მოკლული არ გვეყოლებოდა და თავისუფალი ცხოვრების ნატვრაში ათასობით მსხვერპლს არ გავიღებდით, ციხეებში არ ვისხდებოდით, არ დავიტანჯებოდით და არ ჩავიქოლებოდით!

ჩვენ ქართველების, ევროპელების მსგავსად, ისეთი ცივილიზებული ხალხი არ ვართ, რომ ხავერდოვან რევოლუციას მოვუმზადოთ ნიადაგი! ყოველდღე ვხედავთ ხამენეისა და აჰმადინეჟადის მომხრე ლუმპენპროლეტარ ფანატიკოსებს მეჩეთში საპარასკევო თუ სხვა ლოცვებზე, რომლებიც თითქოს საკუთარი საფლავებიდან გამოქცეულან! შეხედეთ ამ ისლამის მედროშეებს, დედაბრებსაც რომ არ ინდობენ!

შემთხვევითი არ არის, რომ ირანის ისლამური რესპუბლიკის ოფიციალურმა ხელისუფლებამ თავიდან მთავარი დამნაშავეების ძიება სწორედ ქვეყნის გარეთ, კერძოდ კი დასავლეთში დაიწყო. ამ ხერხს ხომ ხშირად იყენებს ხოლმე ყველა წარუმატებელი ხელისუფლება თავისი შეცდომებისა და ნაკლის გასამართლებლად.

ამჟამინდელი მოძრაობისას ირანის ისტორიაში პირველად ხდება, რომ სასულიერო პირები ავანსცენაზე აღარსად ჩანან! ეს სასიკეთო ნიშნად მივიღოთ და სამშობლოს გათავისუფლების შემდეგ ეს შავ-თეთრი რეაქციონერები საერთოდ გავხვეტოთ ჩვენი სამშობლოდან ანუ ერთხელ და სამუდამოდ ჩამოვაცილოთ ისინი პოლიტიკასა და საზოგადოებრივ მეთაურობას, ყუმში მეორე ვატიკანი შევუქმნათ და იქ მივცეთ სამარადისო თავშესაფარი!“

დამოწმებული ვრცელი ციტატიდან კარგად ჩანს ხალხის განწყობა, თუმცა ამ ფონზე ქვეყნის სასულიერო ლიდერს თავი ისე ეჭირა, თითქოს მნიშვნელოვანი არაფერი ხდებოდა და ინტერნეტსივრცეში გაპარულ ასეთი შინაარსის მოწოდებებს ოფიციალურ პრესასა და ნაცად რიტორიკას უპირისპირებდა.

აჰმადინეჟადიც ჯერ კიდევ წინასაარჩევნო პერიოდში პატარა ბიჭს ჰგავდა, რომელიც „მამას“ მის მიმართ განხორციელებულ ძალადობაზე შესჩიოდა. ბოლო ხანს კი თამამად ასახელებდა იმ შინაურ თუ გარეშე მოწინააღმდეგეებს, ვინც მას ღიად თუ ფარულად ექიშპებოდა. „მე მხოლოდ მუსავი ან ქარუბი როდი მიპირისპირდება, – ამბობდა პრეზიდენტი, – მათ უკან დგას კარგად ორგანიზებული ჯგუფი ჰაშემი რაფსანჯანისა და ხათამის მეთაურობით. ორივე მათგანს კი დასავლური იმპერიალიზმი აფინანსებს“!

შემთხვევითი არ არის, რომ ირანის ოფიციალურმა ხელისუფლებამ თავიდან მთავარი დამნაშავეების ძიება სწორედ ქვეყნის გარეთ, კერძოდ კი დასავლეთში დაიწყო. ამ ხერხს ხომ ხშირად იყენებს ხოლმე ყველა წარუმატებელი ხელისუფლება თავისი შეცდომებისა და ნაკლის გასამართლებლად. მაგრამ ირანელებს კიდევ აქვთ ერთი „დამატებითი“ მიზეზი დასავლეთზე საეჭვიანოდ: მათი ისტორიული გამოცდილება შაჰის პერიოდში, როდესაც დასავლეთის მიერ წარმართულმა არასწორმა პოლიტიკამ ქვეყანა კრახის პირას მიიყვანა. ეს მეხსიერება ჯერაც ცოცხალია და ამიტომაც ანტიამერიკული და ანტიევროპული პროპაგანდა ჯერ კიდევ ხვდება ხოლმე მიზანში!

თუმცა თუ ირანის მმართველი გუნდი უფრო ღრმად იაზრებს მომხდარის მიზეზებს, როდესაც თავის მართლებიდან ანალიზზე გადაინაცვლებს, ალბათ უსათუოდ დაფიქრდება იმაზეც, რა უნდა გააკეთოს დაკარგული ავტორიტეტის აღსადგენად.

ჯერჯერობით ხელისუფლებამ მოახერხა სიტუაციის ნორმალიზება: ჩააჩუმა პრეზიდენტობის დამარცხებული კანდიდატები, აქტიურ საქმიანობას ჩამოაცილა მათი მომხრე გავლენიანი პოლიტიკოსები, მაგრამ ვერ შეძლო მთავარი: დასაბუთებული ლოგიკური პასუხი გაეცა საერთო სახალხო უკმაყოფილებისათვის, რომელიც თანდათან ძლიერდება და საჭირო დროს თავის ხელმძღვანელს, ვინც არ გაიყიდება და არანაირ მუქარას აღარ შეუშინდება, თავისი რიგებიდან თვითონვე ამოსტყორცნის.

ელჩინ შაჰმურადოვი ოჯახთან ერთად

ფოტო: თეიმურ ბარძიმაშვილი

მაჰმადიანი მესხები

გზა სამშობლოსკენ

მესხების რეპატრიაციის პროცესი ოფიციალურად ჯერ არ დაწყებულა, თუმცა რამდენიმე ოჯახი უკვე დაბრუნდა საქართველოში. ისტორიულ სამშობლოში მათ ბევრი პრობლემა ელით >>

ოლესია ვართანიანი **აბასთუმანი, თბილისი**

ისლამ ნიაზოვმა თავისი ცხოვრების მერვე ათწლეულზე ისტორიულ სამშობლოში დაბრუნება გადაწყვიტა. 12 წლის იყო, როცა მისი ოჯახი, სტალინის სპეციალური ბრძანებით, საქართველოდან უზბეკეთში გადაასახლეს.

ხანგრძლივი ცხოვრების მანძილზე მან არაერთი საცხოვრებელი ადგილი გამოიცვალა და დიდი ოჯახი შექმნა. ისლამს 11 შვილი ჰყავს. ორი წლის წინ მან და მისმა უმცროსმა ვაჟმა ჩრდილოეთ კავკასიის ერთ პატარა სოფელში სახლ-კარი გაყიდეს და ადიგენის რაიონის სოფელ აბასთუმანში დასახლდნენ.

უზბეკურ „ტიუბეტეიკაში“ გამოწყობილი, თვითნაკეთ ჯოხს დაყრდნობილი ჯმუხი კაცი სიამაყით ათვალიერებს პატარა ბოსტანს. წელს ბევრი კიტრი დათესა, თესლი შვილებმა გამოუგზავნეს მოსკოვიდან. სმენაშეზღუდული ისლამი ორ ენაზე ლაპარაკობს: თურქულის მესხურ დიალექტზე და უზბეკურად. ქართულად ერთი სიტყვაც არ იცის, თუმცა თავისი ქართული გვარი ახსოვს. ადრე იგი აბულაძე ყოფილა.

„ჩვენ კარგად გვესმის მიწის ენა“, – ღიმილით ამბობს იგი.

ნიაზოვის ოჯახი ერთ-ერთია იმ რვა მესხური ოჯახიდან, რომლებიც ამ სოფელში უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში გადმოსახლდნენ. ოცამდე ოჯახი მეზობელ ახალციხის რაიონშია დასახლებული. ბევრი მათგანი უახლოეს მომავალში ნათესავების ჩამოსვლას ელოდება.

ნიაზოვი ისევე, როგორც დანარჩენები ამბობს, რომ საქართველოში ჩამოსვლა მას შემდეგ გადაწყვიტა, რაც სხვადასხვა ქვეყანაში მესხურ სათვისტომოებში ხმა გავარდა, რომ მიხეილ სააკაშვილის მთავრობა მზადაა, მიიღოს ისინი იმ მიწაზე, საიდანაც 65 წლის წინ გადაასახლეს.

თუმცა, მათ არავინ უთხრა, რა სიძნელეების წინაშე აღმოჩნდებოდნენ ისტორიულ სამშობლოში.

2007 წელს პარლამენტმა მიიღო რეპატრიაციის შესახებ კანონი, რომელიც მესხებსაც ეხება. კანონი ითვალისწინებს რეპატრიანტის სტატუსის მინიჭების პროცედურებს, თუმცა არ არეგულირებს თავად ჩამოსახლების პროცესს.

ამ კანონის მიღებით საქართველოს ხელისუფლებამ დაიწყო იმ ვალდებულების შესრულება, რომელიც 1999 წელს ევროპის საბჭოში გაწევრიანებისას აიღო. მთავრობაში აცხადებენ, რომ ეს ვალდებულება არ ითვალისწინებს რეპატრიაციის პროცესის ფინანსურ მხარდაჭერას მთავრობის მხრიდან და

შემოიფარგლება მხოლოდ მესხების დაბრუნებისთვის იურიდიული გარანტიების შექმნით.

კანონის თანახმად, რეპატრიაციის მსურველთა განაცხადების მიღება ივნისის ბოლოს უნდა დასრულებულიყო, თუმცა მესხური ორგანიზაციების თხოვნით, პარლამენტი ამ პროცედურის კიდევ ორი თვით გახანგრძლივებას აპირებს.

დევნილთა და განსახლების სამინისტროს მონაცემებით, განაცხადი 2 ათას 200-მა ადამიანმა შემოიტანა. მათი უმრავლესობა დღეს აზერბაიჯანის ტერიტორიაზე ცხოვრობს. მესხური ორგანიზაციების ინფორმაციით, სავარაუდოდ, უახლოეს მომავალში აზერბაიჯანიდან კიდევ 5-დან 10 ათას განაცხადამდე შემოვა. რეპატრიაციის დაახლოებით 30 ათასი მსურველია ჩრდილოეთ კავკასიაში.

ელჩინი ამბობს, რომ მრავალი წლის განმავლობაში მათ საქართველოდან დახმარებას ჰპირდებოდნენ და ბევრ მის ნაცნობს აზერბაიჯანში დღესაც სჯერა, რომ ხელისუფლება მათ საცხოვრებელი სახლების ყიდვასა და ახალ ადგილზე დამკვიდრებაში დაეხმარება.

არასამთავრობო ორგანიზაციების ინფორმაციით, მთელ მსოფლიოში 300 ათასი მესხია გაფანტული.

29 წლის ელჩინ შაჰმურადოვი ოჯახთან ერთად საქართველოში სამი თვის წინ ჩამოვიდა. იგი ამბობს, რომ მისმა მშობლებმა და ნათესავებმა ყველა საჭირო დოკუმენტი უკვე შეაგროვეს და ყოველდღე ელიან რეპატრიანტის ოფიციალური სტატუსის მინიჭებას, რათა ჩამოვიდნენ საქართველოში და ქვეყნის სამხრეთში დასახლდნენ.

თავად ელჩინი, სხვა მესხებისგან განსხვავებით, თავისუფლად საუბრობს ქართულად. 90-იანი წლების დასაწყისში იგი აზერბაიჯანში მცხოვრებ რამდენიმე ათეულ მესხთან ერთად მოხალისედ ჩაირიცხა ქართული არმიის სამხედრო სამსახურში. მაშინ მან საქართველოს მოქალაქეობაც მიიღო.

„ჩვენი მოხუცები და მშობლები აქედან გადაასახლეს, როცა პატარები ვიყავით. გვეუბნებოდნენ, რომ ოდესმე აუცილებლად დავბრუნდებოდით საქართველოში“, – ჰყვება ელჩინი. მას უკვე აქვს სახლი საქართველოში, რომლის რემონტი უკვე დაიწყო.

მან აზერბაიჯანში მთელი თავისი ქონება გაყიდა და ვალებიც დაიდო, რომ სოფლის განაპირას ეს სახლი ეყიდა. აქ არც მიწის ნაკვეთი აქვს და არც სამუშაო, ამიტომ ისევე, როგორც ბევრი ჩამოსული მესხი, აპირებს სამსახური აზერბაიჯანში ან თურქეთში ეძებოს.

ელჩინი ამბობს, რომ მრავალი წლის განმავლობაში მათ საქართველოდან დახმარებას ჰპირდებოდნენ და ბევრ მის ნაცნობს აზერბაიჯანში დღესაც სჯერა, რომ ხელისუფლება მათ საცხოვრებელი სახლების ყიდვასა და ახალ ადგილზე დამკვიდრებაში დაეხმარება.

მისი თქმით, თუ ხელისუფლება მათ დახმარებაზე უარს ეტყვის, მაშინ ძალიან ცოტა ოჯახი თუ შეძლებს საქართველოში საკუთარი სახსრებით სახლის ყიდვას.

„როცა ბევრი ოჯახი ერთდროულად წამოვა, აზერბაიჯანში, ჩვენს დასახლებაში უძრავ ქონებაზე ფასი დაიწევს. ჩვენს ქართულ სოფელში მხოლოდ ხუთი ცარიელი სახლი დარჩა და თუნდაც ოცმა ოჯახმა ერთდროულად რომ მოინდომოს აქ სახლის ყიდვა, ამ სახლების ფასი მოიმატებს“.

ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს რეპატრიაციის სამმართველოს ხელმძღვანელი ირაკლი კოკაია ამბობს, რომ ხელისუფლება ჯერჯერობით არ მუშაობს მსგავს პრობლემებზე. მისი თქმით, კანონის თანახმად, ხელისუფლება არ არის ვალდებული, დაეხმაროს რეპატრიანტებს საცხოვრებელი სახლების შეძენაში. „ყველაფერს ბაზარი დაარეგულირებს: სადაც იქნება თავისუფალი სახლები, იქ ჩასახლდებიან“, – ამბობს კოკაია.

გარდა ამისა, ამ ეტაპზე ჯერ არ დაწყებულა რეპატრიანტთა ინტეგრაციის საკითხებზე მუშაობაც. მესხების დიდმა ნაწილმა ქართული არ იცის.

„ჯერჯერობით ამაზე ფიქრი ნაადრევია, – აცხადებს რეპატრიაციის სამმართველოს ხელმძღვანელი, – ჩვენ ბევრი დრო გვაქვს ამ საკითხებზე სამუშაოდ, ვიდრე შემოსულ განცხადებებს განვიხილავთ“.

გადასახლებამდე მესხები ადიგენის რაიონის მოსახლეობის უმრავლესობას შეადგენდნენ.

1944 წელს, ლავრენტი ბერიას წინადადებით, რამდენიმე დღეში სამხრეთ საქართველოდან შუა აზიაში დაახლოებით 90 ათასი მესხი გადაასახლეს. მიზეზად მესხების თურქებთან ნათესაობა, ჯაშუშური საქმიანობა და ბანდიტური დაჯგუფებების ჩამოყალიბება დასახელდა.

სტალინის გარდაცვალების შემდეგ მესხებს საბჭოთა კავშირის ნებისმიერ

ფოტო თეგი ბარძიგაშვილი

ისლან ნიაზოვი ბოსტანში

რესპუბლიკაში დასახლების უფლება მიეცათ, გარდა საქართველოსი.

80-იანი წლების ბოლოს რამდენიმე დისიდენტური ჯგუფი, მათ შორის ზვიად გამსახურდიაც, აქტიურად ითხოვდნენ მესხების ჩამოსახლებას. თუმცა, ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ საქართველოს პირველი პრეზიდენტის შეხედულებები რადიკალურად შეიცვალა და დაიწყო ბრძოლა მესხების დაბრუნების იდეის წინააღმდეგ.

„მაშინ საქართველოში ნამდვილი ისტერია დაიწყო, – ჰყვება ნაირა გელაშვილი, რომელიც იმ დროს აქტიურად მუშაობდა მესხების საკითხზე, – იმ ადამიანებს, რომლებმაც ჩამოსვლა მოასწრეს, საშინლად ავიწროვებდნენ“. იმ პერიოდში საქართველოში 400 მესხი დაბრუნდა.

ნაირა გელაშვილის თქმით, იმ დროს მესხებს თურქები დაარქვეს და საქართველოში კიდევ ერთი „დიდი თურქობის“ საშიშროებაზე ალაპარაკდნენ.

„მესხებისგან შექმნეს მტრის ხატი, რაც ადამიანების ცნობიერებაში დღემდე დარჩა. ხელისუფლებები შემდგომაც ფრთხილობდნენ ამ საკითხის გადაწყვეტას, რადგან მოსახლეობა წინააღმდეგი იყო“.

„რატომ გვატყუებთ? პირდაპირ გვითხარით, რომ ჩვენი ჩამოსვლა არ გინდათ“, – განაცხადა ქართველ რეპატრიანტთა კავშირის თავმჯდომარემ მარატ ბარათაშვილმა გასულ თვეს, რეპატრიაციის პრობლემების საჯარო განხილვისას.

მისი ორგანიზაცია, უკვე ათ წელზე მეტია, მუშაობს და ერთ-ერთი ყველაზე აქტიურია რეპატრიაციის საკითხებში. ბარათაშვილი, ისევე, როგორც მესხური ორგანიზაციების ბევრი სხვა წარმომადგენელი, არ მალავს თავის უკმაყოფილებას არსებული კანონისა და იმის გამო, რომ მომავალი რეპატრიანტების პრობლემების გადაჭრაზე არავინ ზრუნავს.

ახალი ხელისუფლების მოსვლის შემდეგ რამდენიმე წლის განმავლობაში მზადდებოდა დოკუმენტების პაკეტი და გეგმები იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ უნდა წარმართულიყო რეპატრიაციის პროცესი. მაშინ მთავარი ლოზუნგი იყო „ღირსეული რეპატრიაციის“ უზრუნველყოფა. ხელისუფლებას ამ საქმეში საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან ფინანსური დახმარების მიღების იმედი ჰქონდა.

2006 წელს ეს სამუშაო შეჩერდა. კანონში, რომელიც შემდგომ მიიღეს, მხოლოდ რეპატრიანტების იურიდიულ სტატუსზეა საუბარი.

„ჩვენი პრეზიდენტი და ხელისუფლება განზე არ უნდა დარჩნენ. დღეს ისინი სწორედ ასე იქცევიან, – ამბობს სულეიმან ბარბაქაძე, რეპატრიაციის ხელშეწყობის საერთაშორისო ფონდის ხელმძღვანელი, – საკუთარ ოჯახს დაბრუნებაში უნდა დაეხმარო“.

მუდამ მომღიმარი ისლამ ნიაზოვი ამბობს, რომ ახლა იგი ბედნიერია – ცხოვრობს მიწაზე, საიდანაც მათ უწინდელივით ადვილად ვეღარ გააგდებენ. „უკვე აღარასოდეს გვეტყვიან, – წადით თქვენს სამშობლოში“.

მომავალი წლისთვის ნიაზოვი სათბურის აშენებას აპირებს და რუსეთიდან გამოგზავნილი ბოსტნეულის თესლებს დათესავს. მას იმედი აქვს, რომ იმ დღეს მოესწრება, როცა მის სოფელში, აქ, საქართველოში მისი ნათესავები და ახლობლებიც ჩამოვლენ.

სამცხე-ჯავახეთი

ბოლო გაჩერება

ამ დასახლებაში ადგილობრივი მოსახლეობის დუნე ცხოვრებას დღეში ერთხელ მხოლოდ ელმავლის კივილი არღვევს. აქ ვალე-თბილისის მატარებლის ბოლო გაჩერებაა >>

თამუნა უჩიძე **ვალე**

ვალელი მაღაროელები

„მეშახტეთა ქალაქში“ რომ ჩახვიდე, სამცხე-ჯავახეთის ადმინისტრაციული ცენტრიდან – ახალციხიდან დასავლეთით უნდა გადაუხვიო.

დანგრეული გზა და ურმების ჭრიალი მიგანიშნებთ, რომ ქალაქში აღარ შედიხართ. წლების წინ აქ ასფალტი ყოფილა, ალუმინის მავთულხლართების გასწვრივ კი ლამპიონები.

აქაურობა არაფრით ჰგავს ვალეს უახლოეს წარსულს. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ქალაქ ვალეს მიმდებარე ტერიტორიაზე ქვანახშირის საბადოების მოსაპოვებლად ოთხმა მაღარომ დაიწყო მუშაობა. დასახლება, რომელიც „მეშახტეთა ქალაქის“ სახელით იყო ცნობილი, ვალეს მახლობლად 1950-იან წლებში გაშენდა.

კომუნისტებმა მაღაროებში სამუშაოდ სამასამდე ქართველი, სომეხი და

რუსი დაასახლეს. თავდაპირველად ხის ორსართულიან სახლებში ე.წ. ბარაკებში. ნელ-ნელა ბარაკების გვერდით აგურის სახლებიც გაჩნდა. ამუშავდა ასფალტის, თაბაშირის, ღილების, ქვის საფქვავი ქარხნები, იჭრება რკინა.

„მეშახტეთა ქალაქში“ შახტების გუგუნი ათეული წლების წინ შეწყდა. ახლა ზოგი მაღარო წყლითაა სავსე, ზოგი კი დაკონსერვებულია. თუმცა, ხელმოკლეობამ ადგილობრივებს სიკვდილის შიში დააძლევინა და, უკვე სამი წელია, „მეშახტეებმა“ დახურული მაღარო თვითნებურად აამუშავეს. ორთვიანი მუშაობის შემდეგ მეორე შახტა გახსნეს და დღემდე ქვანახშირს კუსტარულად, ხელით ეზიდებიან.

47 წლის გიორგი ბებნაძე ამბობს, რომ მაღაროში შესვლა ბედისწერასთან თამაშს ჰგავს.

„წარმოიდგინეთ, ყოველდღე 500 მეტრის სიღრმეში ჩავდივართ, მერე დაახლოებით 30 მეტრი აქეთ-იქითაა დაქსაქსული. გარეთ გამოვალთ თუ არა, არ ვიცით, მაგრამ შიმშილი მომკლავს თუ მაღაროში ამომძვრება სული, რა მნიშვნელობა აქვს?“ – ამბობს იგი.

მასთან ერთად ქვანახშირის მოპოვებაზე თვითნებურად 15 კაცი მუშაობს.

46 წლის პეტრე ხითარიშვილი ზაფხულში საქონელს მწყემსავს, ზამთარში კი გაყიდულ ქვანახშირში აღებული ფულით არჩენს მრავალშვილიან ოჯახს.

ადრე აქ კონვეიერებით ექვს საათში 50-60 ტონა ნახშირს ჭრიდნენ. ახლა კი წერაქვებით მთელი დღის განმავლობაში ორ ტონასაც ვერ აგროვებენ. ვაგონებიც სინათლეზე ხელით გამოაქვთ.

წიაღისეულის უკანონოდ მოპოვებისთვის ჯარიმა 1000-დან 1500 ლარამდეა. სათანადო ლიცენზიის გარეშე, წიაღისეულით სარგებლობა კი 100-150 ლარით ჯარიმდება.

„გარემოს დაცვიდან ხშირად მოდიან, მაგრამ გვირაბებიდან არ გამოვდივართ, ვიმალებით. გვეუბნებიან, – ლიცენზია გააკეთეთო. ლიცენზიის ყიდვას ჩვენ რას შევწვდებით? არც მთავრობა გვიშლის ხელს. ხედავენ, რომ ვწვალობთ და შემოსავალიც არაფერი გვაქვს“, – ამბობს გიორგი ბებნაძე.

ადგილობრივების თქმით, სამი თვის წინ მაღაროებით თურქები დაინტერესდნენ: „მოვიდნენ, დაათვალიერეს, რამდენიმე ნატეხი ნახშირიც გავატანეთ სინჯისთვის. ერთი სული გვქონდა, ვფიქრობდით, – ეგებ აამუშავონო, – მაგრამ მას შემდეგ აღარ გამოჩენილან. სხვა ამ მაღაროებით დაინტერესებული არავინ გვინახავს".

ის, რომ მურა ნახშირის მოპოვებაზე მეორე მაღარო 47-წლიანი იჯარითაა გაცემული, ამის შესახებ ადგილობრივებმა არაფერი იციან. გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის ბრძანებით, 2007 წლის 25 დეკემბერს ლიცენზია „საქნახშირის ჯი-აი-ჯი ჯგუფზე“ გაიცა. ლიცენზიის მიხედვით, თითქმის 76 მილიონი ტონა მარაგი უნდა აითვისონ.

სამცხე-ჯავახეთის გარემოს დაცვის რეგიონული ინსპექციის ბიუროში იციან, რომ ვალეში მოსახლეობა ქვანახშირს თვითნებურად მოიპოვებს, თუმცა ბიუროს ხელმძღვანელი იმედა კახურაშვილი ამბობს, რომ სულ რვა ინსპექტორი ჰყავს „და ხე-ტყეს ადევნონ თვალყური თუ მაღაროებს?“

„მეშახტეთა ქალაქის“ 97-კომლიან დასახლებაში დასაქმებული თითქმის არავინაა. ვისაც ძალ-ღონე ჰყოფნის, დღიურ მუშად მეზობელ სოფელში გადადის. დასახლების მკვიდრთ, რომელთა დიდი ნაწილი ჯავახეთიდან გადმოსახლებული ეთნიკური სომეხია, თავად ყანები არ აქვთ. ცხვარს და ძროხასაც ერთეულები ინახავენ. აქ არც საკმარისი მიწაა და არც საძოვრები.

ყოფილ მაღაროელებს ზამთარში უფრო მეტი „კლიენტი“ ჰყავთ. ვალეში ერთი ტონა ნახშირი ასი ლარი ღირს. „ზაკაზს“ მისცემ და მოგიტანენ. შეშაზე იაფი ჯდება. ტონანახევარს ვყიდულობთ და ვიზოგავთ, რომ გამოვიზამთროთ“, –ამბობს 63 წლის ვალიკ ვართანიანი.

ზამთარი აქ ადრეულ შემოდგომაზე დგება და ძალიან სუსხიანია.

ცხოვრება დუნედ და უხალისოდ მიედინება. აქაურებს უყვართ ძველი დროის გახსენება. ოდესღაც მათ დასახლებაში რესტორნები, ბიბლიოთეკა, კლუბი, ფოსტა, საავადმყოფო და ვეტპუნქტიც კი ყოფილა.

დღეს ადგილობრივი მოსახლეობის მყუდროებას ყოველ დილით, ცხრა საათზე მხოლოდ ელმავლის კივილი არღვევს. აქ ვალე-თბილისის ბოლო გაჩერებაა.

სადგურის ნანგრევებიდან, ხელმარცხნივ ორსართულიანი შენობა დგას. ეს ერთადერთი მოქმედი დაწესებულებაა – ორენოვანი ქართულ-სომხური სკოლა, მხოლოდ 9 კლასით.

„დეფიციტური სკოლაა. ბავშვები ცოტანი არიან და გვეშინია, სამინისტრომ არ დახუროს“, – ამბობს გეოგრაფიის მასწავლებელი ეკატერინე ჩიტაშვილი.

სკოლის შესასვლელში იაკობ გოგებაშვილისა და მესროპ მაშტოცის პორტრეტები გვერდიგვერდ კიდია – 37 მოსწავლიდან 27 ეთნიკური სომეხია.

საღამოს ოთხი საათია. სკოლაში აღარავინაა. ფეხქვეშ იატაკის ჭრიალი ცარიელ დერეფნებში ექოს გამოსცემს. ნახევრად ღია საკლასო ოთახებში მხოლოდ ერთი მერხი, მაგიდა და ღუმელი ჩანს. ჯერ ისევ დღეა, მაგრამ საკლასო ოთახებში მაინც ბნელა – ფანჯრებზე, მინების ნაცვლად, ღია ფერის ნაჭრები და ცელოფანებია აკრული. სექტემბრისთვის სკოლას სახურავის შეკეთებას ადგილობრივი გამგეობა დაჰპირდა, თუმცა სხვა სარემონტო სამუშაოებზე უარი უთხრეს.

„ერთი ბიბლიოთეკა გვქონდა და ორი წლის წინ ისიც დაიხურა. სპორტული დარბაზიც არა გვაქვს, ძალიან მეცოდება ჩვენი ბავშვები“, – ამბობს სკოლის დირექტორი ნათელა აზირაშვილი.

„არავის ვახსოვართ ამ ქვეყანაზე. წინასაარჩევნოდაც კი არავინ ჩამოდის, როცა ყველგან დადიან. არც არაფერს გვპირდებიან და არც აუსრულებლობით გვწყვეტენ გულს“, – გვითხრეს აქაურებმა.

„მეშახტეთა ქალაქის“ 97-კომლიან დასახლებაში დასაქმებული თითქმის არავინაა. ვისაც ძალ-ღონე ჰყოფნის, დღიურ მუშად მეზობელ სოფელში გადადის. დასახლების მკვიდრთ, რომელთა დიდი ნაწილი ჯავახეთიდან გადმოსახლებული ეთნიკური სომეხია, თავად ყანები არ აქვთ. ცხვარს და ძროხასაც ერთეულები ინახავენ. აქ არც საკმარისი მიწაა და არც საძოვრები.

სერგეი ბაღაფში

ფოტო REUTERS / ფოტოს პიტერი

აფხაზეთი

ბრძოლა აფხაზეთის პრეზიდენტობისთვის

ხელისუფლებამ და ოპოზიციამ განსხვავებულად შეაფასეს ვალმერ ბუთბას დაპატიმრება >>

ანტონ კრივენიუკი **სოხუმი**

ოჩამჩირეში 7 ივლისს გამართულ სასამართლო პროცესზე გადაწყდა, რომ პოლკოვნიკი ვალმერ ბუთბა საგამოძიებო ღონისძიებების ჩატარების პერიოდში პატიმრობაში დარჩებოდა. მას ბრალად ედება იარაღის უკანონო ტარება და შენახვა.

დაკავებიდან ათი დღის მანძილზე ბუთბას ნათესავებმა და ოპოზიციამ ყველა ღონე იხმარეს მის გასათავისუფლებლად, თუმცა არაფერი გამოუვიდათ.

ოპოზიციის ვერსიით აფხაზეთის სპეცსამსახურების ერთ-ერთი დამფუძნებლის დაკავებით ხელისუფლება ცდილობს ოპოზიციური ძალების დემორალიზებას და საკუთარი ძალის დემონსტრირებას.

ეკონომიკური განვითარების პარტიაში, რომლის ლიდერია ბესლან ბუთბა და რომელიც, სავარაუდოდ, ახლანდელი პრეზიდენტის მთავარი მეტოქე იქნება მომავალ არჩევნებში, მიაჩნიათ, რომ ეს ყველაფერი კონკრეტულად პარტიის პოზიციებისა და მისი ლიდერის საწინააღმდეგოდ ხდება.

ვალმერ ბუთბა ოპოზიციური პარტიის ლიდერის დაცვაზე იყო პასუხისმგებელი. ის სწორედ მაშინ დააპატიმრეს, როდესაც პარტიულ აქტივთან შეხვედრის შემდეგ გალის რაიონიდან დაბრუნებულ ბესლან ბუთბას კორტეჟს აცილებდა. გავლენიანი პოლკოვნიკის დაკავების შეახებ ხელისუფლების კომენტარები ძუნწია. ახლახან პრეზიდენტმა სერგეი ბაღაფშმა ახალგაზრდობასთან შეხვედრაზე მოვლენების შეფასებისას განაცხადა, რომ ომში ბუთბას დამსახურებას არავინ აკნინებს, თუმცა არსებობს კანონი, „და თუ მან ის დაარღვია, პასუხი უნდა აგოს“.

ვალმერ ბუთბას არაერთგვაროვანი რეპუტაცია აქვს. აფხაზებისთვის ის გმირია, რომელმაც ომის დროს დაზვერვა შექმნა და ბატალიონების მეთაურთა შორის დღემდე დიდი ავტორიტეტით სარგებლობს. საქართველოში ბუთბას ტერორისტად თვლიან. როგორც აფხაზეთში ამბობენ, ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინათ ქართული სპეცსამსახურები ბუთბაში დიდ ფულს იხდიდნენ. სწორედ ამიტომ შეხვდნენ ომის მონაწილეები ასე უარყოფითად პოლკოვნიკის დაპატიმრების ამბავს. რამდენიმე დღის განმავლობაში აფხაზეთის შსს-ს შენობასთან, სადაც ამ საქმესთან დაკავშირებული სასამართლო სხდომები იმართებოდა, ბუთბას ნათესავები, ყოფილი მეომრები და ოპოზიციის წარმომადგენლები იკრიბებოდნენ. 30 ივნისს გაიმართა ყველაზე ხალხმრავალი აქცია, რომელშიც 400-ზე მეტი ადამიანი მონაწილეობდა.

ვალმერ ბუთბას ადვოკატებს მიაჩნიათ, რომ ეს პროცესი გამოგონილია, ხოლო პოლკოვნიკისადმი წაყენებული ბრალ-

დებები – პოლიტიკური. ადვოკატი ომარ ბერულავა, რომელიც ბუთბას ინტერესებს იცავს, აცხადებს, რომ ამ პროცესზე სისხლის სამართლის პროცესუალური კანონმდებლობის უამრავი დარღვევა მოხდა. „ამ ქვეყანაში არ არსებობს დამოუკიდებელი სასამართლო სისტემა, და ეს პროცესი ამის თვალსაჩინო დასტურია. სახელმწიფოს მეთაურმა სასამართლო სხდომამდე ერთი დღით ადრე, ჩემი დაცვის ქვეშ მყოფის ნათესავებთან შეხვედრისას განაჩენი წინასწარ გამოიტანა“, – ამბობს ბერულავა.

სასამართლოს შემადგენლობა სამჯერ შეიცვალა იმ ათ დღეში, რაც პოლკოვნიკის დაკავებიდანაა გასული. ტელეარხ „აბაზას“ მიერ გადაღებული კადრებიდან ჩანს, თუ როგორ უკანკალებს ერთ-ერთ მოსამართლეს ხელები სასამართლოს გადაწყვეტილების წაკითხვისას.

ბოლო დღეების განმავლობაში გავრცელდა ინფორმაცია, თითქოს ვალმერ ბუთბას წაუყენებენ ბრალდებას, რომელიც იარაღის შენახვას არ უკავშირდება. თუმცა გამოძიება სწორედ იარაღის უკანონოდ ტარებისა და შენახვის დანაშაულს განიხილავს. აფხაზური საზომებით, ეს მართლაც უცნაური ბრალდებაა. იარაღი სახლში ყველა რეზერვისტს აქვს. ვალმერ ბუთბა კი, როგორც გამოძიებამ დაადგინა, აფხაზეთის ყოფილი პრეზიდენტის ვლადისლავ არძინბას მიერ მისთვის ნაჩუქარ პისტოლეტს ფლობდა, ასევე ჰქონდა ავტომატიც, რომელიც მან გალის რაიონში ჩატარებული კონტრტერორისტული ოპერაციის შემდეგ ნადავლად მოიპოვა. პოლკოვნიკის მომხრეები იმ ფაქტზეც ამახვილებენ ყურადღებას, რომ მისი სიცოცხლე მუდამ საფრთხეში იყო, რის გამოც, იარაღის ტარება ბუთბასთვის თავდაცვის საშუალებას წარმოადგენდა.

რეზერვისტ თემურ კორტავას მიაჩნია, რომ ბუთბას დაპატიმრება სახიფათო ტენდენციაა. „ჩვენ ამას აღვიქვამთ იმ გმირების წინააღმდეგ დაწყებულ კამპანიად, ვინც ჩვენი სახელმწიფო საკუთარი ხელებით შექმნა. ეტყობა, ხელისუფლებას მეომარი ადამიანების ეშინია“, – ამბობს კორტავა. სოხუმის მკვიდრი, ლარისა ცუშბა ასევე პოლკოვნიკის დაპატიმრების წინააღმდეგ გამოდის. „ბუთბაზე ქართველები დიდხანს ნადირობდნენ. მისი დაჭერით ჩვენი ხელისუფლება ფაქტობრივად ქართველების შეკვეთას ასრულებს“, – ამბობს ცუშბა. პოლიტოლოგ ირაკლი ხინტბას აზრით კი, რა მოტივებიც უნდა არსებობდეს ბუთბას დასაპატიმრებლად, ეს ხელს უშლის აფხაზეთში სტაბილურობის შენარჩუნებას.

მიუხედავად იმისა, რომ წინასაარჩევნო კამპანია აფხაზეთში ოფიციალურად მხოლოდ შემოდგომაზე დაიწყება, ხელისუფლებისა და ოპოზიციის დაპირისპირება უკვე ძალიან შესამჩნევია. ჭოპოზიცია ხელისუფლებას თავის მომხრეებზე ზეწოლის გაძლიერებაში ადანაშაულებს. გაერთიანებული ოპოზიცია – როგორც ასეთი, ჯერ არ არსებობს. და მიუხედავად ამისა, სხვადასხვა ოპოზიციურმა ძალამ ერთობლივად უკვე საკმაო რაოდენობის აქციები გამართა. მათ ხელმძღვანელებთან დაახლოებული წყაროებით ცნობილი გახდა, რომ მეტ-ნაკლებად გავლენიანი პარტიები და მოძრაობები გაერთიანებაზე თათბირობენ. ამ მოლაპარაკებების მთავარი მონაწილეები არიან – ბესლან ბუთბა, რაულ ხაჯიმბა, პრეზიდენტ არძინბას ყოფილი თანაშემწე, ასტამურ ტანია და ვადიმ სმირი, ომის ვეტერანთა მოძრაობის, „არუაას“ ლიდერი. სახალხო ერთობის ფორუმი – დიდი ოპოზიციური პარტია, ამ თვის ბოლოს გეგმავს ყრილობის ჩატარებას, სადაც შესაძლოა, მოქმედი ხელისუფლების ოპონენტთა გაერთიანების შესახებ განაცხადონ.

ოპოზიციას ხელისუფლებისთვის წარსადგენად უკვე აქვს პრეტენზიების ვრცელი ნუსხა. ეს არის აფხაზეთის მთელ ტერიტორიაზე ოპოზიციურ არხ „აბაზას“ მაუწყებლობისთვის ხელის შეშლა, დამოუკიდებელი გაზეთების დახურვის მცდელობა და, ბოლოს და ბოლოს, ვალმერ ბუთბას დაკავება.

და მაინც, დღეს ბევრ დამკვირვებელს მიაჩნია, რომ ყველაზე მკვეთრი დაპირისპირება ხელისუფლებასა და ეკონომიკური განვითარების პარტიას შორისაა, კერძოდ კი – პრეზიდენტ სერგეი ბაღაფშსა და ბესლან ბუთბას შორის. პოლიტოლოგი ირაკლი ხინთბა მიიჩნევს, რომ ამ დაპირისპირების რამდენიმე მიზეზი არსებობს. „ოპოზიციურად განწყობილ პოლიტიკოსთაგან ბუთბამ პირველმა განაცხადა, რომ ამ საპრეზიდენტო არჩევნებში კენჭისყრას აპირებს. მან საკუთარი თავი ოპოზიციის ლიდერად წარადგინა. გარდა ამისა, ის ეფექტური წინასაარჩევნო კამპანიისთვის აუცილებელ ფინანსურ სახსრებსაც ფლობს. სწორედ ამ ყველაფერმა გამოიწვია ხელისუფლების ასეთი მკვეთრი რეაქცია“, – ამბობს ხინთბა.

ოპოზიციიდან, ბუთბას გარდა, ჯერ არავის განუცხადებია საპრეზიდენტო ამბიციების შესახებ. რაულ ხაჯიმბას გაერთიანებული ოპოზიციის ლიდერობა პირველხარისხოვნად არ მიაჩნია. ვადიმ სმირმა განაცხადა, რომ ვეტერანთა მოძრაობა „არუაა“ მხარს დაუჭერს 1992 -1993 წლების ომის უშუალო მონაწილე ლიდერს, და არავითარ შემთხვევაში არ მიემხრობა პრემიერ-მინისტრ ალექსანდრ ანქვაბს.

თავის მხრივ, პრეზიდენტმა სერგეი ბაღაფშმაც განაცხადა მეორე ვადით საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობაზე საკუთარი გადაწყვეტილების შესახებ. ასე რომ, არსებობს აფხაზური პოლიტიკური პროცესის ორი მონაწილე, რომლებმაც ცალსახად განაცხადეს საკუთარი საპრეზიდენტო ამბიციების შესახებ – სერგეი ბაღაფში და ბასლან ბუთბა. ამიტომაც, ამ ეტაპზე ბრძოლა სწორედ მათ შორისაა გაჩაღებული.

სახელმწიფო არხისა და მისი ერთადერთი კონკურენტის, ბესლან ბუთბას კუთვნილი ტელეარხ „აბაზას“ სამაუწყებლო ქსელები ნათელ წარმოდგენას ქმნიან, თუ როგორ იდეოლოგიურ ბაზაზე ააგებენ ხელისუფლება და ოპოზიცია თავიანთ წინასაარჩევნო სტრატეგიებს. ხელისუფლება ყურადღებას ამახვილებს ახალ გზებზე, განახლებულ თეატრებზე, ფილარმონიასა და სოციალური ინფრასტრუქტურის ობიექტებზე. ოპოზიცია ლაპარაკობს მცირე ბიზნესის დახმარებაზე, სოფლის აღორძინებაზე. მთლიანობაში ოპოზიციის იდეოლოგია აფხაზეთის მმართველი ელიტის განახლების აუცილებლობას არ გულისხმობს. ოპოზიცია მკაცრად აკრიტიკებს ხელისუფლებას, მისი აზრით, იმ წარუმატებელი პროექტების გამო, როგორიცაა რუსული მხარისთვის მმართველობაში რკინიგზის გადაცემა და ნავთობსაბადოების ათვისების გეგმები.

აფხაზეთის პრეზიდენტი ბაღაფში კი ოპოზიციას პოპულიზმში სდებს ბრალს და აცხადებს, რომ ოპოზიციის მთელი დემარში მხოლოდ წინასაარჩევნო კამპანიას უკავშირდება და არა ქვეყნის რეალურ განვითარებაზე ზრუნვას.

აფხაზებისთვის ბუტბა გმირია, რომელმაც ომის დროს დაზვერვა შექმნა და ბატალიონების მეთაურთა შორის ღღეგდე დიდი ავტორიტეტით სარგებლობს. საქართველოში ბუთბას ტერორისტად თვლიან. როგორც აფხაზეთში ამბობენ, ქართული სპეცსამსახურები ბუთბაში დიდ ფულს იხდიდნენ.

კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების ორგანიზაციის შეხვედრა, 10 ივნისი 2009

რუსეთი და მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია

სამი ერთზე

რუსულმა დიპლომატიამ ქართულ მთავრობას კიდევ ერთი თავსატეხი გაუჩინა >>

რევაზ საყევარიშვილი

მედვედევის ადმინისტრაციამ გადაწყვიტა, გააქტიუროს ქვეყნის ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში (ვმო) გაწევრიანებისთვის ბრძოლა, ოღონდ ამჯერად უკვე არა ერთპიროვნულად, არამედ მნიშვნელოვნად „გაფართოებული ფორმატით“.

„გაფართოებული ფორმატი“ ამ შემთხვევაში, არც მეტი, არც ნაკლები, შემდეგს გულისხმობს: ვმო-ში გასაწევრიანებლად რუსეთი იბრძოლებს არა დამოუკიდებლად, არამედ მოქმედი საბაჟო კავშირის ეგიდით – ანუ ყაზახეთთან და ბელარუსთან ერთად. სატელიტებს რეაქცია არ დაუყოვნებიათ – ნაზარბაევმა და ლუკაშენკომ განაცხადეს, რომ რუსეთის ამ ინიციატივის საწინააღმდეგო არაფერი აქვთ და მისი რეალიზებისთვის ძალ-ღონეს არ დაიშურებენ.

საქართველო შეიძლება კიდევ უფრო მწვავე დილემის წინაშე დადგეს – ან მხარი დაუჭიროს სამივე ქვეყნის ერთდროულ გაერთიანებას ვმო-ში, ან სამივეს ერთად გადაუღობოს გზა. ნაკლი (და თანაც სერიოზული) ორივე სცენარს აქვს: თუ საქართველო მხარს დაუჭერს ტრიადის მსოფლიო სავაჭრო კლუბში შესვლას, ჩვენი ქვეყანა საბოლოოდ დაკარგავს იმ ბერკეტს, რომელიც რუსეთზე გავლენის მოხდენის თითქმის ერთადერთ იარაღად შემორჩა; იმ შემთხვევაში კი, თუ საქართველო დაბლოკავს სამეულის ვმო-ში შესვლას, ყაზახეთთან და ბელარუსთან უსიამოვნებების დიდი ალბათობა ჩნდება.

სცილას და ქარიბდას შორის არჩევანი საკმაოდ სარისკოა. თუ რუსეთი გახდება ვმო-ს წევრი, ამაოდ ჩაივლის საქართველოს მრავალწლიანი ძალისხმევა. ჩვენი ქვეყანა, ბოლო რამდენიმე წელია, რუსეთის ვმო-ში შესვლას ქვეყნებს შორის საზღვრის აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის მონაკვეთებზე არსებული უკანონო საკონტროლო-გამშვები პუნქტების გამო აფერხებდა. ასე რომ, ახლა, როდესაც რუსეთმა ეს ტერიტორიები უკვე დამოუკიდებელ სახელმწიფოებად აღიარა, ვმო-ს ბერკეტს კიდევ უფრო მეტი ფასი დაედო – ამ ორგანიზაციაში საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას ეჭვქვეშ არავინ აყენებს და ფსოუც და როკიც რუსეთ-საქართველოს საზღვრად მიაჩნიათ.

თითქოს ყველაფერი ცხადია – რუსეთი ვმო-ში არ უნდა შევუშვათ. მაგრამ „ხურდაში მოყოლილ“ ყაზახეთს და ბელარუსს რაღა ვუყოთ? ბელარუსის ლიდერი დღემდე უძლებს რუსულ წნეხს და აფხაზეთის და ოსეთის აღიარებისგან თავს იკავებს. ბელარუსის ვმო-ში გაწევრიანების შეფერხებამ (რუსეთთან ერთ ნავში ყოფნის გამო) კი, შესაძლოა, სწორედ ეს თავშეკავება დაარღვიოს და ბელარუსი, რუსეთის კვალად, აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლებად ცნობის საკითხზე აალაპარაკოს.

კიდევ უფრო რთულადაა საქმე ყაზახეთთან მიმართებით, რომელიც საქართველოში სოლიდურ საინვესტიციო პროექტებსაც ახორციელებს და საკუთარი ტვირთების მნიშვნელოვან ნაწილსაც საქართველოს გავლით ამოძრავებს. ასე რომ, ყაზახეთის ვმო-ში შესვლის დაბლოკვა საქართველოს სწორედ ამ სიკეთეების დაკარგვით ემუქრება, რომ აღარაფერი ვთქვათ, სხვა, უფრო პოლიტიკურად შეფერილ საფრთხეებზე.

აი, ასეთი რისკების წინაშე დააყენა საქართველო ახალი რუსული თამაშის

წამოწყებამ. და თუ ქვეყანამ ამ საკითხში ოქროს შუალედის გამონახვა ვერ მოახერხა, გამორიცხული სულაც არ არის ყველაზე პესიმისტური სცენარის ამოქმედება.

არავისთვის სადავო არ არის, რომ, რუსეთის მსგავსად, ყაზახეთსა და ბელარუსსაც დიდი ეკონომიკები აქვთ და არსებობს მრავალმხრივი ინტერესი, რომ ეს ქვეყნები ვმო-ში შევიდნენ და ერთიან, საერთაშორისოდ უნიფიცირებულ ვაჭრობის წესებს დაემორჩილნენ. ამის თაობაზე არაერთხელ საჯაროდ განაცხადა ვმო-ს გენერალურმა დირექტორმა, ყოფილმა ევროკომისარმა ვაჭრობის საკითხებში პასკალ ლამიმ, რომლის აზრითაც, ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის არსებობა აზრს დაკარგავს, თუ მასში რუსეთი და სხვა დიდი სახელმწიფოები არ გაერთიანდნენ.

მსოფლიოს ეკონომიკურმა ფორუმმა ახლახან გამოაქვეყნა რეიტინგი, რომლის მიხედვითაც, რუსეთი, მსოფლიო ვაჭრობაში ინტეგრაციის თავისუფლების ხარისხის მიხედვით, ერთ-ერთ უკანასკნელ ადგილზეა – 121 ქვეყანას შორის მას 109-ე ადგილი უკავია. არადა, საუბარია ქვეყანაზე, რომლის სამომხმარებლო ბაზარიც მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი და სხვაზე ნაკლებად პრეტენზიულია. ამიტომაც ვმო და მისი წევრი ქვეყნები ყველანაირად დაინტერესებულნი არიან, რუსეთი მსოფლიო სავაჭრო კლუბში იხილონ, მით უფრო, თავის ორ სატელიტთან – ბელარუსთან და ყაზახეთთან ერთად. აქედან გამომდინარე, დროთა განმავლობაში ძალიან აქტუალური გახდება მოვლენათა განვითარების შესაძლო სცენარების და მათგან მომავალი რისკების იდენტიფიცირება.

რადიკალური სცენარის მიხედვით, საქართველომ უნდა დაბლოკოს სამი ქვეყნის ერთდროული შესვლა ვმო-ში, სანამ სამთაგან ერთთან – რუსეთთან ურთიერთობებს არ მოაწესრიგებს. თუმცა, რთულია ვიწინასწარმეტყველოთ, რამდენად გაგებით მოეკიდებიან ამ ნაბიჯს რუსული გავლენებით და კაპიტალით უხვად ნაკვები ყაზახეთი და ბელარუსი.

თუმცა, არსებობს სხვა სცენარიც: საქართველომ, შესაძლოა, არ შეაფერხოს „სამთა კავშირის“ ვმო-ში შესვლა და ეს ნაბიჯი, ერთი მხრივ, რუსეთთან ურთიერთობების მოგვარების სურვილით, მეორე მხრივ, რუსეთზე ვმო-ს წესებით გავლენის მოხდენის შესაძლებლობის გაჩენით, მესამე მხრივ კი, ყაზახეთთან და ბელარუსთან ურთიერთობების შენარჩუნების აუცილებლობით გაამართლოს. თუმცა, ნებისმიერ შემთხვევაში, საქართველოს ხელისუფლებას საკუთარი ამომრჩევლისთვის მოუწევს იმის ახსნა, რატომ არის მისაღები ასეთი დათმობები ოკუპანტებთან.

ასეა თუ ისე, ფაქტია, რომ საქართველოს ადრე თუ გვიან მაინც აუცილებლად მოუხდება არჩევანის გაკეთება: გააგრძელოს ამჟამად დასახული კურსი და რუსეთის ვმო-ში შესვლა კვლავაც შეაფერხოს, ან გადასინჯოს ამ მიდგომის სისწორე და ეფექტიანობა. ამ არჩევანის გაკეთება დღეს კიდევ უფრო გართულებულია იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ ანგარიშგასაწევი იქნება უკვე არა მხოლოდ მოსკოვის, არამედ მინსკის და ასტანის აზრიც.

რისკს ზრდის და სკეპტიკურ დამოკიდებულებას აძლიერებს ის გარემოებაც, რომ ამ საკითხში საქართველო ნამდვილად ვერ დაიკვეხნის თანმიმდევრული პოლიტიკით. მან ერთხელ უკვე დაუჭირა მხარი რუსეთის ვმო-ში გაწევრიანებას და ეს ქვეყნებს შორის ურთიერთობების დათბობის სურვილის გამოხატულებად მონათლა, მაგრამ შემდგომ, რუსული ემბარგოს დაწესების კვალობაზე, თანხმობა გააუქმა და ჩრდილოელი მეზობლის მსოფლიო სავაჭრო კლუბში გაწევრიანებას ჯერჯერობით გადაულახავ ბარიერად დაუდგა.

დღეს ეს საკითხი ახლებურ მნიშვნელობას იძენს და კიდევ უფრო მეტ და მიზანმიმართულ ბრძოლას მოითხოვს. ერთადერთი, რაც საქართველოს მხარესაა, არა მისი პოზიციის სიძლიერე და თანმიმდევრულობაა, ან თუნდაც პარტნიორი ქვეყნების სრული მხარდაჭერა, არამედ – ბანალური ქრონოლოგიური ფაქტორი. საიმისოდ, რომ რუსეთმა საკუთარი გეგმა რეალობად აქციოს და ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში გაწევრიანებაზე სამი სახელმწიფოს ერთობლივი განაცხადი შეიტანოს, დროა საჭირო; დრო, რომელმაც რეგიონსა და მსოფლიოში ვითარება საქართველოს სასარგებლოდ შეიძლება შეცვალოს და საკითხის ნაკლებად მტკივნეულად მოგვარების შესაძლებლობა გააჩინოს.

„რუსეთის რკინიგზის“ პოლიტიკური შენაძენი

რუსული „მკვდარი მარყუჟი“

რუსეთი საქართველოს სატრანზიტო არხებზე კონტროლს აძლიერებს >>

რევაზ საყევარიშვილი

რუსულმა სახელმწიფო მონოპოლიამ – სააქციო საზოგადოება „რუსეთის რკინიგზამ“ კომპანია „ბლექ სი ფერი ინვესტმენტის“ აქციათა საკონტროლო პაკეტი შეიძინა. ეს კომპანია რუსული პორტ კავკაზიდან ფოთის პორტამდე ტვირთების საბორნე გადაზიდვას ახორციელებს.

„რუსეთის რკინიგზის“ მიერ კავკაზი-ფოთის საბორნე გადასასვლელის ოპერატორი კომპანიის შესყიდვის შესახებ ერევანში „რუსეთის რკინიგზის“ ვიცე-პრეზიდენტმა, აჭარის ყოფილმა პრემიერმა ავთანდილ გორგილაძემ განაცხადა (გორგილაძეს აჭარის პრემიერის პოსტი ასლან აბაშიძის მმართველობის პერიოდში ეკავა, მანამდე გაერო-ში რუსეთის წარმომადგენლობაში მუშაობდა, აჭარიდან წასვლის შემდეგ კი „რუსეთის რკინიგზის“ საბაჟო-საბროკერო საქმიანობის სამმართველოს უფროსი იყო).

ექსპერტების გათვლებით, რუსულმა მონოპოლიამ ამ აქტივში, სავარაუდოდ, 5 მილიონამდე დოლარი გადაიხადა. „ბლექ სი ფერი ინვესტმენტი“ რუსეთიდან სომხეთში საქართველოს გავლით ტვირთების გადასაზიდად შეიქმნა. მის გეგმაშია კავკაზიდან სამსუნისკენ ახალი საბორნე გადასასვლელის გახსნაც. „რუსეთის რკინიგზაში“ არ მალავენ, რომ ორივე ხაზს აქტიურად გამოიყენებენ 2014 წლის სოჭის ოლიმპიადისთვის საჭირო ტვირთების გადასაზიდად, რაც დროთა განმავლობაში სულ უფრო მეტ აქტუალობას შეიძენს.

ფოთი-კავკაზის ბორანი 2007 წელს ამოქმედდა, 2008 წელს კი უკვე 3 მილიონი ტონა სხვადასხვა კატეგორიის ტვირთი გადაზიდა. მართალია, ტვირთების უდიდესი ნაწილის გადაზიდვა ამჟამადაც ფოთი-ილიჩოვსკის ბორნით ხდება, მაგრამ „რუსეთის რკინიგზა“ ამიერიდან ტვირთბრუნვის გაზრდას სწორედ ფოთი-კავკაზის ბორნით აპირებს, რაც რეგიონში ტვირთბრუნვის მარშრუტების და მოცულობების სერიოზული გადაჯგუფების საფუძველი შეიძლება გახდეს.

თავისი შინაარსით ეს მხოლოდ ეკონო-

მიკური მნიშვნელობის ფაქტორი რომ არ არის და მას, საჭიროების შემთხვევაში, ტრადიციული პოლიტიკური ბერკეტის ფორმა მიეცემა, „რუსეთის რკინიგზის“ პოზიციონირებით და მისი სააქციო და მფლობელობითი სტრუქტურითაც ნათლად დასტურდება.

სააქციო საზოგადოება „რუსეთის რკინიგზის“ ერთადერთი აქციონერია რუსეთის ფედერაციის მთავრობა. მთავრობის პირდაპირ დაქვემდებარებაში არსებულ მის დირექტორთა საბჭოს პირველი ვიცე-პრემიერი, პუტინის თანაქალაქელი ალექსანდრ ჟუკოვი ხელმძღვანელობს. შესაბამისად, „რუსეთის რკინიგზის“ მთელი აქტივობები რომ პირდაპირი სახელისუფლო კურაციის სფეროშია და რუსეთის სახელმწიფო პოლიტიკის შესაბამისად ვითარდება, ეჭვგარეშეა.

ასე რომ, შავი ზღვის ფრონტზე რუსული პოლიტიკის ეკონომიკური საცეცები ტვირთების გადაზიდვის არხებს სულ უფრო მჭიდროდ ეხვევა გარს და თავისი გავლენის მაქსიმალურ გაზრდას ცდილობს.

იგივე პროცესი, ოღონდ ცოტა შესხვაფერებული სახით, კასპიისპირეთშიც იკრებს ახალ ძალებს. იქაც რუსული სახელმწიფო კაპიტალის პოზიციების გამყარება გაცილებით ფართომასშტაბიან ხასიათს იძენს.

პოლიტიკურად და ეკონომიკურად რთულ აპრილში ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენით ყაზახური ნავთობის გადაზიდვა კიდევ უფრო შემცირდა. რეკორდული თებერვლის შემდეგ, როცა საქართველოს რკინიგზით 240,2 ათასი ტონა გადაიზიდა, მარტში ეს მაჩვენებელი 152,8 ათას ტონამდე შემცირდა, აპრილში კი – 137,7 ათას ტონამდე. შედეგად, აპრილის მაჩვენებელი წლის განვლილ თვეებში ყველაზე დაბალი აღმოჩნდა. იგივე ტენდენცია კიდევ უფრო გაძლიერდა მაისსა და ივნისშიც.

აქედან გამომდინარე, სანავთობო ტვირთების კლებას მოელიან „საქართველოს რკინიგზაზეც“, სადაც ორი მსხვილი კონტრაქტორი – „შევრონი“ და „ექსონი“ საქართველოზე ტვირთების გატარების ალტერნატიულ სათადარიგო მარშრუტებს ეძებს. ეს პროცესი ამ ეტაპზე არ ატარებს გამოკვეთილად აქტიურ ხასიათს, თუმცა, პოლიტიკური რყევების და მაღალი სატრანზიტო ფასების გამო, მსხვილ ნავთობკომპანიებს საქართველოს მიმართულება თავის ტკივილად რომ ექცათ, ცხადია.

ამ ფაქტორებს რუსული სახელმწიფო (და არასახელმწიფოც) კომპანიები ყველანაირად რომ წაახალისებენ, სადავო არც ესაა. თუმცა, რუსული კაპიტალის „დაწოლა“ ამ მიმართულებაზე მხოლოდ მსგავსი აქტივობებით არ შემოიფარგლება. მას აქვს მეორე, არანაკლებ ანგარიშგასაწევი მხარეც, რომელიც ასევე იკრებს ძალებს.

როგორც ყაზახი, ასევე მათი პარტნიორი, მათ შორის, ქართველი ნავთობტრეიდერების და სარკინიგზო გადამზიდავების ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი კრედიტორი ყაზახეთის უმსხვილესი კომერციული ბანკი „ბი-თი-ეი ბანკია“, რომლის შესყიდვასაც ასევე რუსეთის უმსხვილესი სახელმწიფო ბანკი „სბერბანკი“ აპირებს. თუ „სბერბანკი“ ყაზახური ბანკის მფლობელი გახდა, ის ავტომატურად დაეუფლება წილებს მის ყველა შვილობილ ბანკში, მათ შორის „ბი-თი-ეი ბანკ საქართველოშიც“ და საშუალება მიეცემა, ბაზარზე მოქმედ გადამზიდავებს და ტრეიდერებს საკუთარი პირობები უფრო მკაცრად უკარნახოს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, „სბერბანკის“ გავლენა ამ ბიზნესზე მნიშვნელოვანი (თუ გადამწყვეტი არა) გახდება.

„სბერბანკის“ რუსული სახელმწიფო პოლიტიკის კონტექსტში ყოფნა „რუსეთის რკინიგზაზე“ კიდევ უფრო მეტად თვალსაჩინოა. ქვეყნის უმსხვილესი სახელმწიფო ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს რუსეთის ცენტრალური ბანკის მმართველი, პუტინის კიდევ ერთი თანაქალაქელი სერგეი იგნატიევი ხელმძღვანელობს. მის გარდა, სამეთვალყურეო საბჭოში ლამის რუსეთის მთელი მთავრობაა ჩაბუდებული: პირველი ვიცე-პრემიერი და ფინანსთა მინისტრი ალექსეი კუდრინი, ეკონომიკური განვითარების მინისტრი ელვირა ნაბიულინა, რუსეთის პრეზიდენტის თანაშემწე არკადი დვორკოვიჩი, რუსეთის საპენსიო ფონდის გამგეობის თავმჯდომარე ანტონ დროზდოვი, ცენტრალური ბანკის მმართველოს 5 მოადგილე და სხვები.

„სბერბანკის“ გამგეობის თავმჯდომარე და პრეზიდენტი კი გერმან გრეფი გახლავთ – კაცი, რომელსაც 2000-დან 2007 წლამდე რუსეთის ეკონომიკის მინისტრის პოსტი ეკავა და მისი სახელმწიფო პოლიტიკის ერთ-ერთი ყველაზე აქტიური გამტარებელი იყო. 7 წლის მანძილზე ვლადიმერ პუტინს, გრეფის გარდა, არც ერთი მინისტრი არ შეუნარჩუნებია.

ასე რომ, საქართველოს სატრანზიტო დერეფანს და მის მართვას პირდაპირ და ირიბად ორი რუსული სახელმწიფო კომპანია ეპოტინება, რომლებიც რუსული პოლიტიკური გავლენების გავრცელების ტრადიციული ბერკეტიც არის ხოლმე. საგულისხმოა, რომ თუ ქართულ საბანკო სექტორში „სბერბანკი“ შემოვა, ამით რუსული სახელმწიფო საბანკო ინსტიტუციები საქართველოში მდგომარეობას ასევე გაიძლიერებენ, რადგან აქ უკვე მეორე მსხვილი რუსული სახელმწიფო ბანკი – „ვი-თი-ბი ბანკი“ აქტიურად მოღვაწეობს და ფართოვდება. „ვი-თი-ბი ბანკის“ გამგეობის თავმჯდომარე ანდრეი კოსტინიც „რუსეთის რკინიგზის“ დირექტორთა საბჭოს წევრია, მისი ბანკი კი – რუსული რკინიგზის ერთ-ერთი მსხვილი დამკრედიტებელი.

ამდენად, კასპიიდან შავ ზღვამდე ტვირთზიდვის არხების გასაკონტროლებლად რუსული სახელმწიფო კომპანიები ახალ ომს იწყებენ. ომს, რომლის მიზანიც კვლავინდებურად მარტივია – რუსული ინტერესის მთელ კავკასია-კასპიისპირეთის რეგიონზე გავრცელება და ეკონომიკურადაც საკუთარ მარწუხებში მოქცევა.

სწორედ ამავე კონტექსტშია ის გარიგებაც, რომელიც რუსული სახელმწიფო პოლიტიკის კიდევ ერთმა ბერკეტმა – „გაზპრომმა“ აზერბაიჯანთან დადო. ამ გარიგებით რუსეთი მზადაა, აზერბაიჯანის გაზი რეკორდულ ფასად – ათასი კუბური მეტრი 350 დოლარად იყიდოს; და ეს იმ ფონზე, როცა ევროპის ქვეყნები უკვე ევროპაში შეტანილ გაზში 280 დოლარს გადაიხდიან.

ამ გარიგებაში ყველაფერია – ეკონომიკური გათვლების და მიზანშეწონილობის გარდა. სამაგიეროდ, მისი ქვეტექსტია პოლიტიკურად მიზანშეწონილი. ეს არის „გაზპრომის“ (ანუ რუსეთის სახელმწიფოს) დეკლარირებული მზადყოფნა, შაჰ-დენიზის საბადოდან („ნაბუკოს“ მთავარ სარეზერვო ბაზაზე) მოპოვებული ბუნებრივი აირის მთლიანი ოდენობის შესყიდვის თაობაზე.

რუსული ეკონომიკური ექსპანსია კავკასიისა და კასპიისპირეთის რეგიონებში ახლებური ეკონომიკური მოდელით იწყებს განვითარებას; მოდელით, რომელიც მთელი ამ სივრცის მილსადენების, სატრანსპორტო არხების და ფინანსური ნაკადების რუსული ქოლგის ქვეშ კონცენტრირებას ემსახურება.

კასპიიდან შავ ზღვამდე ტვირთზიდვის არხების გასაკონტროლებლად რუსული სახელმწიფო კომპანიები ახალ ომს იწყებენ, რომლის მიზანიც რუსული ინტერესის მთელ რეგიონზე გავრცელება და ეკონომიკურადაც საკუთარ მარწუხებში მოქცევაა.

რუსული კაპიტალი აფხაზეთში

საოკუპაციო კომუნიკაცია

რუსულმა ფიჭურმა ოპერატორმა აფხაზური ოპერატორის აქციათა საკონტროლო პაკეტი შეისყიდა >>

რევაზ საყევარიშვილი

მეგაფონი აფხაზეთში, 2009

რუსული ფიჭური კავშირგაბმულობის კომპანია „მეგაფონმა“ თავის წლიურ ანგარიშში ოფიციალურად აღიარა, რომ აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის ტერიტორიებზე უკანონოდ მოღვაწეობს. „მეგაფონმა“ წელს მარტში 935 მილიონ რუბლად კომპანია „დებტონ ინვესტმენტი“ შეიძინა, რომელიც, თავის მხრივ, აფხაზური მობილური ოპერატორი „აკვაფონის“ და ოსური „ოსტელეკომის“ აქციათა 51%-ს ფლობს.

„მეგაფონი“ საქართველოს ტერიტორიაზე უკანონო საქმიანობისათვის კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ ორჯერ – 5 და 500 ათასი ლარით დააჯარიმა. თუმცა, რუსულ კომპანიას ჯარიმა არ გადაუხდია. ახლა ცხინვალის რეგიონში და აფხაზეთში საქმიანობის გააქტიურების ფონზე ის უკვე პირდაპირ ხვდება ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ კანონის სანქციების არეალში, რაც მისი საქმიანობის საერთაშორისო დევნასაც გულისხმობს.

ის, რომ რუსულმა ფიჭურმა ოპერატორმა აფხაზური ოპერატორის აქციათა საკონტროლო პაკეტი 28 მილიონ აშშ დოლარად იყიდა, არაოფიციალურად ცნობილი გახდა ჯერ კიდევ შარშან, წლის ბოლოს. თუმცა, რუსული გაზეთი „ვედომოსტი“ მაშინ იუწყებოდა, რომ „აკვაფონს“ „მეგაფონი“ რეალურად უკვე შარშანდელი ზაფხულიდან აკონტროლებდა.

თავად „აკვაფონის“ შეფასებით, კომპანია აფხაზეთში ყოველ მეორე მოქალაქეს ემსახურება. ის უკვე მეხუთე წელია, მომხმარებლებს GSM-სტანდარტის მომსახურებას უწევს, ხოლო 2007 წლიდან მესამე თაობის სერვისი დანერგა. 2006 წლიდან აფხაზეთში მეორე ოპერატორმა – „ა-მობაილმაც“ დაიწყო საქმიანობა. ეს კომპანია აფხაზმა და რუსმა მეწარმეებმა ერთობლივად დააარსეს.

რაც შეეხება „მეგაფონს“, ის რუსეთში ფიჭური ოპერატორების „დიდ სამეულში“ შედის და აგრესიული მარკეტინგით გამოირჩევა. ამ ზღვარგადასული და საქართველოს საზღვარსგადმოსული აგრესიულობის გამო, ის ორჯერ უკვე დაჯარიმდა კიდეც, თუმცა, ვერც დაკისრებული ჯარიმის მისგან ამოღება მოახერხა ვინმემ და ვერც მისი უკანონო საქმიანობის შეზღუდვა.

მეტიც: შარშან აგვისტოში, საომარი მოქმედებების დროს იყო მომენტი, როცა ქართული ფიჭური კავშირგაბმულობის სიგნალი გორსა და მის მიმდებარე სოფლების მონაკვეთზე არ ვრცელდებოდა. „მაგთის“, „ჯეოსელის“ და „ბილაინის“ ნაცვლად, გორსა და გორის მიმდებარე ტერიტორიებზე რუსული ფიჭური კავშირგაბმულობის კომპანია „მეგაფონის“ სიგნალი მოქმედებდა. გორში „მეგაფონის“ სიგნალმა ადგილობრივი ფიჭური ოპერატორების სიგნალი ჩაახშო და გორის მცხოვრებთა მობილურმა ტელეფონებმა „მეგაფონის“ სიგნალის მიღება დაიწყო. მაშინ „მეგაფონში“ ღიად განაცხადეს, რომ რუსეთის მთავრობის მოთხოვნით, სამხრეთ ოსეთის რეგიონში რამდენიმე მოძრავი საბაზო სადგური გააგზავნეს, რომლებიც ცხინვალში არსებულ კომუტატორებთან იყო დაკავშირებული.

ომის დროს ქართული მხარის საზიანო კომუნიკაცია სწორედ „მეგაფონის“ მეშვეობით ხორციელდებოდა. თუმცა, ამისთვის „მეგაფონს“ არათუ პასუხი ვერ მოეთხოვა, არამედ უახლოეს ხანებში არაპირდაპირ, მაგრამ მაინც შეუძლია გაზარდოს თავისი გავლენა ქართულ საკომუნიკაციო ბაზარზე.

„ჯეოსელის“ მფლობელი შვედურ-ფინური „თელია-სონერა“, შესაძლოა, „ვიმპელკომის“ აქციონერიც გახდეს. ეს იმ შემთხვევაში მოხდება, თუ რუსული „მეგაფონი“ კონკურენტის – „ვიმპელკომის“ აქციათა 5%-იან პაკეტს შეიძენს. „ვიმპელკომი“ „ბილაინის“ მფლობელია, „თელია-სონერა“ კი – „მეგაფონის“ უმსხვილესი აქციონერი. ის კომპანიის აქციათა 35,6%-ს პირდაპირ, 8,2%-ს კი შვილობილი კომპანიის მეშვეობით აკონტროლებს. „მეგაფონსა“ და „ვიმპელკომს“ შორის გარიგების დადების შემთხვევაში, „თელია-სონერა“, როგორც „მეგაფონის“ ერთ-ერთი ძირითადი აქციონერი, საქართველოს ბაზარზე ორი ფიჭური ოპერატორით იქნება წარმოდგენილი.

თუმცა, ამაზე უფრო მეტად საინტერესო ის საკითხია – რატომ არ იყენებს საქართველოს მთავრობა თავისივე ინიცირებულ ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ კანონს; ან შვედურ-ფინურ „თელია-სონერას“ რატომ არ აქვს არანაირი დისკომფორტი იმის გამო, რომ მისი შვილობილი „მეგაფონი“ არაღიარებულ, არალეგალურ სივრცეში, კანონის სრული იგნორირებით საქმიანობს?

ნობელიანტი რობერტ მანდელი საქართველოში

ქართული ლარი, მსოფლიო კრიზისი და ნობელის პრემია

ნობელიანტ რობერტ მანდელის ლექციის წინ აუდიტორია ელოდა, რომ მოისმენდა მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის საფუძვლიან ანალიზს; ასევე ლარის გაუქმებისა და მისი დოლარით შეცვლის საჭიროების დასაბუთებასაც. ამ ორი დიდი მოლოდინიდან პირველი გადაჭარბებით ასრულდა, მეორე კი მთლიანად გაცრუვდა >>

ლევან როინიშვილი **კონსულტანტი მართვის საკითხებში, კომპანია PURPLESHEEP**

■ რობერტ მანდელი

ფოტო REUTERS / ალექსანდრე დემიანენკოს

უკვე რამდენიმე თვეა, რაც საქართველოში დოლარით ლარის ჩანაცვლების თემა მუშავდება, მაგრამ ამან ფართო მხარდაჭერა ვერ ჰპოვა. მანდელს კი აქვს უნიკალური აკადემიური უნარი, ქვეყნებს ხელი ააღებინოს საკუთარ ვალუტაზე. დღეისათვის მის ანგარიშზეა მინიმუმ 16 ქვეყანა, რომელთაც საკუთარი ფულის ნიშნები გააუქმეს და ევროს გამოყენება დაიწყეს. 1960-იან წლებში მანდელმა საფუძველი ჩაუყარა ვალუტის ოპტიმალური ზონის ცნებას, რამაც 1999 წელს კაცობრიობას ევრო, ხოლო ავტორს – ნობელის პრემია მოუტანა.

მიუხედავად ვალუტების წინააღმდეგ მებრძოლის უბადლო რეპუტაციისა, მანდელს თავის გამოსვლაში არაფერი უთქვამს ქართული ლარის გაუქმებაზე. ამის ერთი მიზეზი ალბათ მისი პოლიტიკური ინტუიცია იყო, რომელმაც მანდელს იმ საღამოს ქარის წისქვილებთან უშედეგო ბრძოლა გადააფიქრებინა. საქართველოში ლარს, ეკონომიკურის გარდა, სენტიმენტალური ღირებულებაც აქვს და ნებისმიერი რეფორმატორი, რომელიც ამ ორი განზომილებიდან მხოლოდ ეკონომიკურს გაითვალისწინებს, აუცილებლად დონ კიხოტის კომიკურ როლში აღმოჩნდება.

ქართული ვალუტის გაუქმებაზე მანდელის გაჩუმების მეორე მიზეზი კი ალბათ მისი მეცნიერული შეუდრეკელობა გახდა, რადგან მანდელის თეორია ლარის გაუქმებაზე პირდაპირ უკუჩვენებას იძლევა. მანდელის შრომების მიხედვით, ქვეყანამ რომ დოლარი ოფიციალურ ვალუტად გამოაცხადოს, ის დოლარის ოპტიმალური ზონის ნაწილი უნდა იყოს, საქართველოში კი ამის ყველა ის პირობა დარღვეულია, რომელთაც მანდელი აუცილებლად მიიჩნევს. მაგალითად, მუშახელი თავისუფლად ვერ მოძრაობს საქართველოსა და დოლარის ქვეყნებს შორის; არც ხელფასები, პენსიები და პროდუქციის ფასებია შესადარი; კულტურული და ენობრივი ბარიერებიც საკმაოდ მაღალია. მანდელი ნამდვილი მეცნიერი აღმოჩნდა და არა უბრალოდ დოლარიზაციის იდეოლოგი, რომელიც საკუთარ მეცნიერულ არგუმენტს იდეოლოგიურ საჭიროებას მოარგებდა.

მანდელმა თბილისში წაკითხულ ლექციაზე ლარისა და დოლარის უთანასწორო პაექრობას გვერდი აუარა, მაგრამ მსოფლიოს სავალუტო პოლიტიკაზე მაინც ვრცლად ისაუბრა. პროფესორი შეეცადა, ეჩვენებინა, რომ დღევანდელივით ღრმა ფინანსური კრიზისების საფუძველი სწორედ ახლანდელი მსოფლიო ფინანსური სისტემაა, კერძოდ კი მსოფლიო ფინანსური მოდის ერთი ბოლოდროინდელი კაპრიზი: მოდა ვალუტის თავისუფალ კონვერტაციაზე.

მანდელის თქმით, მსოფლიოში ფინანსური რყევები შედარებით რბილი იყო მეოცე საუკუნის დასაწყისამდე, როდესაც სხვადასხვა ვალუტის გაცვლის კურსები პრაქტიკულად უცვლელი იყო. ამ დროს მსოფლიოს ფაქტობრივად საერთო ფული ჰქონდა – ოქრო და ვერცხლი, ხოლო სხვადასხვა ვალუტა ამ ძვირფასი მეტალების განსხვავებული შემცველობის დასახელებას წარმოადგენდა. მაგალითად, ბრი-

ტანული გირვანქა სტერლინგი თითქმის ხუთჯერ მეტ ოქროს შეიცავდა, ვიდრე ამერიკული დოლარი. შესაბამისად, ამ ორი ვალუტის გაცვლითი კურსი მეცხრამეტე საუკუნეში უცვლელად იყო დაახლოებით ხუთი ერთთან. მნიშვნელოვანი იყო, რომ დოლარიც და სტერლინგიც გარანტიას იძლეოდა, რომ თითოეული ბანკნოტის გაცვლა შესაბამისი წონის ოქროსა თუ ვერცხლზე ყოველთვის იყო შესაძლებელი. ამიტომ, ამ ბანკნოტებს უკან ძვირფასი მეტალი იდგა, რომელიც სპეციალურ საცავებში ინახებოდა, მაგრამ რეალურად ბანკნოტის მფლობელს ეკუთვნოდა.

ოქროთი გამაგრებული ფულის პერიოდში მსოფლიო ფინანსური სისტემა ერთ რიტმში სუნთქავდა, ფულის გაძვირება ან გაიაფება ერთნაირად ეხებოდა ყველა ქვეყანას.

ასეთ უნისონში მიედინებოდა მსოფლიოს ფინანსური რყევები მეოცე საუკუნემდე, ვიდრე ქვეყნებმა ნელ-ნელა დაიწყეს კავშირის გაწყვეტა საკუთარ ვალუტასა და ძვირფას მეტალებს შორის. პირველი მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა 1944 წელს ამერიკის ქალაქ ბრეტონ-ვუდზში, სადაც მსოფლიოს წამყვანი ინდუსტრიული ქვეყნების წარმომადგენლებმა ოქროს ფასები დოლარით დააფიქსირეს, ხოლო დანარჩენი ვალუტის გაცვლითი კურსები დოლარს მიაბეს. სწორედ ამ შეთანხმების შესრულებაზე მეთვალყურეობისათვის შეიქმნა მსოფლიო ბანკი და საერთაშორისო ფინანსური კორპორაცია.

ბრეტონ-ვუდზის შეთანხმების მოქმედების პერიოდში მდიდარი ქვეყნების ფული დოლარის გავლით მაინც ოქროზე იყო მიბმული. რობერტ მანდელის დაკვირვებით, ამ პერიოდშიც მსოფლიო ფინანსური სისტემა ჰარმონიულად მუშაობდა, ღრმა კატაკლიზმების გარეშე. მაგრამ ეს სისტემა დაინგრა, როდესაც 1971 წელს რიჩარდ ნიქსონმა ცალმხრივად გააუქმა ამერიკული დოლარის ოქროზე გადაცვლის პირობა. ამ დროიდან ერთიანი სისტემა დაირღვა და სხვადასხვა ვალუტის ბედი მთლიანად გახდა დამოკიდებული შესაბამისი ქვეყნის ცენტრალური ბანკის პოლიტიკაზე, რასაც მოჰყვა ნამდვილი მსოფლიო ფინანსური ბაბილონის გოდოლი და ფინანსური კაკოფონია.

დღეს ცენტრალური ბანკების შეუთანხმებელი პოლიტიკის გამო, სავალუტო გაცვლითი კურსები საგრძნობლად მერყეობს, რაც იწვევს დოვლათის უეცარ და არნახულ გადადინებას ქვეყნებს შორის. თუ ერთ დღეს შენი მილიონი ამერიკული დოლარი ორ მილიონ ქართულ ლარს უდრის, ხვალ შეიძლება შენგან დამოუკიდებელი მიზეზებით მხოლოდ მილიონნახევარი ლარის გულგატეხილი მფლობელი აღმოჩნდე. მანდელის თქმით, ფინანსური სისტემის სწორედ ასეთმა სიურპრიზებმა დაანგრია ფინანსური გიგანტები Bear Stearns და Lehman Bothers, და საბოლოოდ დღევანდელი ღრმა ფინანსური კატაკლიზმის მიზეზიც გახდა.

ერთი ვალუტის გაუფასურება მეორე ვალუტის მიმართ ხშირად ქვეყნებს შორის სიმდიდრის ბუნებრივი გადანაწილების შედეგია, და არა მისი მიზეზი. დოვლათის ასეთი ბუნებრივი გადანაწილება მუდმივად მიმდინარეობს, მისი მიზეზები კი უთვალავია: ქვეყანაში ნავთობის აღმოჩენით დაწყებული, განათლების სისტემის გაუმჯობესებით, ან ახალი ტურისტული სავანეს აღმოცენებით დამთავრებული. მაგრამ ცენტრალურ ბანკებს მნიშვნელოვანი ცოდვები მიუძღვით ვალუტის კურსების ხელოვნურ რყევაში. სწორედ ამ ცოდვების თავისებური გაგებით განსხვავდება მანდელი ოქროს ფულის მომხრე, დანარჩენი ლიბერალი ეკონომისტებისაგან.

მანდელისათვის ოქროს ფული მხოლოდ სტაბილური გაცვლითი კურსის გარანტიაა. ძვირფასი მეტალებით გამაგრებული ვალუტის სხვა მხარდამჭერები კი თვლიან, რომ ფინანსური კრიზისების ძირითადი მიზეზი მთავრობის მიერ ქაღალდის ფულის მარაგის გაბერვაა, რაც შეუძლებელი იქნებოდა ოქროს ფულის შემთხვევაში.

ოქროს სტანდარტის თანამედროვე მომხრეების ჯაჭვი შემდეგნაირად ვითარდება. ბოლო ათწლეულების განმავლობაში მსოფლიოში წარმადობა არნახული ტემპით იზრდება. ყოველდღე ერთ სულ მოსახლეზე სულ უფრო და უფრო მეტი პროდუქცია იქმნება ისევ ამ მოსახლეობის მიერ, მაგრამ თავად მოსახლეობას ეს მაინცდამაინც არ ეტყობა. იმის მაგივრად, რომ ადამიანების საკეთილდღეოდ სამომხმარებლო ფასები დიდი სისწრაფით მცირდებოდეს, ისინი ძირითადად უცვლელი რჩება. საქმე ისაა, რომ ნამატი პროდუქციის შესაბამისად, ცენტრალური ბანკები მუდმივად ბეჭდავენ ახალ ფულს და გადასცემენ რამდენიმე რჩეულ კორპორაციას. შესაბამისად, ეს კორპორაციები დაუმსახურებლად ითვისებენ კაცობრიობის მიერ წარმოებული უზარმაზარი ნამატის მნიშვნელოვან ნაწილს. თუ რომელიმე ასეთ კომპანიას მაინც დაემუქრა გაკოტრება, მის გადასარჩენად ცენტრალურ ბანკს შეუძლია კიდევ უფრო მეტი ფულის ჰაერიდან შექმნა. მაგალითად, მარტო 2007 წლის 9 და 10 აგვისტოს ამერიკისა და ევროპის ცენტრალურმა ბანკებმა 250 მილიარდი დოლარი შექმნეს. ამდენითვე მყისიერად შემცირდა მოსახლეობისა და ჯანსაღი კომპანიების მყიდველობის უნარი. სამაგიეროდ, ამ საჩუქარმა გაკოტრების ზღვარზე მყოფი არაეფექტური კომპანიები გადაარჩინა. ამით 2007 წელს ფინანსური საფრთხე კი არ გაქრა, არამედ შეინიღბა, ხოლო 2008 წელს არნახული ძალით იფეთქა და დღევანდელ ფინანსურ კრიზისად მოგვევლინა.

ოქროს ფულის ტრადიციული დამცველებისაგან განსხვავებით, მანდელისათვის ცენტრალური ბანკების ინტერვენციები მისაღებია, თუ ეს იქნება ქვეყნებს შორის შეთანხმებული პოლიტიკა სავალუტო კურსების სტაბილიზაციის მიზნით. ერთი შეხედვით განსხვავება უმნიშვნელოა, მაგრამ სინამდვილეში მანდელის მიერ დახატულ მსოფლიოში ოქროთი გამყარებული ფული აუცილებელი სულაც არ არის; აუცილებელია მხოლოდ უცვლელი გაცვლითი კურსები, როგორც 1945-71 წლებში იყო ბრეტან-ვუდზის შეთანხმების მუშაობის დროს.

ამ თავისებურების გამო, საქართველოში გამართულ მანდელის ლექციაზე ისმოდა არ მარტო დანარჩენი მსოფლიოსათვის კარგად ცნობილი ეკონომიკური იდეები – რასაც ქართული აუდიტორია ელოდა – არამედ ნობელიანტის პირადი, ორიგინალური მოსაზრებებიც. გასაკვირი არ არის, რომ ლექცია ინფორმატიული, მაგრამ საკამათოც აღმოჩნდა. ეს მანდელისათვის დამახასიათებელი შტრიხია. მასაჩუსეტსის ტექნოლოგიის უნივერსიტეტის ეკონომისტი, რუდიგერ დორნბუში ასე იხსენებს მანდელის ლექციებს: „ის აუდიტორიაში ინტელექტუალურ ბომბს შემოაგდებდა, თვითონ კი უშფოთველად განაგრძობდა“.

სწორედ ასეთი საკამათო და საფიქრალი თემები გააჩინა რობერტ მანდელმა თავისუფალი უნივერსიტეტის აუდიტორიაში, თვითონ კი სხვა ქვეყნებისა და სავალუტო ზონებისკენ განაგრძო მეცნიერული მოგზაურობა.

მიუხედავად ვალუტების წინააღმდეგ მებრძოლის რეპუტაციისა, მანდელს თავის გამოსვლაში არაფერი უთქვამს ქართული ლარის გაუქმებაზე. ამის მიზეზი მისი პოლიტიკური ინტუიცია იყო, რომელმაც მანდელს ქარის წისქვილებთან ბრძოლა გადააფიქრებინა.

პოლიტიკური დაპატიმრებები

იარაღი ოპოზიციის წინააღმდეგ

ოპოზიცია და ადამიანის უფლებათა დამცველები პოლიტიკურ დაპატიმრებებსა და რეპრესიებზე საუბრობენ >>

ანიტა თვაური, ნინო ბექიშვილი

„ახლა მიმდინარეობს ძალიან სასარგებლო პროცესი – პოლიტიკური პროცესების განმენდის, ყველაფრის თავის ადგილზე დალაგების. ვფიქრობ, ვისაც აქვს უნარი, რომ გადავიდეს ქართული პოლიტიკის შემდგომ ეტაპზე, მიაღწიოს წარმატებას, ის ამოცანას გამოიყენებს“, – განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა აპრილის ბოლოს, მაშინ, როდესაც პოლიტიკური აქციების ტალღა ახალი დაწყებული იყო.

თავიდან აშკარად ჩანდა, რომ ხელისუფლება ოპოზიციის მიტინგებს, საკნებს, პარალიზებულ ქალაქს მშვიდად შეხვდა და მოთმინებით ელოდა, რით დამთავრდებოდა პროტესტის ტალღა. დღეს სხვა რეალობა გვაქვს: უკანასკნელ ხანებში, განსაკუთრებით 15 ივნისის შემდეგ, ოპოზიციური პოლიტიკური პარტიების წევრები და ადამიანის უფლებათა დამცველი არასამთავრობო ორგანიზაციები მსჯელობენ იმაზე, თუ რა შეიძლება დაუპირისპირონ პოლიტიკურ დევნას.

„სახეზეა პოლიტიკური რეპრესიები, სრულმასშტაბიანი პოლიციური ტერორი. ესაა სისტემა, რომელიც გარდაუვლად მიიყვანს საკუთარ თავს დასასრულამდე, – აცხადებს რესპუბლიკური პარტიის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი, – ამ კატასტროფას ქვეყანა მთლიანად არ უნდა გადავაყოლოთ, ნაწილობრივ რომ გადავაყოლეთ, ეს უკვე ფაქტია“.

პოლიტიკურად აქტიურ ადამიანებს, სხვადასხვა ოპოზიციური პარტიის წევრებსა და აქტივისტებს დედაქალაქსა და რეგიონებში ძირითადად იარაღის უკანონოდ ტარების ან შენახვის და ნარკოტიკების მოხმარების ბრალდებით აკავებენ.

„მას შემდეგ, რაც მერაბ ქათამაძე დაპატიმრეს, თავს დაუცველად ვგრძნობთ, თუკი შეიძლება მერაბი დაიჭირონ, ეს იმას ნიშნავს, რომ საფრთხე ნებისმიერ ჩვენგანს შეიძლება დაემუქროს“, – მითხრა რესპუბლიკური პარტიის წევრმა ახალგაზრდა გოგონამ.

მერაბ ქათამაძე 27 ივნისს, დაახლოებით საღამოს 6 საათზე გრიბოედოვის ქუჩაზე, რესპუბლიკური პარტიის ოფისთან მანქანას აყენებდა, როცა იქვე ჯიპი გაჩერდა. მანქანიდან ოთხი კაცი გადმოვიდა, მერაბი ალყაში მოაქციეს, ავტომობილის გასაღები წაართვეს, თავიანთ მანქანაში შეაგდეს და აუხსნეს, რომ მოხდა ავტოსაგზაო შემთხვევა, სადაც მისი მანქანა იყო დაფიქსირებული. ერთ-ერთი მათგანი მერაბ ქათამაძის ავტომანქანაში ჩაჯდა და უკან გაჰყვა. რესპუბლიკის მოედანზე ორივე მანქანა შეჩერდა, მერაბს აცნობეს, რომ მის მანქანაში იარაღი იპოვეს, რის შემდეგაც ორთაჭალაში, შშს-ს კრიმინალური დეპარტამენტის შენობაში მიიყვანეს. სამი საათის გასვლის შემდეგ მასთან გამომძიებელი მივიდა და აჩვენა ოქმი, სადაც ეწერა, რომ მას იარაღი უკანა ჯიბიდან ამოუღეს. „ვერსია მესამედ შეიცვალა – ჯერ მითხრეს, – ავტოსაგზაო შემთხვევაა, შემდეგ მანქანაში იარაღია ნაპოვნიო, ბოლოს – თურმე თან ვატარებ. ოქმზე ხელი არ მომიწერია, – ამბობს მერაბ ქათამაძე და ამატებს, რომ იარაღი, რომელიც მას „ამოუღეს“, თვალით არ უნახავს.

„იმას, რაც იქ ხდებოდა სამი საათის განმავლობაში, ძნელად თუ შეიძლება საგამოძიებო მოქმედება ეწოდოს. არავის დავუკითხივარ, არ გავუჩხრეკივარ არც დაკავების ადგილზე, არც შშს-ს სამინისტროში, მხო-

ლოდ სამმართველოს წინასწარი დაკავების იზოლატორში შეყვანის წინ გამჩხრიკეს“.

იმავე საღამოს მერაბ ქათამაძის სახლში ჩხრეკა ჩატარდა, რომელსაც რესპუბლიკური პარტიის ლიდერები ესწრებოდნენ. ჩხრეკისას ორი იარაღი იპოვეს, ორივე – გაფორმებული. მათ შორის ერთ-ერთი, სანადირო შაშხანა, ტარების უფლებით და მეორე – ანტიკვარული პისტოლეტი, შენახვის უფლებით.

რადგანაც დაკავებული დანაშაულს არ აღიარებდა და გამოძიებასთან არ თანამშრომლობდა, სასამართლო პროცესზე პროკურორი, ქათამაძისთვის, აღმკვეთი ღონისძიების სახით, ორთვიან წინასწარ პატიმრობას მოითხოვდა. დაცვა გირაოს, 3000 ლარს სთავაზობდა, რასაც ბრალდების მხარე არ ეთანხმებოდა. ამ დროს გამომძიებელმა მობილურ ტელეფონზე შეტყობინება მიიღო, პარალელურად პროკურორის ტელეფონმაც დარეკა, მოსამართლესთან თანაშემწე შევიდა და ყურში რაღაც უჩურჩულა. ამ სამმა ერთმანეთში მოილაპარაკა და ყველასთვის მოულოდნელად, პროკურორმა განაცხადა, – გირაოზე თანახმა ვარო; ოღონდ 5000 ლარი მოითხოვა. ამ ფაქტს ბრალდებული, მისი მეუღლე, რესპუბლიკური პარტიის ლიდერები და ადვოკატი გიორგი რაზმაძე ადასტურებენ.

მერაბ ქათამაძე, რესპუბლიკური პარტიის პოლიტიკური საბჭოს წევრი, ამავე პარტიის კახეთის რეგიონის კოორდინატორი და ბიულეტენ „რესპუბლიკელების“ რედაქტორია. ის მიტინგებში მონაწილეობას არ იღებდა, – 90-იანი წლების შემდეგ მიტინგზე აღარ ვმდგარვარო. 90-იანი წლებიდან მერაბ ქათამაძე კახეთში ტელევიზიის მფლობელი იყო, არის გამომცემლობა „აზრის“ დამაარსებელი, ერთი პერიოდი – გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაციის თავმჯდომარე, თბილისის წიგნის ფესტივალის იდეის ავტორი და ერთ-ერთი ორგანიზატორი. მისი დაკავების დღეებში სწორედ წიგნის ფესტივალი მიმდინარეობდა და მწერლებმა და გამომცემლებმა შეშფოთება გამოხატეს კოლეგის „წარმოუდგენელი“ მიზეზით დაპატიმრების გამო. პოეტი რატი ამაღლობელი, რომელიც მერაბ ქათამაძეს 12 წელია, იცნობს, ამბობს: „მისი დაპატიმრება ამ ცინიკური ბრალდებით სრულიად შოკის მომგვრელი იყო. საწყენია, რომ მერაბის დაკავების დროს საზოგადოების მკვეთრი რეაქცია ვერ დავინახე; პირიქით, ბევრს ხელისუფლებისადმი პიეტეტის და ლოიალობის გამო შეეშინდა, პროტესტი გამოეთქვა მერაბის დაკავებაზე, მიუხედავად იმისა, რომ ბრალდების აბსურდულობას კარგად ხვდებოდნენ“. ტელეკომპანია „მაესტროში“ გამოსვლის დროს გამომცემლობა „ლიტერას“ დამაარსებელმა, ნაციონალური მოძრაობის წევრმა, დეპუტატმა ნუგზარ წიკლაურმა წამყვანის, თამარ ჩიქოვანის კითხვაზე, სჯერა თუ არა მას, რომ მერაბ ქათამაძე თბილისში იარაღით დადიოდა, უპასუხა, – მე იმასაც ვერ წარმოვიდგენდი, რომ მერაბ ქათამაძეს სახლში გაფორმებული იარაღი ჰქონდა, ასე რომ, დაველოდოთ გამოძიებასო.

იარაღის შენახვის გამო დააპატიმრეს კონსერვატიული პარტიის დმანისის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე მამუკა ჩხვიმიანიც. 29 ივნისს დილის 5 საათზე მის სახლში ნამდვილი სპეცოპერაცია მოეწყო. დაკავებულის ძმა, ზაზა ჩხვიმიანი ჰყვება, რომ მათ სახლში დაახლოებით 40-მდე პოლიციელი მივიდა; ჩაატარეს ჩხრეკა და ხელყუმბარა საძინებელი ოთახის კარადაში, მამუკა ჩხვიმიანის მეშვიდეკლასელი შვილის თეთრეულში აღმოაჩინეს. შემოსასვლელში, ფეხსაცმელების კარადაში კი 5 ტყვია იდო. ზაზა ჩხვიმიანი იმასაც ჰყვება, რომ მამუკას მეუღლემ დაინახა, როგორ ჩადეს ხელყუმბარა მისი შვილის კარადაში და იყვირა, მაგრამ ნივთმტკიცება მაინც ამოიღეს.

„2009 წლის 24 ივნისს ზ. ჩხვიმიანი დააკავეს ეჭვმიტანილის სახით. იმავე დღეს ჩხრეკის შედეგად ამოღებულ ნივთებზე დაინიშნა და ჩატარდა სასამართლო-ბალისტიკური ექსპერტიზა, რომლის 2009 წლის 25 ივნისის N630/ბ და Nამ/401 დასკვნების თანახმად, ექსპერტიზაზე გამოსაკვლევად წარდგენილი ნივთებიდან - ხუთი ცალი ვაზნა მიეკუთვნება საბრძოლო მასალათა კატეგორიას და ვარგისია სროლისათვის. Ф-1-ის ტიპის ხელის მსხვრევადი ყუმბარის კორპუსი, სასკდომი მუხტით და УЗРГМ ტიპის ხელის მსხვრევადი ყუმბარის უნიფიცირებული მოდერნიზებული ფალია როგორც მთლიანობაში, ასევე ცალ-ცალკე წარმოადგენენ ასაფეთქებელ მოწყობილობებს, მიეკუთვნებიან საბრძოლო მასალათა კატეგორიას და ვარგისი არიან დანიშნულებით გამოსაყენებლად“, – ნათქვამია საქართველოს პროკურატურის ოფიციალურ განცხადებაში.

საქართველოს სახალხო დამცველი სოზარ სუბარი ჰყვება, რომ მან თბილისში მიტინგებზე რამდენჯერმე ნახა მამუკა ჩხვიმიანი, რომელიც მისი ბავშვობის მეგობარია, და ის სწორედ მოსალოდნელ პროვოკაციაზე ელაპარაკა. სოზარ სუბარის თქმით, დაუჯერებელია, რომ ადამიანმა, ვინც სამართლადამცავებისგან პროვოკაციას ელოდება, ხელყუმბარა, რომელიც შეიძლება უბრალო გაუფრთხილებლობის გამო აფეთქდეს, ბავშვისთვის ხელმისაწვდომ ადგილას, მის თეთრეულში შეინახოს.

არც მამუკა ჩხვიმიანი და არც მერაბ ქათამაძე გამოძიებასთან თანამშრომლობას და იმის აღიარებას არ აპირებენ, რომ მათ იარაღი ჰქონდათ. ამბობენ, – გვირჩევნია, ციხეში ჩავსხდეთ და სასჯელი მოვიხადოთ, ვიდრე ის ვაღიაროთ, რაც არ ყოფილაო.

გორი, ხობი, დმანისი, ტყიბული, მცხეთა, ჩოხატაური – ეს იმ რაიონების ჩამონათვალია, სადაც ბოლო ერთი თვის განმავლობაში ოპოზიციური პარტიების აქტივისტები დააკავეს. „როცა ერთ რაიონში, სადაც სულ ორი პარტია მუშაობს, ორივეს თავმჯდომარეს დაიჭერ, ეს ამ პარტიების სრულ ლიკვიდაციას ნიშნავს, – ამბობს კონსერვატიული პარტიის ერთ-ერთი ლიდერი კახა კუკავა. ხობის რაიონის ორი რაიონული თავმჯდომარე იოსებ ქებურია („კონსერვატორები“) და ედიშერ ჯობავა („ალიანსი საქართველოსთვის“) 17 და 19 ივნისს დააკავეს.

„ალიანსი საქართველოსთვის“ ხობის რაიონული თავმჯდომარე, რომელიც ამავე დროს ხობის საკრებულოს ერთადერთი ოპოზიციური ფრთის წარმომადგენელიცაა და საკრებულოში ოპოზიციური ფრაქციის შექმნას ცდილობდა, სამ კვირაზე მეტია, ზუგდიდის №4 საპყრობილეშია. როგორც ოჯახის წევრები ჰყვებიან, ედიშერ ჯობავა 19 ივნისის საღამოს, სამსახურიდან – ყულევის ნავთობგადამამუშავებელი ტერმინალიდან შინ ბრუნდებოდა, როდესაც პოლიციელებმა ტერმინალის კუთვნილი ტრანსპორტიდან ჩამოსვეს და ხობის პოლიციაში გადაიყვანეს, სადაც აცნობეს, რომ ჩხრეკისას (რომელსაც მხოლოდ პოლიციის წარმომადგენლები ესწრებოდნენ) იარაღი და სუბოტექსი აღმოაჩნდა. რამდენიმესაათიანი დაკითხვის შემდეგ ნარკოლოგიური შემოწმება ჩაუტარეს, რომლითაც ოპიუმის ჯგუფის ნარკოტიკების მიღება დაუდგინდა. სუბოტექსი არ შედის ჯობავას სისხლში აღმოჩენილი ოპიუმის ჯგუფის ნარკოტიკებში. ედიშერი ეჭვობს,

გორი, ხობი, დმანისი, ტყიბული, მცხეთა, ჩოხატაური – ეს იმ რაიონების ჩამონათვალია, სადაც ბოლო ერთი თვის განმავლობაში ოპოზიციური პარტიების აქტივისტები დააკავეს.

რომ ნარკოტიკი პოლიციელებმა წყალში გაურიეს, რომელიც დაკითხვის დროს შესთავაზეს. ასევე დაკავებულის დაცვის მხარე ყურადღებას ამახვილებს იმ დეტალზე, რომ ედიშერ ჯობავას ყოველდღე სამსახურში შესვლისას მეტალო დეტექტორის გავლა უწევდა, რაც ნაკლებად დამაჯერებელს ხდის იმ მოსაზრებას, რომ მას, სავალდებულო შემოწმების მიუხედავად, იარაღი თან ეტარებინა. არც ერთი გარემოება მოსამართლემ არ გაითვალისწინა და მას ორთვიანი წინასწარი პატიმრობა შეუფარდა.

15 ივნისს საღამოს პოლიციამ რესპუბლიკური პარტიის წევრი დავით (ზაალ) გუდაძე და ოპოზიციის მხარდამჭერი თამაზ ტლაშაძე დააკავა, პირველი ნარკოტიკული ნივთიერების, ხოლო მეორე – საბრძოლო მასალის შეძენა-შენახვის ბრალდებით. სახალხო დამცველის აპარატის თანასწორობისა და თავისუფლების სამმართველოს უფროსის, სოფო ბენაშვილის თქმით, ამ მუხლების გაყალბება ყველაზე მარტივადაა შესაძლებელი. დაცვის მხარე კი ჩივის, რომ ხშირ შემთხვევაში, ასეთი დაკავებებისას ჩხრეკას პოლიცია საკუთარი მოწმეებით, ან საერთოდ მათ გარეშე ატარებს. დაკავებულების ადვოკატები ამბობენ, რომ დამოუკიდებელი ექსპერტიზის ჩატარებაზე უარს ეუბნებიან. სააპელაციო სასამართლოშიც ყველა გასაჩივრება უშედეგოდ დასრულდა. ამ საქმეების განხილვისას არც ერთ მოსამართლეს დაცვის მხარის მიერ წარდგენილი გარემოებები არ გაუთვალისწინებია.

„დასავლეთის ზეწოლის გამო, ხელისუფლება პოლიტიკურ ლიდერებს ვერ დააკავებს, მაგრამ მათ მომხრეებს რეგიონებში, ფულისა და ოფისების გარეშე დატოვებს“, – ამბობს კახა კუკავა. დაპატიმრებულთა უმეტესობას წინასწარი ორთვიანი პატიმრობა შეუფარდეს, რაც მათ, ბრალის არ დამტკიცების შემთხვევაშიც, დიდი ხნით ჩამოაშორებს ბოლო დროს გააქტიურებულ პოლიტიკურ ცხოვრებას.

კონკრეტული პარტიებისთვის პოლიტიკური ზიანის მიყენებასთან ერთად, პოლიტიკოსები ამ დაკავებების ერთ-ერთ უმთავრეს დანიშნულებად რეგიონის მოსახლეობის დაშინებას განიხილავენ. „ამ დაკავებების შემდეგ პროტესტი იზრდება, მაგრამ ხალხი დაშინდა“, – ამბობს ახალი მემარჯვენეების ლიდერი მანანა ნაჭყებია და იხსენებს, რომ ედიშერ ჯობავას დაკავების შემდეგ, ხობის ოფისის სხვა აქტივისტისთვის გადაბარების მცდელობისას მან ოფისის გასაღები უკან დააბრუნა. მიზეზად კი ის დაასახელა, რომ „შემოუთვალეს, – თუ ოპოზიციონერობას თავს არ დაანებებ, ედიშერ ჯობავას ბედს გაიზიარებ და ვერავინ დაგიცავსო“. ოპოზიციური პარტიები აღიარებენ, რომ ვერ ახერხებენ საკუთარი აქტივისტების დაცვას – დღემდე არც ერთი ოპოზიციური აქტივისტის დაკავების გასაჩივრება წარმატებით არ დასრულებულა.

სხვადასხვა პოლიტიკური პარტია პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებული ადამიანების განსხვავებულ რიცხვს ასახელებს. ეს რიცხვი 60-დან 100 კაცამდე მერყეობს. ამ საქმეების შესწავლის პროცესი სწორედ ამ დღეებში მიმდინარეობს, სახალხო დამცველის აპარატი და რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაცია კოორდინირებულად მოქმედებენ. ისინი სწავლობენ თითოეულ საქმეს, რათა დაზუსტდეს, რამდენადაა კონკრეტული პატიმრის დაკავების მიზეზი მისი პოლიტიკური შეხედულებები ან აქტივობა. იურისტთა ასოციაციის თავმჯდომარის, თამარ ხიდაშელის თქმით, შესწავლის შემდეგ ეს საქმეები საერთაშორისო უფლებადაცვით ორგანიზაციებს, მათ შორის Amnesty International-ს და ევროპის საბჭოს გადაეცემა.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო

საქართველოს წინააღმდეგ

საქართველოს მთავრობამ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულებისთვის მხოლოდ 2009 წელს ქვეყნის ბიუჯეტიდან 43 141 ევრო გასცა >>

ნინო როგაძიძე

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს სხდომა, სტრასბურგი 2009

ფოტო: REUTERS / ვინსენტ კალლერი

საქართველოში ხმაურიანი სასამართლო პროცესების პარალელურად, ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში საქართველოს წინააღმდეგ შეტანილი პეტიციების ანუ სარჩელების რიცხვი სტაბილურად იზრდება.

ადამიანის უფლებადაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები და ადვოკატები აცხადებენ, რომ განსაკუთრებით ხშირია მოქალაქეთა მოთხოვნა, მიმართონ ევროპის სასამართლოს „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციის“ მეექვსე მუხლის დარღვევის გასაჩივრების მიზნით. კონვენციის ეს მუხლი ყველა ადამიანს აძლევს სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლებას და ბრალდებულს აცხადებს უდანაშაულოდ მანამ, სანამ შესაბამისი კანონის წესით არ დადგინდება მისი ბრალეულობა. საქართველოს წინა-

საქართველოს წინააღმდეგ ევროსასამართლოში შეტანილი საჩივრები ძირითადად უკანონო დაპატიმრებას, სასჯელაღსრულების დაწესებულებებში არაადამიანურ მოპყრობასა და კერძო საკუთრების ხელყოფას ეხება.

აღმდეგ ევროსასამართლოში შეტანილი საჩივრები ძირითადად უკანონო დაპატიმრებას, სასჯელაღსრულების დაწესებულებებში არაადამიანურ მოპყრობასა და კერძო საკუთრების ხელყოფას ეხება.

განსაკუთრებით რთული და მრავალმხრივია შალვა რამიშვილის საქმე, რომელმაც სტრასბურგს უკვე მიმართა. საქართველოს წინააღმდეგ შეტანილი საჩივარი, რომლითაც შალვა რამიშვილი და მისი საქმიანი პარტნიორი დავით კოხრეიძე მათი წინასწარი პატიმრობის პირობებს ასაჩივრებდნენ, უკვე დასრულებულია. მომჩივნებმა ექვს-ექვსი ათასი ევრო მიიღეს კომპენსაციის სახით და სახელმწიფოს დაზარალებულთა ადვოკატების მუშაობის ხარჯების ასანაზღაურებლად 14 ათასი ევროს გადახდა დაეკისრა. თუმცა ეს შალვა რამიშვილის საქმის მხოლოდ ერთი ნაწილია. სტრასბურგში კიდევ ერთი პეტიციაა, რომლითაც რამიშვილი მისი ჟურნალისტური საქმიანობისთვის ხელის შეშლას, გამოხატვის თავისუფლების უფლების დარღვევასა და სამართლიანი სასამართლოს უფლების ხელყოფას ასაჩივრებს. შალვა რამიშვილის ადვოკატს, ლია მუხაშავრიას უჭირს განსაზღვროს, რა დრო შეიძლება დასჭირდეს ამ საქმის განხილვას. თუმცა, ადვოკატის აზრით, რამიშვილის საქმე იმდენად მნიშვნელოვანია, რომ სასამართლო წარმოებაში მიღებული საჩივრის განხილვას, სავარაუდოდ, არ გააჭიანურებს.

ადამიანის უფლებათა დამცველი არასამთავრობო ორგანიზაცია „კონსტიტუციის 42-ე მუხლი“, უკვე დაახლოებით ათი წელია, რაც საქართველოს მოქალაქეებს ეხმარება, საკუთარი ინტერესები ევროსასამართლოში დაიცვან. „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ ორგანიზაციას რამდენიმე პოლიტიკურ საქმეზეც მოუწია მუშაობა. მათ შორისაა ირაკლი ბათიაშვილის „სამშობლოს ღალატის“ ბრალდებით დაკავების საქმეც და იგორ გიორგაძის პოლიტიკური პარტიის წევრების დაჭერისაც. თითქმის დასრულებულია მუშაობა სულხან მოლაშვილის საქმეზე, რომელსაც „კონსტიტუციის 42-ე მუხლი“ უცხოელ პარტნიორებთან ერთად აწარმოებდა.

კიდევ ერთი არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელიც იურიდიული კონსულტაციითა და მხარდაჭერით უზრუნველყოფს საქართველოს მოქალაქეებს ევროსასამართლოში არის „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია.“ მათ 2005 წლის შემდეგ სულ უფრო ხშირად მიმართავენ ევროსასამართლოსთან შუამდგომლობის თხოვნით.

საქართველოზე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს იურისდიქცია 1999 წლის 20 მაისიდან ვრცელდება. იმ დროიდან, როცა საქართველო ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპულ კონვენციას შეუერთდა. ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებებს საქართველოსთვის იურიდიული ძალა აქვს და მათი შესრულების გარანტი ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტია.

ევროპის სასამართლო არ წარმოადგენს ქართული უზენაესი სასამართლოს ზემდგომ ინსტანციას და არ არის უფლებამოსილი, გააუქმოს ან შეცვალოს ქვეყნის შიდა სასამართლოს გადაწყვეტილებები და ადგილობრივი კანონები. სასამართლოს მხოლოდ ის შეუძლია, რომ დაადგინოს, ადგილი ჰქონდა თუ არა კონვენციის ან მისი დამატებითი ოქმების კონკრეტული მუხლების დარღვევას. ასეთი დარღვევის არსებობის შემთხვევაში, განმცხადებლის სასარგებლოდ მოპასუხე სახელმწიფოს მიყენებული ზიანის საკომპენსაციოდ გარკვეული თანხის გადახდა ევალება. თუმცა, ხშირად მატერიალური კომპენსაცია, რომელსაც ევროსასამართლო მოპასუხე მხარეს აკისრებს, გაცილებით ნაკლებია დაზარალებულის მიერ მოთხოვილ თანხაზე; რომ არაფერი ვთქვათ იმ რთულ პროცედურებზე, რომელიც საქმემ ევროსასამართლოში მისვლამდე უნდა გაიაროს. ამასთანავე, ევროპის სასამართლოს გადაწყვეტილების შესაბამისად, შესაძლოა, მოპასუხე სახელმწიფოს დაევალოს ინდივიდუალური და საყოველთაო ხასიათის ზომების განხორციელება ევროპული კონვენციითა და მისი დამატებითი ოქმებით დაცულ უფლებათა უზრუნველსაყოფად.

სწორედ ასეთი საყოველთაო ზომების განხორციელება დაევალა საქართველოს სახელმწიფოს ევროსასამართლოს მიერ საქართველოს ლეიბორისტული პარტიის სარჩელის განხილვის შემდეგ. 2003 წლის საპარლამენტო არჩევნების შედეგები ლეიბორისტებმა დროულად გაასაჩივრეს ევროსასამართლოში. სტრასბურგში ლეიბორისტები 2003 წლის საპარლამენტო არჩევნების დროს დაშვებული კანონდარღვევების მსხვერპლად გამოაცხადეს და საქართველოს მთავრობას 11 943 ევროს გადახდაც დააკისრეს და მომავალში არჩევნების სამართლიანად და კანონების დაცვით ჩატარებაც ურჩიეს. ლეიბორისტების განცხადებით, ადვოკატების მომსახურების ხარჯების გასტუმრების შემდეგ ამ თანხიდან პარტიას მხოლოდ 43 ევრო შეხვდა და, რაც მთავარია, ლეიბორისტები თვლიან, რომ პარტია 2003 წლის შემდეგ ჩატარებული ყველა არჩევნების მსხვერპლია. მიუხედავად ამისა, ლეიბორისტული პარტია სტრასბურგში საქართველოს წინააღმდეგ შეტანილი საქმეების რაოდენობით ოპოზიციურ პოლიტიკურ პარტიათა შორის ნამდვილად ლიდერია. ევროპის სასამართლომ უკვე განხილვაში მიიღო ლეიბორისტების სარჩელი საერთო მრიცხველებსა და პარტიის წევრის არჩილ ბენიძის დაკავების შესახებ. არჩილ ბენიძე სასამართლოს გადაწყვეტილებით შვიდთვიანი პატიმრობის შემდეგ 2000-ლარიანი გირაოს სანაცვლოდ გაათავისუფლეს, თუმცა მისთვის ბრალდება არ მოუხსნიათ. ბრალდებული თავს უდანაშაულოდ მიიჩნევს, მას ევროსასამართლოში შედეგების ლოდინი თითქმის ხუთ წელიწადს მოუწევს. როგორც წესი, საქმეების განხილვა 4-5 წელიწადს, ხანდახან, მეტ ხანსაც გრძელდება.

„ვარდების რევოლუციის“ შემდგომ წლებში საქართველოს წინააღმდეგ შეტანილი პეტიციების ნაწილი ევროსასამართლოში ჯერ ისევ თავის რიგს ელოდება. სასამართლო რეფორმის წარმატებების აქტიურმა რეკლამირებამ ვერ გადაფარა ფაქტი, რომ 2008-2009 წლებში გაიზარდა იმ ადამიანების რიცხვი, ვინც საქართველოში მართლმსაჯულებით უკმაყოფილოა და ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს იმედად რჩება.

თუმცა ოთხი-ხუთი წლის შემდეგ ევროსასამართლოს რეკომენდაციები და სახელმწიფოსთვის დაკისრებული ფულადი ჯარიმები შესაძლებელია, სულაც ახალი ხელისუფლების გასათვალისწინებელი და გადასახდელი გახდეს. მაგრამ სახელმწიფო სტრუქტურების მხრიდან თითოეული ადამიანის უფლების დარღვევისთვის ფინანსური კომპენსაციის გადახდა ნებისმიერ მთავრობას ბიუჯეტიდან, ანუ ისევ ამ მოქალაქეების ჯიბიდან მოუწევს.

თვალსაზრისი

დისკომფორტის შიგნითა მხარეს

ახალი საკანონმდებლო ცვლილებებით ხელისუფლება შეკრებისა და მანიფესტაციების თავისუფლების ნაწილობრივ შეზღუდვას აპირებს >>

ვახუშტი მენაბდე **ომბუდსმენის აპარატი**

ფოტო: თეიმურაზ ბარამიძე/ვეფილი

ქუჩის აქცია, თბილისი 2009

„ქარის შიგნითა მხარეა ის,
რომელიც მშრალია მაშინაც კი,
როცა წვიმაში ქარი უბერავს“.

ერთ-ერთი იაფფასიანი წინასწარმეტყველი
მილორად პავიჩი / „ქარის შიგნითა მხარეს“

2009 წლის 26 ივნისს საქართველოს პარლამენტის ოთხმა წევრმა – პავლე კუბლაშვილმა, თეიმურაზ ზოდელავამ, ლაშა თორდიამ და კახაბერ ანჯაფარიძემ საქართველოს პარლამენტის წევრის უფლებამოსილება გამოიყენეს და საკანონმდებლო ინიციატივის სახით პარლამენტში ცვლილებათა პაკეტი შეიტანეს. კანონპროექტის თანახმად, ცვლილებები სამ კანონში შევა – „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“, „პოლიციის შესახებ“ და „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში“.

შემოთავაზებული ცვლილების მიხედვით, „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ საქართველოს კანონში ხალხის ან ტრანსპორტის მიერ სავალი ნაწილის გადაკეტვა იმ შემთხვევაში აიკრძალება, თუ ამის საჭიროებას მონაწილეთა რაოდენობა არ მოითხოვს. აიკრძალება სავალი ნაწილის გადაკეტვა ავტომანქანებით, სხვაგვარი კონსტუქციებით და საგნებით. ამ სიახლეს „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში“ კიდევ რამდენიმე ნოვაცია დაემატება, რომელთა მიხედვითაც, შეკრებებისა და მანიფესტაციების ორგანიზებისა და ჩატარების წესის დარღვევის შემთხვევაში, ჯარიმები 1000 ლარიდან 5000 ლარამდე დაწესდება. უფრო მკაცრია კანონი, თუ შეკრება ან მანიფესტაცია სასამართლოს შენობის ბლოკირებას იწვევს, ან მოსამართლის საცხოვრებელ ადგილას ან საქართველოს საერთო სასამართლოში ან მისგან ოცი მეტრის რადიუსში მიმდებარე ტერიტორიაზე ტარდება – ამგვარი ქმედება 90 დღემდე პატიმრობით ისჯება (ამჟამად ადმინისტრაციული პატიმრობის მაქსიმალური ვადაა 30 დღე). იგივე ბედი ელით იმ პირებს, რომლებიც მოახდენენ ზოგიერთი ადმინისტრაციული შენობის ბლოკირებას.

ამ ცვლილებების შესახებ ოპოზიციური პარტიების ლიდერები ერთმნიშვნელოვნად აცხადებენ, რომ ეს ტირანიისკენ გადადგმული ნაბიჯია და უკან, საბჭოეთში გვაბრუნებს. კამათობენ ხელისუფლების შიდა წრეებშიც. 3 ივლისს გამართულ საკომიტეტო მოსმენაზე პარლამენტარმა დავით დარჩიაშვილმა თავის გამოსვლაში აღნიშნა, რომ „აღნიშნული ცვლილებები, კერძოდ სატრანსპორტო საშუალებებით ქუჩის გადაკეტვის აკრძალვა, არ შეესაბამება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს სტანდარტებს. მოგვიანებით მან „ლიბერალს“ განუცხადა – „დაუშვებლად მიმაჩნია ქუჩების გადაკეტვა ხელოვნური კონსტრუქციებით. ეს სხვა არაფერია, თუ არა ბარიკადების აღმართვა. რაც შეეხება ავტომანქანებით ქუჩების გადაკეტვას, აქ საჭიროა დაზუსტდეს, რომ თავისთავად მანიფესტაცია შეიძლება მანქანებითაც მოეწყოს – რა თქმა უნდა, შეტყობინების სამართლებრივი ნორმების დაცვით. მაგრამ ვფიქრობ, ეს სხვა კანონპროექტში, კერძოდ „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში“ შესატან ცვლილებებსა და დამატებებში უნდა დაზუსტდეს. ევროპული სასამართლოსათვის, ისევე, როგორც ევროპული პრაქტიკისათვის, არსებითია თანაზომიერობის, პროპორციულობის პრინციპის დაცვა. შესაბამისად, ადგილობრივი თვითმმართველობის უფლებამოსილმა ორგანომ ჯერ უნდა მოითხოვოს მანიფესტანტთაგან დარღვევის დაუყოვნებლივი აღკვეთა, ანუ სავალი ნაწილის გათავისუფლება, თუ მისი გადაკეტვის საჭიროება ადამიანთა რაოდენობით არაა განპირობებული. მხოლოდ მას შემდეგ, რაც მანიფესტანტები უარს იტყვიან ამ მოთხოვნის შესრულებაზე, შეიძლება დადგეს მანიფესტაციის კანონიერ ფარგლებში შეყვანის საკითხი. წინააღმდეგობის გაწევის შემთხვევაში კი, იყოს ისე, როგორც ეს კანონპროექტშია მოცემული, ანუ აიკრძალოს მანიფესტაცია“.

ადამიანის უფლებათა სასამართლოს პრეცედენტული სამართალი აჩვენებს, რომ საქართველოს მსგავსი პრობლემები ევროპის სხვა ქვეყნებისთვისაც არ არის უცხო.

„ბევრი ქვეყნის კანონმდებლობაში ადამიანთა უფლება დემონსტრაციებისა და შეკრების თავისუფლებაზე ხშირად აწყდება წინააღმდეგობას“, – ამბობს ადამიანის უფლებათა დამცველი, ემილ ადელხანოვი. ამ დროს სახელმწიფოები, რომლებსაც ხელი აქვთ მოწერილი ადამიანის უფლებათა დეკლარაციაზე, სადაც ნათქვამია, რომ ამ დეკლარაციით გარანტირებული უფლებები შეიძლება შეიზღუდოს საზო-

გადოების უსაფრთხოებისთვის, ცდილობენ ამ დათქმით ისარგებლონ. მიაქციეთ ყურადღება – იქ არაფერია ნათქვამი იმაზე, რომ შეზღუდვა შეიძლება დაწესდეს მოქალაქეთა კომფორტისთვისაც. ყოველთვის, როცა რაღაც უფლებას ვიცავთ, ის შეიძლება კონფლიქტში შევიდეს სხვა უფლებასთან. ჩნდება კითხვა, რა უფრო მნიშვნელოვანია, შეკრებების და მანიფესტაციების თავისუფლება თუ იმ ადამიანთა უფლება, ვისაც რუსთაველზე თავისუფლად გადაადგილება უნდა. მნიშვნელოვანია, ვნახოთ, როგორია სტრასბურგის სასამართლოს პრაქტიკა ამგვარ საქმეებთან მიმართებაში. ეს სასამართლო იმიტომ არსებობს, რომ მოქალაქეები ნაციონალური კანონმდებლობისგან დაიცვას, თუ ის ადამიანის უფლებათა დეკლარაციას არ შეესაბამება".

ევროპული სასამართლოს გამოცდილებას თუ გადავხედავთ, ვნახავთ, რომ მსგავს საქმეებში სასამართლოს გადაწყვეტილებები დემონსტრანტების სასარგებლოდ გამოაქვს. მაგალითად, 2000 წლის 22 აპრილს თურქეთის „ადამიანის უფლებათა დაცვის ასოციაციის" ადმინისტრაციული საბჭოს წევრმა ოია ატამანმა 40-დან 50-მდე ადამიანთან ერთად შუადღისას ქალაქ სტამბოლში სულთან ახმედის სახელობის მოედანზე მოძრაობა გადაკეტა. აქცია ტრანსპორტის და მოქალაქეთა გადაადგილებას აფერხებდა, ამიტომ პოლიციამ აქციის მონაწილეებს დაშლა ხმის გამაძლიერებლით მოსთხოვა. მუნიციპალიტეტი წინასწარ აქციის შესახებ არ გაუფრთხილებიათ, შესაბამისად, მსვლელობა უკანონო იყო. დემონსტრანტები პოლიციის მოთხოვნას არ დაემორჩილნენ. სამართალდამცავებმა აქციის ერთ-ერთი მონაწილე ოია ატამანი დააკავეს. ოია ატამანმა განაცხადი შეიტანა ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში. სასამართლომ გაკვირვება გამოხატა მთავრობის მოუთმენლობასთან დაკავშირებით. მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა პირთა ჯგუფის მიერ საზოგადოებრივი წესრიგისათვის საფრთხის შექმნის ფაქტს, გარდა იმისა, რომ ტრანსპორტის მოძრაობა შეფერხდა, არ არსებობდა. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განაცხადა, რომ: „გარკვეული სახის დემონსტრაციას შეუძლია გამოიწვიოს საზოგადოებრივი ცხოვრების ჩვეული რიტმიდან ამოვარდნა, მათ შორის – ტრანსპორტის მოძრაობის შეფერხება. მაშინ, როდესაც დემონსტრანტები არ ჩადიან ძალადობრივ აქტებს, უბრალოდ აფერხებენ ტრანსპორტის მოძრაობას, მნიშვნელოვანია, ხელისუფლებამ გამოავლინოს შემწყნარებლობა ამგვარი მშვიდობიანი შეკრების მიმართ, ვინაიდან აღნიშნული უფლება დაცულია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-11 მუხლით და არ შეიძლება ამ უფლებას მთლიანად დაეკარგოს ღირებულება" (Oya Ataman VS Turkey). სასამართლომ თურქეთის სახელმწიფოს ათას ას ოთხმოცდაათი ევრო დააკისრა მატერიალური ზიანის ასანაზღაურებლად, და ოცი ათასი ევრო – მორალური ზიანისათვის.

ასეთივე დადგენილება გამოიტანა ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლომ სერგეი კუზნეცოვის საქმეშიც, რომელსაც რუსეთის სამართალდამცავებმა ადმინისტრაციული პასუხისგება დააკისრეს ქალაქ ეკატერინბურგში რეგიონული სასამართლოს პიკეტირებისა და საგზაო მოძრაობის გადაკეტვის გამო. „დემონსტრაცია საზოგადოებრივ ადგილას ჩვეულებრივი ცხოვრებიდან ამოვარდნას იწვევს, მათ შორის – მოძრაობის შეფერხებასაც. ძალიან მნიშვნელოვანია, ამ დროს საჯარო ხელისუფლებამ შეიწყნაროს მშვიდობიანი შეკრება", – ნათქვამია სასამართლოს გადაწყვეტილებაში (Sergey Kuznecov VS Russia).

მთელი ამ დროის განმავლობაში, რაც თბილისში აქციები ტარდება, ხელისუფლების წარმომადგენლები მუდმივად აცხადებდნენ, რომ არსებული სიტუაცია ქალაქის ჯანსაღ სამოქალაქო ცხოვრებაზე ნეგატიურ გავლენას ახდენდა, თუმცა იმასაც ამბობდნენ, რომ ეს იყო ხარკი, რომელსაც ადამიანის უფლებებს ვუხდიდით. საბოლოოდ პირველმა არგუმენტმა მეორეს აჯობა. საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტის განმარტებით ბარათში ნათქვამია, რომ „კანონის მიზანი ქვეყანაში დემოკრატიული პროცესების პარალელურად კანონის უზენაესობის პრინციპის განმტკიცება, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა, საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფა და ამ გზით მოქალაქეთა საყოველთაო უფლებების განხორციელების საკანონმდებლო გარანტიების სრულყოფაა". ამ ჩანაწერიდან რამდენიმე საინტერესო ამბავს ვიგებთ, მაგალითად იმას, რომ კანონის უზენაესობა დემოკრატიული პროცესების ნაწილი არ არის და ცალკე განვითარება სჭირდება. შეკრება-მანიფესტაციის უფლების შეზღუდვა კი, თურმე შესაძლებელია საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით, მაშინ, როდესაც კონსტიტუციის იმ მუხლებში, რომელიც აღნიშნულ უფლებას განამტკიცებს, ამაზე არაფერია ნათქვამი – კონსტიტუციის ტექსტი პირთა ჯგუფს აძლევს უფლებას, გადაკეტოს გზის სავალი ნაწილი, ხოლო მონაწილეთა რაოდენობას არ ზღუდავს.

ცვლილებათა შემოთავაზებული პაკეტი ადამიანის უფლებების კუთხით ნამდვილად უკან გადადგმული ნაბიჯია, ამას სტრასბურგის პრაქტიკაც ადასტურებს. სამწუხაროა, რომ საქართველოს ხელისუფლების ოფიციალური პოზიცია დისკომფორტის აღმოფხვრისკენ გადაიხარა.

იუნესკოს დასკვნა

იუნესკოს სიგნალი საქართველოს

მცხეთას იუნესკო–მ საფრთხის წინაშე მდგომი ძეგლების ნუსხაში მესამე ადგილი მიუჩინა >>

ნათია ახალაშვილი

მცხეთა არც ომის ეპიცენტრში მოხვედრილა და არც სტიქიური უბედურება დასტყდომია თავს, თუმცა, იუნესკო–ს განსაკუთრებული საფრთხის წინაშე მყოფი ძეგლების ნუსხაში მესამე ადგილზე მოხვდა.

ამ ნუსხაში ძეგლები შეიარაღებული კონფლიქტის, ომის, მიწისძვრისა და სხვა სტიქიების, ასევე გაუკონტროლებელი ურბანიზაციის გამო შეაქვთ ხოლმე. ძეგლის ამ სიაში შეტანა ნიშნავს იმას, რომ მისი გადარჩენა განსაკუთრებულ საერთაშორისო ჩარევასა და სასწრაფო დახმარებას საჭიროებს. საფრთხის წინაშე მყოფი ძეგლების ნუსხაში მცხეთის შეტანის მიზეზად იუნესკო ინტეგრირებული მართვის გეგმის შეუმუშავებლობას ასახელებს; ასევე ყურადსაღებად მიიჩნევს ტაძრების მიმდებარე ტერიტორიის მენეჯმენტის საკითხსა და ძეგლების პირვანდელი სახის დაკარგვასაც – მიზეზი, რის გამოც მცხეთა – ქალაქი-მუზეუმი ღია ცის ქვეშ – იუნესკო-ს მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში 1994 წელს მოხვდა.

1996 წლიდან დღემდე იუნესკო-ს მსოფლიო მემკვიდრეობის ფონდმა თანხები მცხეთაში სხვადასხვა პროგრამის დასაფინანსებლად 4-ჯერ გამოყო. ბოლოს, 2001 წელს იუნესკო-ს დაფინანსება 35 ათასი დოლარი იყო. თუმცა ფაქტია, რომ მცხეთას ამ დახმარებიდან ბევრი სიკეთე არ უნახავს.

„ამ თანხებზე ვერაფერს გეტყვით, ამ დროს ძეგლთა დაცვის სახელმწიფო სამსახურები იმდენად სუსტი იყო, რომ ამგვარ გრანტებს დონორები არასახელმწიფო სექტორზე გასცემდნენ. რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, მოზიდული თანხებით ბაგინეთის არქეოლოგიურ კომპლექსზე მიმდინარე სამუშაოები დაფინანსდა“, – აცხადებს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ხელმძღვანელი ნიკა ვაჩეიშვილი.

მისი თქმით, მცხეთაში გარკვეული საკონსერვაციო და სარეაბილიტაციო სამუშაოები ბოლო წლებში ჩატარდა: 2005 წელს დაიწყო ჯვრის მონასტრის ქვის კვლევა, 2006 წელს დადგინდა მცხეთის დამცავი ზონები, 2007 წელს კი მცხეთის ინვენტარიზაცია განხორციელდა.

კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის ნიკა რურუას თქმით კი, ამ დრომდე არ არის დადგენილი, სად იწყება და სად მთავრდება მცხეთა, როგორც დაცული ძეგლი. „თითოეულ ძეგლს, რომელიც მცხეთაშია, აქვს თავისი ბუფერული ზონა, სადაც არაფრის აშენება არ შეიძლება. შესაძლოა, მთლიანად ეს სისტემაა შესაცვლელი და მთლიანად ქალაქი მცხეთა იყოს დაცულ ტერიტორიად გამოსაცხადებელი“, – აღნიშნავს ის.

მინისტრის თქმით, „ადგილობრივი სამღვდელოების ზოგიერთი წარმომადგენლის ენთუზიაზმითა და თვითშემოქმედებით“ ძეგლებს მინაშენები გაუკეთეს, რაც მომავალში მაქსიმალურად აღიკვეთება. „ამ პროცესში საპატრიარქოს ჩავრთავთ და შევეცდებით, რომ ასეთი თვითნებური დამატებები აღარ წარმოიქმნას. რაც უკვე გაკეთებულია, შევეცდებით მის დემონტაჟსაც“, – აცხადებს ის.

აღსანიშნავია, რომ საფრთხის წინაშე მყოფი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი – 2000 წელს მომხდარი მიწისძვრის დროს დაზიანებული ბაქოს „იჩერი შეხერი“ („ძველი ქალაქი“) წელს სიიდან იუნესკო-მ სწორედ პრობლემის ეფექტური გადაჭრის გამო მოხსნა: აზერბაიჯანულმა მხარემ იუნესკო-ს რეკომენდაციები გაითვალისწინა, რომელთა მიხედვითაც, ძეგლზე უარყოფითად მოქმედებდა ქალაქის მოუწესრიგებელი ზრდა, აგრეთვე ძეგლის საეჭვო ხასიათის რესტავრაცია და სარეაბილიტაციო სამუშაოები ისე ჩაატარა.

მცხეთის გადარჩენა კი იუნესკო-ს მხოლოდ მართვის ერთიანი გეგმის შემუშავებით წარმოუდგენია. „ექსპერტიზის მიერ მომზადებული მასალების საფუძველზე, მივედით იმ დასკვნამდე, რომ მცხეთას სერიოზული პრობლემები აქვს. მონასტერიც და საკათედრო ტაძარიც ძალიან დაზიანებულია. გვაღელვებს ასევე ფრესკების, ქვის ნამუშევრების მდგომარეობა და ფასადების ეროზია. გვინდა, დავეხმაროთ საქართველოს მთავრობას შეინარჩუნოს მსოფლიო მემკვიდრეობის დაცვის ფონდში შესული ძეგლი. ამ მიზნით არაერთხელ მივმართეთ საქართველოს, რომ გადმოეცა ინტეგრირებული მართვის გეგმა. მთავრობას მის მომზადებაში დავეხმარებით. ჩვენ არა მარტო მოხსენებას მოვამზადებთ, არამედ ჩამოვალთ და ადგილზე შევისწავლით ძეგლების მდგომარეობას. ველოდებით საქართველოს მთავრობის მოწვევას“, – აცხადებს იუნესკო-ს კულტურული მემკვიდრეობის ცენტრის უფროსი მეტჩილდა როსლერი.

ნიკა რურუა ამ დასკვნას გასათვალისწინებელ სიგნალს უწოდებს – „მათ რეკომენდაციებს მხოლოდ და მხოლოდ ყურადღებად და მეგობრულ-პროფესიულ დახმარებად აღვიქვამ“.

გეგმაზე მუშაობა უკვე დაიწყო. ამ ეტაპზე სამინისტროსა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს წარმომადგენლები სპეციალისტების სხვადასხვა ჯგუფს ხვდებიან და იუნესკო-ს რეკომენდაციებს განიხილავენ. მომავალში შეიქმნება სახელმწიფო კომისია, რომელშიც, ამ ორი უწყების გარდა, ქართველი და უცხოელი ექსპერტები, ეკონომიკური განვითარებისა და საგარეო საქმეთა სამინისტროების, ტურიზმის დეპარტამენტისა და მცხეთის ადგილობრივი მმართველობის წარმომადგენლებიც ჩაერთვებიან.

ხელოვნებათმცოდნე ციცინო ჩაჩხუნაშვილს მიაჩნია, რომ განსაკუთრებული საფრთხის წინაშეა ჯვრის მონასტერი, რადგან ძეგლი ისეთ ადგილასაა, სადაც მუდმივად უბერავს ქარი, რის გამოც ქვა იფიტება. „ჯერ კიდევ 30 წლის წინ ამბობდნენ სპეციალისტები, – ჯვრის მონასტერში რელიეფები მოსახსნელია და მათ ნაცვლად ასლები უნდა ჩაიდგასო. ბოლო წლებში იუნესკო-ც სულ გვწერს, რომ რელიეფები მოსახსნელია. მაგრამ ამას გარკვეული პრობლემები ახლავს – სად წავიღოთ, როგორ ვუმკურნალოთ“, – აცხადებს ის. საქართველოში არ არსებობს ისეთი ლაბორატორია, რომელშიც დაზიანებული რელიეფების მკურნალობა იქნება შესაძლებელი.

ძეგლების მდგომარეობას აუარესებს ვანდალური წარწერებიც, რომელთა რაოდენობამაც ბოლო დროს განსაკუთრებულად იმატა.

სააგენტოში უახლოეს მომავალში სამთავროს არქეოლოგიური ველის კონსერვაცია იგეგმება. „სამუშაოები მიმდინარეობს და საზოგადოება ამ უნიკალურ ძეგლს რეაბილიტირებულს უახლოეს მომავალში იხილავს“, – აცხადებს სააგენტოს ხელმძღვანელი.

გააქტიურებულ სარეაბილიტაციო სამუშაოებს მცხეთაში ჩასვლისთანავე შენიშნავთ. მალე მუზეუმ-ქალაქში ყველა სახლის სახურავი წითელი კრამიტით გადაიხურება, იცვლება სვეტიცხოვლის მიმდებარე სახლების ფასადები და ღობეები. ძეგლთა დაცვის სააგენტოში მიიჩნევენ, რომ სამუშაოები, რომლებიც ამჟამად მცხეთაში ტარდება, ქალაქის მხატვრულ-არქიტექტურულ სახეს გაუმჯობესებს. ამ ეტაპზე კულტურის სამინისტრო ერთიან სამოქმედო გეგმას მდგომარეობიდან საუკეთესო გამოსავლად მიიჩნევს.

„პრობლემა არის და მთლიანობაში ბევრი დეტალისგან შედგება. ვსწავლობთ სიტუაციას, ვსწავლობთ კანონიერ საფუძველს, რომელიც შეიძლება კარგია და შეიძლება – არა. შესაძლოა, საკანონმდებლო ბაზაც შეიცვალოს. საჭიროა ადგილზე მოქმედებაც და ეს ერთობლიობა, იმედი მაქვს, რეზულტატს მოგვცემს“, – აცხადებს ნიკა რურუა.

საფრთხის წინაშე მდგომი ძეგლების მონიტორინგს იუნესკო ჩაატარებს, გამოყოფს დახმარებებსაც. თუმცა, როგორც ხელოვნებათმცოდნე ციცინო ჩაჩხუნაშვილი ამბობს, ძეგლზე პასუხისმგებლობა საბოლოო ჯამში იმ ქვეყანას ეკისრება, რომელშიც ის მდებარეობს. დღეს კი მცხეთის საეკლესიო ნაგებობები, მისი თქმით, საპატრიარქოს მფლობელობაშია. ამიტომ მათზე კანონის წინაშე თანაბრად პასუხისმგებელია სახელმწიფოც, ძეგლთა დაცვის სააგენტოს სახით, და საპატრიარქოც.

იუნესკო-ს ისტორიაში არსებობს მსგავსი პასუხისმგებლობის გააზრებისა და იგნორირების ფაქტებიც. მაგალითად, წელს საფრთხის წინაშე მდგომი ძეგლების ნუსხიდან დრეზდენის ელბას ხეობა იუნესკო-მ იმიტომ ამოიღო სიიდან, რომ ქალაქის მთავრობამ არ გაითვალისწინა მათი რეკომენდაციები, სასამართლო დავების შემდეგ არჩევანი, კულტურის ძეგლსა და ეკონომიკურ გათვლებს შორის, ინფრასტრუქტურის განვითარების სასარგებლოდ გააკეთა და ხეობის შუაგულში ოთხხაზიანი ხიდის მშენებლობა დაიწყო. მსგავსი მასშტაბის პრობლემა მცხეთას არ ემუქრება. თუმცა, გაამართლებს თუ არა ის საბოლოოდ მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის სტატუსს, ქართული მხარის ძალისხმევაზეა დამოკიდებული.

„ექსპერტიზის მიერ მომზადებული მასალების საფუძველზე, მივედით იმ დასკვნამდე, რომ მცხეთას სერიოზული პრობლემები აქვს. მონასტერიც და საკათედრო ტაძარიც ძალიან დაზიანებულია. გვაღელვებს ასევე ფრესკების, ქვის ნამუშევრების მდგომარეობა და ფასადების ეროზია“.

თვალსაზრისი

ჩიორეგის კანონპროექტი

ინგლისური ენის პოპულარიზაცია, მშობლიური ენის ხარჯზე, კულტურის სამინისტროს აბსურდული ინიციატივაა >>

გიორგი ლოგჟანიძე **პოეტი, მთარგმნელი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი**

9 ივნისის „კურიერის“ საღამოს გამოშვებიდან ერთი, რბილად რომ ვთქვათ, უცნაური ამბავი შევიტყვე: პარლამენტს, კულტურის სამინისტროს ინიციატივით, დაუწყია კანონპროექტის განხილვა, რომლის თანახმადაც, საქართველოს კინოთეატრებსა და ქვეყნის ტელევიზიით ნაჩვენები უცხოური ფილმების ქართულად გახმოვანება იკრძალება და ისინი მხოლოდ ორიგინალის ენაზე უნდა უჩვენონ, ქართული სუბტიტრებით.

ასე ხდება ყველა ცივილიზებულ ქვეყანაში და საქართველო რატომ უნდა იყოს გამონაკლისიო! – ამტკიცებდა მინისტრი და იქვე დასძენდა: რა თქმა უნდა, ჩვენი ეს ინიციატივა ხელს შეუწყობს მსოფლიოში დომინანტი ენის – ინგლისურის ადაპტაციას და ქართულ გარემოში გავრცელებასო.

კანონპროექტის აბსურდულობას რომ თავი დავანებოთ, ის უტიფრობა, რითაც ეს ინიციატივა საზოგადოებას მიაწოდეს, ნებისმიერ თავმოყვარე (ანუ ცივილიზებულ) ქვეყანაში სამართლიან გულისწყრომას დაიმსახურებდა და ინიციატორებს ხალხის წინაშე, სულ მცირე, სერიოზული თავის მართლება მაინც მოუწევდათ.

საერთოდ, ტელევიზიიდან და ელექტრონული მედიიდან რა ქართულიც გვესმის, იმის გამგონეს, ხშირად მიფიქრია, ამ ხალხს მშობლიურ ენაზე მეტყველებას ავუკრძალავდი-მეთქი, მაგრამ როცა პარლამენტში განსახილველად შედის კანონპროექტი, რომლის შედეგადაც ქართული ენა გაქრება ისეთი მნიშვნელოვანი სეგმენტიდან, როგორიც სატელევიზიო კინოსივრცეა, ამ დროს უკვე იუმორის (თუნდაც შავი იუმორის) ადგილიც კი აღარსად რჩება.

9 ივლისის სატელევიზიო სიუჟეტში ისე შესანიშნავად ჩანდა ამ იდეის ნამდვილი ინიციატორი, რომ ჩიორა თაქთაქიშვილი უცებ რომელიმე მისის ატკინსი ან მისის დელოვეი მეგონა! თვითონ სიუჟეტში კომენტარი ამ გოგონას არ გაუკეთებია, მაგრამ კომიტეტის სხდომის რეპორტაჟიდან ჩანდა, როგორი დაბეჯითებით ირჯებოდა ახალი კანონპროექტის სასარგებლოდ, როგორ გვიმტკიცებდა იმას, თუ რამდენად მნიშვნელოვანი იქნებოდა ეს კანონპროექტი საქართველოში ინგლისური ენის სწავლებისთვის.

ნეტავ, ერთხელ მაინც თუ ყოფილა ეს ხალხი ქართულ სოფელში, სადაც შრომისაგან დაჩაჩანაკებულ ადამიანებს საღამოს ტელევიზორის ყურების არაქათიც კი აღარ აქვთ და ვინმე კიდევაც რომ მიუჯდეს ეკრანს, არა მგონია, ორიგინალის ენაზე უთარგმნელად (გაუხმოვნებლად) დატოვებული ფილმები გაიგოს.

სუბტიტრებს რაც შეეხება, ნუ დაგავიწყდებათ, რომ ამ ინიციატივის გატარებას ისეთ ქვეყანაში აპირებთ, სადაც კი-

თხვის დონე შემაშფოთებლად დაბალია და მოსახლეობის დიდი ნაწილი წიგნს აღარ კითხულობს. ალბათ უკეთესი იქნებოდა, კითხვის დონის სუბტიტრებით ამაღლების ნაცვლად, კულტურის სამინისტროს ქვეყნის რეგიონებსა და სოფლებში ბიბლიოთეკების ქსელის რეაბილიტაცია-განვითარების საკითხებზე ემუშავა.

კომუნისტებს სულაც არ მივტირი, მაგრამ ფაქტია, რომ იმ ავადსახსენებელ დროს თითქმის ყველა სოფელში ბიბლიოთეკაც გამართულად მუშაობდა და კლუბიც, სადაც, სხვათა შორის, ქართულად გახმოვანებულ კი არა და, დუბლირებულ ფილმებს უჩვენებდნენ.

„კურიერის“ სიუჟეტში კი საგულისხმო იყო ის, რომ ინიციატივის ლამის ერთადერთ მოწინააღმდეგეებად მხოლოდ გახმოვანებაზე მომუშავე მსახიობები მოგვევლინენ. ბატონმა ვალერი კორშიამ ძალზე მორიდებით აღნიშნა: ეს ხმ ჩვენ უსამსახუროდ დატოვებასაც ნიშნავსო!

მიუხედავად იმისა, რომ პროტესტის მოტივაცია, ერთი შეხედვით, მერკანტილურად გამოიყურება, ნუ გვეგონება, რომ თუნდაც ამ ადამიანების უსამსახუროდ დატოვება და უკვე არსებული სამუშაო ადგილების მოსპობა ჩვენისთანა ღატაკ ქვეყანაში იოლი საქმე იყოს. ამით, პრაქტიკულად, ქვეყნის კულტურის სამინისტრო უარს ამბობს ხალხზე, რომელთაც, სხვათა შორის, თავისა და ნამდვილი შემოქმედების წინაშე გარკვეული კომპრომისის ფასად, ასე თუ ისე, არსებობის სახსარი იშოვეს. ახლა კი ვიღაცის ახირების გამო, იძულებულნი იქნებიან, უკვე შეჩვეულ სფეროს სინანულით გამოემშვიდობონ, საქმეს, სადაც წლების მანძილზე დიდი გამოცდილების დაგროვება მოახერხეს.

მაგრამ მთავარი მაინც სულ სხვა რამაა – მშობლიურ ენასთან დამოკიდებულების საკითხი, რომელზეც ყველა ჩიორა ვალდებულია, სულ სხვაგვარ ტონალობაში ჭიკჭიკებდეს!

შემეძლო, ჩემი ნათქვამისა და ქართული ენის სიმდიდრის საილუსტრაციოდ ქართველი თუ უცხოელი მოაზროვნეების უამრავი გამონათქვამი მომეყვანა, მაგრამ ახლა ამას არ გავაკეთებ იმიტომ, რომ მოწინააღმდეგეები რიტორიკაში ჩამითვლიან და საქმიან რეპლიკას ისეთ ნაციონალისტურ დემაგოგიაში ჩამომართმევენ, რაც მე თვითონ მთელი არსებით მეზიზღება!

თუმცა, ერთი რამ შემიძლია სრული კატეგორიულობით ვთქვა, როგორც უცხო ენების გამოცდილმა და უკვე საკმაოდ სტაჟიანმა პედაგოგმა: უცხო ენას მხოლოდ ის სტუდენტები სწავლობენ ღრმად და საფუძვლიანად, რომელთაც მშობლიური ენის ფაქიზი ნიუანსები იციან და მშობლიურ ენაზე მწყობრი აზროვნება შეუძლიათ.

თქვენი კანონპროექტი კი ხელს, უცხო ენის გავრცელებასა და სწავლებას კი არა, აზროვნების პროცესის დაქსაქსვასა და დაჩლუნგებას შეუწყობს, ახალი ტიპის საშიში ნევროზების ჩამოყალიბებას, ფსიქიკური აშლილობების იმ ფორმებს, რაც არასრულფასოვნებისა და საკუთარი თავის უარყოფის კომპლექსებით იკვებება!

ქვეყნის ევროპიზაცია მოსახლეობის მიერ დამტვრეულ ინგლისურზე ლაპარაკს სულაც არ გულისხმობს. თქვენს ადგილას, დასავლური იდეალების ქართულ გარემოში ადაპტირებისათვის იმ ნაშრომთა ქართულ თარგმანს წავახალისებდი, რომლებმაც დღევანდელი ევროპა და ამერიკა შექმნეს, რათა ხალხს მშობლიურ ენაზე ღრმად გაეაზრებინა მთელი ის ინტელექტუალური რესურსი, რისი გამოყენებითაც დღევანდელი მსოფლიოს მოწინავე ქვეყნებმა ასეთ წარმატებას მიაღწიეს.

ეგებ იდეალისტურად გამოიყურებოდეს ის, რასაც ახლა ვიტყვი, მაგრამ თქვენი ამ კანონპროექტის საპირწონედ, მე სულ სხვა იდეას გთავაზობთ: დავაარსოთ „თარგმანის ეროვნული ცენტრი“, რომელიც ნაწილობრივ სახელმწიფო დოტაციის, ნაწილობრივ კი უცხოური გრანტების მეშვეობით წარმართავს ლიტერატურული თარგმანის – ქართული აზროვნების განვითარებისათვის უაღრესად საჭირო და აუცილებელ – პროცესს; კოორდინაციას გაუწევს უცხოური ლიტერატურისა და საეტაპო სამეცნიერო ნაშრომების ქართულად გადმოღებას.

გარდა ამისა, თარგმანის ამ ეროვნული ცენტრის დაქვემდებარებაში შევიდეს კინოსატელევიზიო განყოფილებაც, რომელიც უცხოური ფილმების თარგმანზე კი არა, მათ პროფესიულ დუბლირებაზე იზრუნებს.

საქმე ეს მგონია, თორემ ქვეყანაში, სადაც მწერლები, მსახიობები, მთარგმნელები ლამის შიმშილით გვეხოცება, ხალხის ნეგატიურ მეხსიერებას 9 ივლისის სატელევიზიო სიუჟეტში განხილულის მსგავსი ინიციატივები „ჩიორათა კანონპროექტის“ სახელით შემორჩება!

ჯანმრთელობა და ფინანსური კრიზისი

დიდი დეპრესია

მიუხედავად იმისა, რომ მოსახლეობის ფსიქიკური მდგომარეობის სრულფასოვანი კვლევა არც ერთ სამთავრობო და არასამთავრობო უწყებას არ ჩაუტარებია, კავშირი ფსიქიკურ ჯანმრთელობასა და ფინანსურ კრიზისს შორის ხილული ხდება >>

თიკო ცომაია

ჯერ კიდევ შარშან ოქტომბერში მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციამ წევრი ქვეყნების სახელმწიფოები გააფრთხილა, რომ ფინანსური კრიზისის ფონზე, საზოგადოებაში აუცილებლად გაიზრდებოდა ფსიქიკური აშლილობისა და თვითმკვლელობის შემთხვევები. ამიტომ ორგანიზაციის დირექტორმა მარგარეტ ჩენმა წევრ ქვეყნებს საგანგებო რეკომენდაცია მისცა: „მთავრობებმა მენტალური ჯანმრთელობა ჯანდაცვის სისტემის უმნიშვნელოვანეს ნაწილად უნდა აქციონ“.

საქართველოში საბანკო კრედიტებსა და ფსიქიკურ აშლილობას შორის კავშირის დადგენა მხოლოდ ერთმა, ერთი თვის წინ დაარსებულმა ორგანიზაციამ სცადა. „სამედიცინო სოციალური ცენტრის“ კვლევის თანახმად, საქართველოში, სადაც ყოველ მეორეს ბანკიდან კრედიტი აქვს აღებული, კრედიტორთა აბსოლუტური უმრავლესობისა და მათი ოჯახის წევრების ფსიქო-ემოციური მდგომარეობა არასტაბილურია. უპერსპექტივობისა და უმწეობის განცდა, სუიციდური აზრების გაჩენა, ახალი დაავადებების გამოვლენა, გახშირებული კონფლიქტები და ოჯახების ნგრევა – ის პრობლემებია, რომელთა შემთხვევებმაც,

კვლევის მიხედვით, იმატა.

ცენტრის დამფუძნებელი მარიამ ჩიკვილაძე განმარტავს, რომ მწირი დაფინანსების გამო, კვლევაზე სოციოლოგი სტუდენტები დაიხმარეს. რესპონდენტების წინასწარი შერჩევის გარეშე შეიმუშავეს კითხვარები და თბილისში 2530 სატელეფონო გამოკითხვა ჩაატარეს. „ჩემ გარშემო ყველა ამაზე ლაპარაკობს, – აღნიშნავს მარიამი, – ისინი კი, ვისაც პრობლემასთან გამკლავება ევალება, დუმან“.

სამთავრობო უწყებებმა კვლევას ყურადღება არ მიაქციეს. ერთ-ერთი მიზეზი ისიცაა, რომ, ექსპერტების შეფასებით, კვლევის დიზაინი არ იძლევა განზოგადების საშუალებას. კვლევის მეთოდოლოგია ზედმიწევნით დახვეწილი უნდა იყოს იმისთვის, რომ ფინანსურ კრიზისსა და კრედიტორთა მძიმე ფსიქო-ემოციურ მდგომარეობას შორის პირდაპირი კავშირის დადგენა შევძლოთ. როგორც საზოგადოებრივი ჯანდაცვის ექსპერტი მამუკა ჯიბუტი ამბობს, ფსიქიკური პრობლემების ხარისხიანი შეფასება მხოლოდ აპრობირებული უნივერსალური კითხვარებისა და სქემების მიხედვით შეიძლება. ეს მეთოდოლოგია კვლევის ავტორებს არ გამოუყენებიათ.

ამის გამო კი, გამორიცხული არ არის, კვლევაში დაფიქსირებული ფსიქიკური პრობლემები უმუშევრობასთან, ომთან და არასტაბილურ გარემოსთანაც იყოს დაკავშირებული და არა მხოლოდ ბანკიდან გამოტანილ კრედიტთან.

მოსახლეობის ფსიქიკური მდგომარეობა სხვადასხვა ინდიკატორზე დაკვირვებით ფასდება; იზრდება ავტოავარიების რიცხვი, ადამიანები ჭარბ ალკოჰოლს მოიხმარენ. მატულობს სუიციდის რაოდენობაც.

კონკრეტულად საკრედიტო პრობლემებთან მიმართებაში ამ ინდიკატორთა გაანალიზება არც ჯანდაცვის სამინისტროს და არც სხვა უწყებებს უცდიათ, მიუხედავად იმისა, რომ „თიბისი ბანკის“ მონაცემებით, პრობლემური სესხების რაოდენობა წელს 3-ჯერ გაიზარდა. შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემებით კი დასტურდება, რომ 2007 წლიდან დღემდე თვითმკვლელობების რიცხვმა ქვეყანაში 1.5 ჯერ მოიმატა. იგივე დინამიკა შეინიშნება თვითმკვლელობის მცდელობის რაოდენობის მხრივაც: 2007 წელს დაფიქსირებული 1900-მდე შემთხვევიდან 2009 წლის მონაცემები 2731-მდე გაიზარდა. თუ 2007 წელს 5000 ავარია მოხდა, დღევანდელი მონაცემებით, შემთხვევების რაოდენობა 8000-ს აღემატება. შეინიშნება ალკოჰოლით თრობის ფაქტების რიცხვის ზრდაც.

თუმცა, იმის გამო, რომ ფსიქიკურ პრობლემებს თან ახლავს სტიგმა, ამ სფეროში ზუსტი სტატისტიკის დადგენა შეუძლებელია. მენტალური პრობლემების მქონე ადამიანები ყოველთვის არ მიმართავენ სპეციალურ დაწესებულებებს, მიუხედავად იმისა, რომ ფსიქიატრიულ მომსახურებას ჩვენთან სახელმწიფო აფინანსებს. ჩვენთან არც ფსიქოლოგიური მომსახურებაა განვითარებული და, რაც მთავარია, ფასის გამო, დაბალი სოციალური მდგომარეობის ადამიანებისთვის არც ხელმისაწვდომია.

ფსიქოლოგიური დახმარება მხოლოდ ერთ-ერთი რგოლია ადამიანის კრიზისიდან გამოსაყვანად, პრობლემის მოსაგვარებლად საჭიროა სახელმწიფოს მხრიდან კომპლექსური მიდგომა. მაგალითად, ისეთი, როგორიც ფინანსური კრიზისის დროს დიდ ბრიტანეთს ჰქონდა. იქ კრიზისთან გამკლავებისთვის საჭირო ღონისძიებების მთელი კომპლექსი სახელმწიფოს მიერ ჩატარებული საფუძვლიანი კვლევის შედეგად განსაზღვრეს. კვლევაზე მომუშავე ოთხასმა ექსპერტმა, რეკომენდაციები განათლების, ბიზნესის, მინისტრების, დამსაქმებლების, ბანკირების, ინდივიდებისათვის შეიმუშავა. ამ ნაშრომის მიხედვით, ერთ-ერთი საჭირბოროტო საკითხი ფსიქიკურ აშლილობასა და სესხს შორის არსებული პირდაპირი კავშირი იყო.

კვლევის ავტორი, პროფესორი რაჩელ ჯენკინსი ამბობს, რომ სესხს საზოგადოებრივ ჯანდაცაზე დიდი ზეგავლენა აქვს. სესხის მქონე ადამიანების ნახევარს აწუხებს მენტალური პრობლემები. მათ, დანარჩენ მოსახლეობასთან შედარებით, სამჯერ მეტად გამოეხატებათ დეპრესია და ფსიქოზი, ორმაგი საფრთხე არსებობს ალკოჰოლზე დამოკიდებულების განვითარების, 4-ჯერ მეტი რისკი კი – წამალდამოკიდებულების ჩამოსაყალიბებლად. მისი თქმით, აუცილებელია კრედიტორების დახმარება სესხისგან თავის დაღწევაში, ასევე მნიშვნელოვანია საბანკო ინსტიტუტებისათვის მხარდაჭერის გამოცხადება. ბანკები ინფორმირებულები უნდა იყვნენ, რომ მათ კლიენტებს შეიძლება ფსიქიკური პრობლემები გამოუვლინდეთ და რომ პრობლემების გადასაჭრელად დახმარება სჭირდებათ.

თბილისში, „სოციალური მედიცინის ცენტრის მკვლევარებმა“ იგივე აქცენტები დასვეს: მათ რეკომენდაციებში აღნიშნულია, რომ საქართველოს მთავრობამ ყურადღება უნდა დაუთმოს საზოგადოების ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემას. შექმნილი მძიმე ვითარება განმუხტოს, ერთი მხრივ, საბანკო სექტორის, მეორე მხრივ კი, კრედიტორების მხარდაჭერით.

ფსიქოლოგები კი ადამიანების სტიმულირებისთვის სხვაგვარ მექანიზმებს ფლობენ. ისინი მოქალაქეებს ურჩევენ, ეკონომიკური კრიზისი აღიქვან, როგორც კატალიზატორი გამოწვევების დაძლევისა და ახალი მიზნების მისაღწევად.

რესპონდენტთა და მათი ოჯახის წევრთა ფსიქო-ემოციური მდგომარეობა



„სამედიცინო სოციალური ცენტრის“ კვლევა

წიგნები აგორა – ძველი ბერძნული ვიაგრა

მალხაზ ხარბედია

ერთი ძველი ხუმრობა არსებობს: ოდესღაც, თურმე ათენა და პოსეიდონი კამათობდნენ, თუ ვინ უნდა გამხდარიყო ატიკის მფარველი. კამათში, ცხადია, ათენას გაუმარჯვია, ამით განრისხებულ პოსეიდონს კი ათენელები დაუწყევლია: „დაე იმ თავიანთი საკრებულოს სხდომებზე მხოლოდ სულელური გადაწყვეტილებები მიიღონ“!-ო. წყევლა ათენას გამოუსწორებია: „დაე ეს სულელური გადაწყვეტილებები ათენელებს ყოველთვის სასიკეთოდ მობრუნებოდეთ“!-ო.

ვერაფერს იტყვი, ზუსტად მიზანში არტყამდნენ ძველები, თანაც დემოკრატიის სათავეებიდან გამოსროლილი ეს ხუმრობა დღესაც ხვდება მიზანში.

ცნობილია, რომ დემოკრატია ძველ საბერძნეთში იშვა, თუმცა, თუკი დღეს წარმოდგენილი 992-გვერდიანი წიგნის ავტორს, ჯონ კინს ვენდობით, პირველი დემოკრატიული ინსტიტუტები კლასიკური ხანის ათენზე გაცილებით ადრე, ძვ. წ. III ათასწლეულში შექმნილა შუმერში (არსებობს წყარო, რომლის თანახმადაც, შუმერის წმინდა ქალაქ ნიპურში ერთ-ერთი მკვლელობის საქმეზე გადაწყვეტილება ნიპურის საკრებულომ მიიღო), ზუსტად იმ ადგილას, სადაც რამდენიმე წლის წინ ბუშის დემოკრატიამ „იზეიმა“.

„დემოკრატიამდელი დემოკრატია“ შემდეგაც არაერთხელ გვხვდებოდა სხვადასხვა საზოგადოებებსა თუ ეპოქებში, სანამ ანტიკურ ხანაში მისი კლასიკური გაგება არ ჩამოყალიბდა. საუკუნეების შემდეგ მისი მნიშვნელობა ბორბლის გამოგონებას გაუტოლეს (ასე ფიქრობს ჩვენი წიგნის ავტორიც). ბორბალივით, არც მას ჰყოლია ერთი კონკრეტული ავტორი, მის მიღმა არ მდგარან არქიმედეები და ნიუტონები, თუმცა იგი დღემდე მაინც რჩება ერთ-ერთ ყველაზე დიდ გამოგონებად. დემოკრატია ადამიანური ოცნებიდან იშვა და ეს ოცნება ახლაც ბატონობს, ახდენილი თუ აუხდენელი.

დემოკრატიის პირველი მეხოტბე ჰეროდოტე იყო. სწორედ მასთან ჩნდება ტერმინი „დემოკრატია“, და იგი მაშინ ჯერ კიდევ „თანასწორობის“ (ძვ. ბერძ. ისონომია) სინონიმად გამოიყენებოდა, მაგრამ უკვე აღნიშნავდა მართვის ახალ ფორმას, რომელიც ტირანიას უპირისპირდებოდა.

დემოკრატიის მნიშვნელობა და არსი განუწყვეტლივ იცვლებოდა, სწორედ ამიტომაც, ჯონ კინი მის სამ ქრონოლოგიურ ტიპს გამოყოფს.

1. ყველაზე არქაული, საკრებულოს დემოკრატიაა (Assembly Democracy), რომლის საუკეთესო ნიმუშსაც ათენის დემოკრატია წარმოადგენდა, სადაც ყველას კარგად ჰქონდა გაცნობიერებული, რომ თუკი თავად მოქალაქე არ გამოესარჩლებოდა სახელმწიფოს (და არა სახელმწიფო მოხელეებს), მის ნაცვლად, ამას არავინ იზამდა. სადაც ყველას ჰქონდა აზრის გამოთქმის საშუალება, სადაც „აგორა ვიაგრას როლს თამაშობდა“ (ჯ. კინი). ათენისა და ატიკის 25 ათასი მოქალაქიდან დაახლოებით 2 000-ს ყოველწლიურად რაღაც თანამდებობა ეკავა. ამ თანამდებობების უმრავლესობის ორჯერ დაკავება შეუძლებელი იყო. შესაბამისად, ყოველი თავისუფალი ათენელი ცხოვრებაში ერთხელ მაინც იყო მოხვედრილი მაღალ თანამდებობაზე, ზოგიერთ მათგანს კი მრავალჯერ ეკავა სხვადასხვა პოსტი და მეტ-ნაკლებად ყველა ჩახედული იყო სახელმწიფო ამბებში. შემდეგი ნაბიჯი იყო რომი, ადრეშუასაუკუნეების ევროპა (მაგ. ისლანდიის პარლამენტი, ალთინგი), ისლამური სამყარო, ოტომანთა ბატონობამდე და ა.შ.

2. წარმომადგენლობითი დემოკრატია (Representative Democracy). X საუკუნიდან მოყოლებული დემოკრატია ახალ ისტორიულ ფაზაში შედიოდა, რომლის მიზიდულობის ცენტრიც ატლანტიკური რეგიონი იყო, ევროპიდან – ნიუ-იორკ-ბალტიმორამდე და ბუენოს-აირესამდე. ეს ეპოქა იბერიის ნახევარკუნძულზე ისლამური ცივილიზაციის წინააღმდეგ ბრძოლით დაიწყო და ტრაგიკულად დასრულდა მე-20 საუკუნის პირველ ნახევარში დემოკრატიული ინსტიტუტების ნგრევით და დიქტატორული რეჟიმების ჩამოყალიბებით. მისი ძირითადი არსი იმაში მდგომარეობდა, რომ ადამიანები თავად ირჩევდნენ მათ, ვისაც მათი ინტერესები უნდა დაეცვა პარლამენტში ან სხვა არჩევით ორგანოში.

3. მონიტორინგის დემოკრატია გახლავთ (Monitory Democracy), რომელიც 1945 წელს, ომის შემდგომ იშვა და სწორედ აქედან მოყოლებული იქცა

The Life and Death of Democracy
by John Keane
დემოკრატიის ცხოვრება და სიკვდილი
ჯონ კინი

დემოკრატია „უნივერსალურ ღირებულებად“ (ამარტია სენი). ამ პერიოდში დემოკრატიული გახდა სამყაროს ერთი მესამედი, 192-დან 119 ქვეყანა. ამავე პერიოდში დაიწყო ძალაუფლების კონტროლის, მონიტორინგის მექანიზმების შექმნაც, რომელიც მანამდე არ არსებობდა დემოკრატიულ სამყაროში. ავტორის აზრით, ამ მექანიზმებმა ბოლო დროს ძალზე უცნაური ფორმები მიიღეს და მისი შედეგები, ჩემი აზრით, დღეს საქართველოშიც აშკარად გამოჩნდა, რისი ერთ-ერთი მაგალითიცაა 2008 წელს „ეგზიტპოლ-ინტელექტუალების“ სრული შემადგენლობით გადაბარგება ხელისუფლებაში, ასევე ზოგიერთი „არასამთავრობოსა“ და „ხელისუფლების“ ერთობლივი ზღაპრები, სახელად „საყოველთაო გამჭვირვალობა“.

კინის ამ ნაშრომის ერთ-ერთი მთავარი დებულება „დემოკრატიის ისტორიის დემოკრატიზებაა“ და წიგნში მართლაც აუარება ახალ ფაქტსა თუ საინტერესო მიგნებას იხილავს ფართო მკითხველი. თუმცა ავტორი იმ ფარულ საფრთხეებსაც მონიშნავს, დემოკრატიულ ღირებულებებს რომ ემუქრება თავად „დემოკრატებისგან“. სამწუხაროდ, დღევანდელი ქართული პოლიტიკური რეალობა ამ საფრთხეების ნამდვილი საცავია.



დავით უსუფაშვილი რესპუბლიკური პარტიის თავმჯდომარე

კომპრომისი მოკლევადიანი და საშუალოვადიანი ამოცანების გადასაწყვეტად

ნინო გეჭიშვილი

რესპუბლიკური პარტიის თავმჯდომარემ მე-13 ყრილობის შემდეგ ულტრანაციონალისტური განცხადებებით ცნობილ „ეროვნულ ფორუმთან“ ალიანსის შესაძლებლობაზე ისაუბრა. ცხადია, რომ საქართველოში საერთო მიზნის მისაღწევად შეიძლება ყველაზე წარმოუდგენელი პოლიტიკური ალიანსებიც განხორციელდეს. დღევანდელი რეალობა ლიბერალურ ძალას საკუთარ პოლიტიკურ პლატფორმაზე უარის თქმას აიძულებს, თუმცა დავით უსუფაშვილი თვლის, რომ ამგვარი გაერთიანებები დროებითია და პარტიის ღირებულებებს საფრთხის ქვეშ არ აყენებს.

ლიბერალი ***დღეს ლაპარაკია ალიანსის გაფართოებაზე. ითქვა ისიც, რომ შეიძლება მოხდეს თქვენი გაერთიანება „ეროვნულ ფორუმთან“. შეიცვლება თუ არა თქვენი პოლიტიკური პლატფორმა? ასეთ ჯგუფებთან ალიანსში რამდენად გექნებათ საშუალება, ლიბერალური ღირებულებები დაიცვათ?***

ახლა „ფორუმთან“ გაერთიანებაზე ლაპარაკი არ არის ადეკვატური. როცა ალიანსი შევქმენით, მაშინვე ვთქვით, რომ ის პოლიტიკური პარტიების დახურული კლუბი არ იქნებოდა. არ არის გამორიცხული, სხვებთანაც მოვძებნოთ საერთო ენა მოკლევადიანი თუ საშუალოვადიანი პოლიტიკური ამოცანების გადასაწყვეტად. დღეს რესპუბლიკელები „ალიანსში“ ვართ, მაგრამ ეს სამუდამო არჩევანს არ ნიშნავს. ჩვენი მოკლევადიანი ამოცანაა ის პროცესი, რომელმაც სამართლიან და თავისუფალ არჩევნებამდე უნდა მიგვიყვანოს. საშუალოვადიანი კი – არჩევნებში მონაწილეობას და შემდეგი ერთი ციკლის განმავლობაში პასუხისმგებლობის გადანაწილებას გულისხმობს. ასე რომ, ალიანსიც დროებითია. კოალიციებში შესვლა საზოგადოებამ არ უნდა აღიქვას, როგორც ღირებულებების მიმართ კომპრომისი.

ლიბერალი ***აბა რად უნდა აღვიქვათ?***

მოცემულ რეალობაში, როცა რესპუბლიკელებს მხარს უჭერს მოსახლეობის 15%, ის საკუთარ ღირებულებებს პოლიტიკაში მარტო ვერ გაატარებს. აქ მთავარი ისაა, რომ საპირისპირო ღირებულების მატარებელ პარტნიორთან არ აღმოჩნდე.

ლიბერალი **ფიქრობთ, რომ თქვენ და „ფორუმს“ ერთი და იგივე ღირებულებები გაქვთ? არ გგონიათ, რომ ასეთ დროს ამომრჩევლის ნაწილს კარგავთ და ესეც კომპრომისია?**

თავისთავად ის, რომ ამ ქვეყანაზე ცხოვრობ, უკვე კომპრომისია. ზოგადად, სოციალური ურთიერთობები გულისხმობს ამ კომპრომისს. ამომრჩევლის ერთი ნაწილი ძალიან გაგვიბრაზდა, როცა გაერთიანებულ ოპოზიციაში დაგვინახა, მეორე ნაწილი გაგვიბრაზდა მაშინ, როცა ცალკე პარტიამ მიიღო მონაწილეობა გასულ საპარლამენტო არჩევნებში. პაატა ზაქარეიშვილი, ჩვენი საუკეთესო მედროშე ღირებულებების პროპაგანდის თვალსაზრისით, ამ ყრილობაზე მეშვიდე თუ მერვე მაჩვენებლით აირჩიეს ეროვნულ კომიტეტში. პაატა, შესაძლოა, ჩვენივე წევრების თვალშიც პოლიტიკურად არამომგებიანად მსჯელობს, მაგრამ მას დელეგატებმა მაღალი ნდობა გამოუცხადეს, იმიტომ, რომ სიმართლეს ლაპარაკობს. მაგრამ თუ რესპუბლიკური პარტია მარტო პაატა ზაქარეიშვილის გამოსვლები იქნება, პოლიტიკურ წარმატებას ვერ მივაღწევთ. ჩვენ არ ვართ მისიონერები, რომლებმაც უნდა ვიქადაგოთ, და მერე ვინმე ან გამოგყვება, ან არა. მნიშვნელოვანია, რომ ყოველ კონკრეტულ მომენტში გადადგა სწორი ნაბიჯი. ღირებულება ინსტიტუტად უნდა აქციო, ამოცანა სწორედ ესაა – შეიქმნას ინსტიტუტები, და ამ ინსტიტუტების ფუნდამენტი ღირებულებები იყოს. ამ ღირებულებების დასამკვიდრებლად კი ხელისუფლების განხორციელებაში უნდა მიიღო მონაწილეობა. შარშან საპარლამენტო არჩევნებში მარტო გავედით. მართალია, ხელისუფლებამ არჩევნები გააყალბა, მაგრამ ფაქტია, თავისუფალიც რომ ყოფილიყო, 30% მხარდაჭერას მაინც ვერ მივიღებდით. ამიტომ, ვალდებული ვართ, ვითანამშრომლოთ სხვებთანაც.

ლიბერალი **მახსოვს, თქვენმა წევრებმა შარშან ეკლესიის თემაზე კომენტარის გაკეთებისგან თავი შეიკავეს, მხოლოდ იმიტომ, რომ საერთო ოპოზიციურ სპექტრს გაუწიეს ანგარიში. რეალურად გზლუდავთ თუ არა ამგვარ კოალიციაში ყოფნა?**

პოლიტიკური პროცესი ამ ქვეყანაში ჯერ არ დაწყებულა. იმედი გვქონდა, რომ 2003 წლიდან დაიწყებოდა, მაგრამ ასე არ მოხდა. აქ ჯერ ელემენტარული თავისუფლებები არ არსებობს – სასამართლოს, მედიის, ბიზნესის თავისუფლება. სანამ ეს არ არის უზრუნველყოფილი, მანამდე სრულფასოვანი პარტიული ცხოვრება და ღირებულებების თუ პრინციპების მეშვეობით წარმატებაზე ორიენტირება შეუძლებელია. ჯერ სახელმწიფო არ გვაქვს – არა მხოლოდ ტერიტორიული პრობლემების, არამედ სწორედ ინსტიტუციური პრობლემების გამო. ამ ვითარებაში ჩვენი მხრიდან უპასუხისმგებლობა და ნარცისიზმით გატაცება იქნებოდა, რომ გვეთქვა, – „ჩვენი ვალია, მართლები ვიყოთ, ახლა არ გესმით, რომ მართლები ვართ, 20 წლის შემდეგ დაინახავთ!“ მთელი 20 წელია, ნებისმიერ თემაზე შემიძლია ვთქვა, – „ხომ გეუბნებოდით!“ საკუთარი თავმოყვარეობის თუ ამბიციების დასაკმაყოფილებლად ეს კმარა, მაგრამ შედეგი რა არის? ამიტომ, ვთვლით, რომ ალიანსთან, ან უფრო ფართო კოალიციასთან ერთად მუშაობა ჩვენი ვალია.

ფოტო: ლევან ხარბულიძე

უსმინეთ ყოველ სამუშაო დღეს
პირველი რადიოს ეთერში გადაცემას
რადიო მრჩეველი - ნანიკო ხაზარაძესთან ერთად

დასაწყისი 13:30

106.4 Free RADIO ONE

გამარჯვებული საქართველოს ბანკში

ბახსენით ანაბარი,
ჩაეთით გათამაშებაში,
მოიგეთ ფულადი ვაზრი
და ბინა

საქართველოს ბანკი
BANK OF GEORGIA